ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№308 (367) 17-24 მარტი 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

**სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე**

# მტერი მტრობას არ მაიშლის...

**რეგვენია განა მარტო ის, ვინც თავის მტრის ძალების გაცნობას არ მიესწრაფვის. არამედ იგიცა, ვინც მტრისაგან არ სწავლობს ნიადაგ.**

**კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის მარჯვენა"**

ეს სიტყვები ქართული სიტყვის დიდოსტატს ნიშნის მოგებით კი არა, დიდი დარდითა და გულისტკივილით აქვს ნათქვამი, რადგან, სამწუხაროდ, ქართველს კაცს ხშირად ხმალივით არ უჭრიდა გონება, რის გამოც გვიცამტვერდებოდა ხოლმე დიდგორისა და ბასიანისნაირი გამარჯვებები. თუ იცი, რომ ესა თუ ის ობიექტი თუ სუბიექტი შენი მტერია, მხოლოდ ეს არ კმარა მის დასამარცხებლად. საჭიროა იცოდე მისი შესაძლებლობები, ხასიათი, ბუნება, სტრატეგია, ტაქტიკა. სწორედ ამ ფაქტორთა სწავლების აუცილებლობაზე მიგვითითებს კალმის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია.

ჩვენ კი, გარკვეულ მიზეზთა გამო, ჯერჯერობით მტერ-მოყვარეც ვერ გაგვირჩევია ერთმანეთისაგან და სხვა რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

განა ამან არ გაგვინახევრა საქართველო, განა ამან არ დაგვაყენა მდიდარი ეროვნული ტრადიციების სამუდამოდ დაკარგვის საფრთხის წინაშე?

ამიტომაც ვართ გახიდული სცილასა და ქარიბდას შორის, როგორც ეს საუკუნეთა განმავლობაში ხდებოდა ჩვენს თავს და ვერც წინ მივდივართ და ვერც უკან ვბრუნდებით. იმიტომ, რომ არ ვიცით ვინ არის ჩვენი მტერი, ვერაფერი ვისწავლეთ ვერც მტრისა და ვერც მოყვარისაგან და არც ჩვენი მტრების შესაძლებლობების თაობაზე გაგვაჩნია თუნდაც ზედაპირული ინფორმაცია.

ბრძენ ერს კი ვუწოდებთ საკუთარ თავს!

ვერ ვიტყვი, რომ ქართულ პოლიტიკაში რეგვენი მოწაფეები გვყავს. ავიღოთ თუნდაც სააკაშვილი, რომელმაც ბევრი რამ ისწავლა შევარდნაძისაგან, მაგრამ სრულიად არ ცდილა ჩასწვდომოდა „თეთრი მელას" ვერაგულ ბუნებას, რათა ხელი შეეშალა მისთვის საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებებში და პირიქით, მისი ღირსეული მოწაფეც კი აღმოჩნდა საქართველოს სრული განადგურების საქმეში, ლამის გაანახევრა საქართველო და რომ არა ივანიშვილის მცდელობა, დღეს სამი საქართველო გვექნებოდა — სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის საქართველოები!

ვერც მტრისა და ვერ მოყვრისაგან ვერაფერი შეიძინა ირაკლი ალასანიამ, რომელიც როგორ მუქთადაც მოვიდა ხელისუფლებაში, ისე მუქთად წავიდა, რადგან თავდაცვის მინისტრობისას ვერ მოასწრო იმ ფულის ჩაჯიბება, რომლის მითვისების მცდელობისათვის ციხის კედლებს ხეხავენ მისი ყოფილი მაღალჩინოსნები.

ვერც უიმედოდ გამარგინალებულმა შალვა ნათელაშვილმა შეისწავლა მტერ-მოყვარისაგან ვერაფერი მთელი თავისი ვაი-პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში. არა და სწავლის შესანიშნავი პირობები ჰქონდა იმ პერიოდიდან, როცა რესპუბლიკის პროკურატურის პარტიული კომიტეტის მდივნად მუშაობდა. მერეც შეეძლო ლიკბეზის მეთოდით მეცადინეობა, მაგრამ პრაქტიკულ კომბინაციებში უფრო მარჯვე აღმოჩნდა და გარკვეული გარიგების საფასურად გაიყვანა სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარედ, რაც შემდეგ ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს. ახლა კი ნათელაშვილი ილფისა და პეტროვის ნაწარმოების „ოქროს კერპის" გმირ პანიკოვსკივით ურბენს გარშემო ივანიშვილს და მიჰყვის: „Дай миллион, дай миллион!". მოკლედ, ყვარყვარე თუთაბერის არ იყოს, შალვა ნათელაშვილი მაგრად არის „გამაცადინებული" სხვის ქონებაზე. არა და, ეს ის ნათელაშვილი გალავთ, რომელიც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისას ხალხს ჰპირდებოდა, რომ ჩემი გაპრეზიდენტების შემთხვევაში ივანიშვილს პრემიერ-მინისტრად ჩამოვიყვან საქართველოში და, მერე ნახეთ, როგორ უზრუნველად იცხოვრებთო!

ალბათ რაღაც მნიშვნელოვანი ვერ გამოსტყუა მან ბიძინა ივანიშვილს (სავარაუდოდ — ფული) და იმიტომაცაა მასზე ესოდენ გამწარებული!

**მოვუწოდებთ ყველა კახპას, ჰომოსექსუალს, ლესბოსელს, მენტალურად არაქართველს, სულიან-გულიანად დაშნაკს, პოლიტიკურ მოროდიორს, სულიან-ხორციანად ჩამპალ-დამახინჯებულ არსებებს, ყველას, ვისაც ესოდენ ენატრება „ხმა სამარიდან", რომ აუცილებლად მივიდნენ ნაციონალთა მიერ 21 მარტს დაანონსებულ აქციაზე! იქ ხომ პატრიოტსა და წესიერ ადამიანს არაფერი ესაქმება!**

მართლაც ჩვენი ბრალია, რომ ასეთი ხარბი უტიფრები ჯერ კიდევ ბოგინობენ ქართულ პოლიტიკაში!

აღარაფერს ვამბობ პიპლიკოზა-ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე, არა იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. პირიქით, სათქმელი მასთან დაკავშირებით არის, თუ არის, რადგან დღეს რომ მენტორის ტონით გველაპარაკება ეს „ფქვილის პრინცესა", იქნებ მაინც გაიხსენოს, რომ ქვეყნის ნგრევის პროცესებს სწორედ იგი თავკაცობდა სხვა დაშნაკ ნაციონალებთან ერთად, ვიდრე ხელისუფლებიდან არ გამოაბუნძულეს. ახლა კი, მთელი მისი პოლიტიკური ეკვილიბრისტიკა რომ პირადი რევანშის სურვილითაა გაჟღენთილი და არა ქვეყანაზე ზრუნვით, ეს უკვე პატარა ბავშვმაც კარგად იცის!

როცა მტრისაგან ვერაფერს ვსწავლობთ, მაშინ მოყვრისაგან მაინც უნდა ვისწავლოთ, მით უმეტეს, როცა იმდენად გვაქვს გონება დაბინდული აღვირახსნილი ნაცპროპაგანდისაგან, უკვე მტერ-მოყვარის ერთმანეთისაგან გარჩევაც კი გვიჭირს.

მტრისაგან ვერ ვისწავლეთ ისიც, თუ როგორ უნდა ვებრძოლოთ იმ მანკიერებას, რასაც ისინი ეწევიან დემოგრაფიული სიტუაციის დასაკნინებლად და ქვეყნის გასანადგურებლად. საუბარია ჰომოსექსუალიზმის აღვირახსნილ პროპაგანდაზე, რომელსაც ყველაზე მეტად ეწევიან ტელეარხები „რუსთავი-2" და „იმედი". მოდით, ერთხელ მაინც ვკითხოთ ქალბატონ ინგა გრიგოლიას, ეკა ხოფერიას, მაია ასათიანს და ჰომოსექსუალთა სხვა თავგამოდებულ დამცველებს — ერთ მშვენიერ დღეს მთელი მსოფლიოს მამაკაცები რომ ჰომოსექსუალები გახდნენ (არა და, ამის ტენდენციები უკვე შეინიშნება ევროამერიკულ ქვეყნებში), ვინ ან რა უნდა გამოიყენონ ამ დედაკაცებმა ხორციელი ვნებების დასაკმაყოფილებლად?

ალბათ შინაურ ცხოველებთან გაერთობიან (ისტორიამ იცის ქალის სექსუალური ცხოვრების ფაქტები ძაღლთან, ცხენთან, სახედართან და სხვ.), ან მაკაგონის ხისაგან გამოთლიან ფალოსებს, ან გრანიტის ქვისაგან გამოაქანდაკებენ, ან რკინისგან გამოკვერავენ, ან რეზინის გასაბერი მამაკაცებით დაკმაყოფილდებიან, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ გზით დაორკეცდნენ და ახალი თაობა მოუვლინონ კაცობრიობას.

მაშ რატომ მიაჩნიათ ქართველ მექალთანე ხვადებსა და მამაკაცის წელსქვემოთ მუდამ თვალგაპარულ ძუებს, რომ სასწაულად კარგი საქმეა კაცობრიობის გაჰომოსექსუალება?!

იცით რატომ? ნორმალური ადამიანების ცხოვრების წესის პროპაგანდირებას რომ მიჰყონ ხელი, მაშინ გრანტებს ვერ მიიღებენ იმ ევროამერიკული ორგანიზაციებისაგან, რომლებიც ტრადიციული ღირებულებების მქონე ქვეყნების დამცრობა-განადგურებას სწორედაც რომ ნარკომანიის, სექტანტობის, ლესბოსელობისა და ჰომოსექსუალიზმის მოძალებით ცდილობენ.

ჩვენ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ნაძირალა ნაცებისათვის საკადრისი პასუხის გაცემა. მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ მათი სათანადოდ დასჯა ჩადენილი ზოგადსაკაცობრიო დანაშაულებებისათვის, არამედ მათი მხილება ცინიკურ სიცრუესა და ბინძურ ინტრიგებში. მაგალითად, როცა ისინი ამბობენ, რომ ჩვენი მმართველობის ჟამს ქართული ლარი მყარი იყოო, არავინ ეუბნება მათ, თუ რაზე იყო დამყარებული ლარის ეს „სიმყარე".

მათი ხელისუფლებაში მოთესვლის პერიოდში საქართველოს საგარეო ვალი შეადგენდა დაახლოებით 4 მილიარ აშშ დოლარს. მათ კი, ლარის კურსი რომ შეენარჩუნებინათ, შეადგინეს ფრიად მარტივი სქემა — ყოველ წელს ვალად იღებდნენ დაახლოებით მილიარდნახევარ დოლარს და მისი ინტერვენციით ინარჩუნებდნენ ლარის კურსს. ამის გამო, დღეს ქვეყნის საგარეო ვალი შეადგენს 13 მილიარდ დოლარს, რაც ჩვენი და მომავალი თაობის გადასახდელია. „ქართული ოცნების" ხელისუფლებამ კი, არამც თუ გაზარდა საგარეო ვალი, არამედ 50 მილიონი დოლარი გადაიხადა ამ ვალიდან, ლარის კურსის ვარდნა კი განპირობებული გახლდათ საგარეო ფაქტორებით, კერძოდ კი იმიტომ, რომ რუსეთში დასავლეთის საჯარიმო სანქციების გამო მნიშვნელოვნად შესუსტდა ეკონომიკა და იქ დასაქმებული ჩვენი თანამემამულეები (რომლებიც წელიწადში დაახლოებით მილიარდნახევარ გამომუშავებული დოლარით არჩენდნენ ოჯახებს საქართველოში) ძველებურად ვეღარ ახერხებენ დანაზოგის გადმოგზავნას.

აი, როგორი „მტერია" ჩვენთვის რუსეთი და როგორი „მოყვარეები" არიან ის ევროამერიკელები, რომლებიც ფინანსურ დახმარებას მხოლოდ ტრადიციებთან მებრძოლებსა და ქვეყნის დამანგრევლებს უწევენ!

სამწუხაროა, რომ დღეს არცერთი პოლიტიკოსი არ აღმოჩნდა, რომ დებატებისას ხახაში ჩათხაროს უტიფარ ნაციონალებს ეს სიმართლე!

სამწუხაროდ, ჩვენ ვერც სამართლიანი ჭირისუფლობა ვისწავლეთ და უფრო ევროამერიკიდან წამოსულ სიგნალებს ვართ აყოლილი, ვიდრე საკუთარ გულისთქმას. ლამის საფლავში ჩავყევით დაქირავებული მკვლელების ხელით სიცოცხლემოსწრაფებულ რუს ოპოზიციონერ პოლიტიკოსს ბორის ნემცოვს, მაშინ, როცა სათანადოდ ვერ მოვისაკლისეთ ასევე დაქირავებული მკვლელებისაგან სიცოცხლემოსწრაფებული დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ავადსახსენებელ ნაციონალთა კანონსაწინააღმდეგო და ანტიქართულ ქმედებათა ობიექტური კრიტიკოსი გურამ შარაძე!

ისე კი, როგორც ჩანს, ხალხისაგან მოძულებულმა ნაცებმაც ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს ჭკუა და ვერ დარწმუნდნენ საბოლოოდ, რომ ისინი არავის არ სჭირდება, მით უმეტეს, ქვეყნის სათავეში. მაინც, საზოგადოებაში არაჯანსაღი დისონანსის შესატანად მიმდინარე წლის 21 მარტს დააანონსეს საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია. მოვუწოდებთ ყველა კახპას, ჰომოსექსუალს, ლესბოსელს, მენტალურად არაქართველს, სულიან-გულიანად დაშნაკს, პოლიტიკურ მოროდიორს, სულიან-ხორციანად ჩამპალ-დამახინჯებულ არსებებს, ყველას, ვისაც ესოდენ ენატრება „ხმა სამარიდან", რომ აუცილებლად მივიდნენ ნაციონალთა მიერ 21 მარტს დაანონსებულ აქციაზე! იქ ხომ პატრიოტსა და წესიერ ადამიანს არაფერი ესაქმება.

უკვე გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ ხალხი გამოვა და დაარბევს ნაცხროვის საპროტესტო აქციას. ამიტომ გვინდა მივმართოთ მოსახლეობას, რომ თავი აარიდონ ამ აქციას, რადგან პროვოკაციაში გაწაფული ნაციონალები შეიძლება იმგვარ გამომწვევ ქმედებებზე წავიდნენ, რაც უდანაშაულო ხალხის მსხვერპლს გამოიწვევს. ჩვენ კი არაერთგზის დავრწმუნდით, რომ ნაცებს სხვათა სიცოცხლე არად უღირთ და, ენაბრგვილი სიმახინჯის განსახიერება გივია თარგამაძის არ იყოს, საკუთარი მიზნის მისაღწევად საქართველოს მთელ მოსახლეობასაც კი „ამოხდიან სულს".

გათავხედებული ნაცებისაგან ვერც ის ვისწავლეთ, თუ როგორ უნდა გაუნგრიო ფერდები ხელკეტებით საპროტესტოდ გამოსულ ადამიანებს. ამიტომაც დარბიან ასე უტიფრად და აწყობენ საპროტესტო გამოსვლებს, რითაც უზომოდ აღიზიანებენ მათი უკანონობით დაზიანებულ ადამიანებს!

**როლანდ ჯალაღანია**



# სამეგრელოსა (ოდიშის) და აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფია ვახუშტი ბაგრატიონის ნააზრევში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

მაშასადამე, ვ. აბაევის აზრით, მეგრელ-ოსთა შესაძლო კონტაქტის არეალი კოდორის ხეობა უნდა ყოფილიყო (ალანოსები აფხაზეთის მოსაზღვრე ყუბანის სათავეებში მოსახლეობდნენ), ხოლო შესაძლო აქტიური ურთიერთობების ხანად მკვლევარი მიიჩნევს არა უმეტეს XIV საუკუნეს, ანუ ყუბანის სათავეებში ოსების განსახლების ხანას, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა მათი ურთიერთობა მეგრელებთან, სვანებთან და აფხაზებთან (იქვე: 309-322; აფხაზავა 1998: 8). ოსურ ენაში მეგრელიზმებისა და სვანიზმების, ასევე აფხაზური ნასესხობების, და პირიქით, ალანურ-ოსური ენობრივი ელემენტების სვანურსა და მეგრულში დაფიქსირებაც, მკვლევართა აზრით, სწორედ ამ ურთიერთობებით უნდა აიხსნას (Абаев I, 1949: 294-300; ანდრონიკაშვილი I, 1966: 54-55;

ნ. აფხაზავას საბოლოო და უმთავრესი დასკვნა შემდეგია: ლინგვო-კულტურული ფაქტებით დასტურდება, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში ოსთა წინაპარ ალანებს ყუბანზე ბინადრობისას, კოდორის ხეობაში შეღწევის შედეგად, აფსილ-აფშილებთან კონტაქტის გზით მიუღიათ სუბსტრატული ტიპის მეგრელიზმები, და რომ ეთნონიმ აფსილის // აფშილის წარმოების ქართული ფორმა აფს-ილ-ი (აფშ-ილ-ი) მიუთითებს აფსილთა მეგრულენოვნებასა და უძველესი დროიდანვე ქართველურ ეთნოკულტურულ სამყაროსთან კავშირზე (იქვე: 11). ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ალან-ოსთა და მეგრელ-ლაზთა ადრეულ პერიოდში შესაძლო კონტაქტების ანარეკლადაა მიჩნეული ისტორიულ-არქეოლოგიურ მეცნიერებაში „წებელდის კულტურის" სახელით ცნობილ ნამოსახლარებზე ალანური კერამიკის აღმოჩენის შემთხვევებიც (Воронов 1975: 12-17; Воронов, Бгажба Логинов, 1983: 55; აფხაზავა 1998: 13; 1998: 13; მისივე, 2010: 42-70).

თვით ამ კულტურის გავრცელების ძირითადი არეალი კოდორის ხეობას მოიცავს. ამასთანავე, შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური მასალა ადასტურებს თავისი გენეზისით „წებელდური კულტურის" კოლხურ კულტურასთან სიახლოვეს, რაც მოიცავს არა მხოლოდ აფსილებით დასახლებულ ტერიტორიას, არამედ დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილს – სვანეთს, სამეგრელოს, გურიას, აჭარას, ბარის იმერეთს, მთიელ აფხაზეთს და ზოგ მოსაზღვრე რაიონს ჩრდილო-დასავლეთით (აფხაზავა 2010: 72).

რაც შეეხება ოსურ ენაში ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანი სვანური ენობრივი პლასტის წარმოქმნა-დადასტურებას, ნ. აფხაზავას მიერ ეს ფაქტი კოდორის სათავეებში ალანთა ექსპანსიის შედეგად მისიმიან-სვანთა ტომის აქედან შესაძლო განდევნა-ამოწყვეტასა ან ალანთაგან ასიმილაციაზე უნდა მიგვანიშნებდეს (იქვე: 72).

ლინგვისტურ-არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით საინტერესო ძიებებისა და კატეგორიული დასკვნების გამოტანის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ დ. მუსხელიშვილისა და ნ. აფხაზავას ნოვაციები ალანეთის ლოკალიზაციის მიმართულებით, უფრო მყარ არგუმენტაციას და დამაჯერებელ მსჯელობას საჭიროებს, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. მეგრელებთან ალანთა მჭიდრო კონტაქტების მტკიცება ოსურ ენაში ვ. აბაევის მიერ დადასტურებული ლექსიკური ნასესხობების, სუბსტრატული „მეგრელიზმების" მოშველიებით, ნაკლებ სარწმუნოდ მიგვაჩნია, რადგან 40-ზე მეტი სვანიზმითა და 10-ზე მეტი მეგრელიზმით ალანებთან სვან-მეგრელთა შესაძლო კონტაქტებზე საუბარი უმართებულოდ გვეჩვენება. ნასესხობათა ასეთი მცირერიცხოვანი რაოდენობისათვის „სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის" (ვ. აბაევი) მინიჭება და მათზე დაყრდნობით კატეგორიული დასკვნების გამოტანა, ვფიქრობთ, ძალზე სარისკოა;

2. ამასთანავე, ვფიქრობთ, რომ რამდენიმე ერთეული ან თუნდაც ათეული არქეოლოგიური ნივთის აღმოჩენით მთელი ტერიტორიის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი საკმაოდ საფრთხილო და ნაჩქარევი უნდა იყოს;

3. ტოპონიმ „ალანდას" აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობა შეუძლებელია გამოდგეს ალანთა ტომის აქ ოდესღაც სახლობის დამამტკიცებელ საბუთად, ვინაიდან ამ ტოპონიმის წარმოქმნის თარიღი დადგენილი არ არის. გარდა ამისა, სახელწოდების კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში წარმოქმნა შესაძლებელია ამ ადგილას ოდესღაც ალანთა დროებითი, სპორადული დასახლების შედეგი ყოფილიყო.

ნ. აფხაზავა მეგრულენოვან ეთნოსთან ალან-ოსთა მეზობლობასა და მჭიდრო ურთიერთობას საქართველო-ჩრდილოკავკასიის სხვა მოსაზღვრე რეგიონებში, მათ შორის, „ისტორიული ოსეთის" მოსაზღვრე რაჭაშიც, გამორიცხავს, ვინაიდან, ამ მხარეში სადღეისოდ გაბატონებულ ქართულ ეთნოლინგვისტურ სიტუაციას წინ უსწრებდა და ზოგი მკვლევრის აზრით, გვიანი შუა საუკუნეების დასაწყისამდე არსებობდა მხოლოდ სვანური ენა. ამიტომ „რაჭაში მეგრელიზმები (=ზანიზმები) არ გვხვდება" (აფხაზავა 1998: 10).

აღნიშნული თვალსაზრისი საკამათოა შემდეგი გარემოების გამო: უკანასკნელ წლებში რაჭის სრული ტოპონიმური მასალის გამოქვეყნებამ და სტრუქტურულ-ფონეტიკურმა ანალიზმა ცხადყო, რომ თანამედროვე ტოპონიმია (და რაჭული დიალექტის მასალა) ძირითადად ქართულია. რასაკვირველია, ეს როდი გამორიცხავს ამ მხარეში, განსაკუთრებით მთარაჭაში (ისტორიული მთიულეთი) სვანების მოსახლეობას და შესაბამისად, რაჭის ტოპონიმიკაში სვანური სუბსტრატის არსებობას (ცხადაია V, 2011: 283-293). „რა ვითარებაა ზანიზმებთან დაკავშირებით რაჭის ტოპონიმიაში?" – ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პროფესორი პ. ცხადაია აანალიზებს რაჭის ო- თავკიდურიან და -ში დაბოლოებიან ყველა ტოპონიმს. მკვლევარი იმოწმებს ზანიზმებს რაჭის ტოპონიმიაში: ორჭე – გზა გლოლაში; ორჭე//ორღობე – გზა-გასასვლელი ბაჯიხევში; ორჭე//ჩიხი – გზა ლიხეთში (ორჭე ქართული „ვიწრო" ლექსემის მეგრულ შესატყვისს წარმოადგენს); ჩაბინდულა //ოჩოკოჩის ტყე – ტყიანი ბნელი ხევი სოფ. ღვიარაში. ოჩოკოჩი მეგრულში ტყის კაცის, მითიური არსების აღმნიშვნელია. პ. ცხადაიას ტოპონიმებისა და ლექსიკის გაანალიზება შემდეგი საერთო დასკვნის გამოსატანად ჭირდება: „სვანიზმები და ზანიზმები რაჭის ტოპონიმიაში არც ისე მრავალრიცხოვანია, რომ „ხელშესახები" ვუწოდოთ" (იქვე: 298).

ამდენად, მეგრულისა და ოსურის ურთიერთობა, რაც აისახა მცირერიცხოვან ლექსიკურ ნასესხობათა სახით, ჩვენი აზრით, სავსებით შესაძლებელი იქნებოდა რაჭის გზითაც, და არა კოდორის ხეობის სათავეებით, ვინაიდან, გეოგრაფიული სივრცის გათვალისწინებით, კოდორის ხეობაში ალანთა მოსახლეობა ძნელი დასაჯერებელია.

ალანეთის ლოკალიზაციის საკითხს შეეხო და პრობლემის სხვაგვარად გადაწყვეტას შეეცადა ენათმეცნიერი თეიმურაზ გვანცელაძე. მან ყურადღება მიაქცია მატიანეში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი", თამარ მეფის მამის, გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) შესახებ დაცულ შემდეგ ცნობას: „თუით მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ-იმერითს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მონადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუადმდე. და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა" („ქ. ცხ." II, 1959: 15). ციტირებული ადგილი მან განსაკუთრებით საყურადღებოდ მიიჩნია XII ს-ის მეორე ნახევარში ეთნიკური აფხაზეთის ადგილმდებარეობის დასადგენად. თ. გვანცელაძის აზრით, ფრაზა – „ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი", იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ აფხაზეთი და ალანთა ქვეყანა ერთი და იგივეა; მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტერმინ ალანის ეთნიკური შინაარსი გულისხმობს თურქული მოდგმის ყარაჩაელ-ბალყარელთა წინაპრებს, ამასთანავე, იმავე მატიანეში მოხსენიებული ეთნონიმი „ალანი" „ოვსის" შესატყვისად შეუძლებელია ჩაითვალოს (რამეთუ „ოვსებს" და „ოსეთს" მემატიანე ხშირად ხმარობს, ხოლო „ალანეთს" – ამ ერთადერთხელ!), ქართული მატიანის საანალიზო ცნობაში პოლიტიკური შინაარსის მქონე შესიტყვება „ალანთა ქუეყანა" შესაძლებელია იმ პოლიტიკური გაერთიანების აღმნიშვნელი იყოს, რაც ოსებთან ან ყარაჩაელ-ბალყარელებთან ერთად აერთიანებდა ჩრდილოეთ კავკასიის აბორიგენ, აფხაზურ-ადიღურ ტომებს, მათ შორის აფხაზებსაც (გვანცელაძე II, 1998: 74; მისივე 1998: 28). „სხვანაირად ვერ აიხსნება,– წერს თ. გვანცელაძე,– ალანთა ქვეყნისა და აფხაზეთის გაიგივება ქართველი მემატიანის მიერ" (იქვე: 74). თ. გვანცელაძის აზრით, საკუთრივ აფხაზეთი მდებარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში და წარმოადგენდა ალანთა ქვეყნის ნაწილს. თვით ალანეთი კი საქართველოს ყმადნაფიცი ქვეყანა იყო. ამ მიზეზით, ბუნებრივია, გიორგი III-ს ექნებოდა თავისი ვასალის – ალანთა მეფის სამფლობელოში ნადირობის შესაძლებლობა. სხვა მხრივ ალანთა ქვეყანას ფაქტობრივად საერთო არაფერი ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსთან.

პროფ. ზ. პაპასქირი შენიშნავს, რომ „ისტორიანი და აზმანის" ტექსტის ფრაგმენტის თ. გვანცელაძისეულ გაგებას არავითარი გამართლება არა აქვს. მეცნიერი თავისი არგუმენტის დასასაბუთებლად მოიშველიებს ქართული საისტორიო ტრადიციის მიერ სრულიად გარკვევით დაფიქსირებულ შემდეგ ფაქტს: არა მარტო XII საუკუნეში, არამედ თვით ლეონ II-ის დროს – IX საუკუნის დამდეგს, როდესაც შეიქმნა დასავლურ-ქართული სახელმწიფო „აფხაზთა" სამეფო, ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით არსებობდა აფხაზეთის საერისთავო, თავისი კონკრეტული ეთნო-ტერიტორიული შინაარსით. ეთნიკური აფხაზები ამ პერიოდიდან ძირითადად სწორედ ამ საერისთავოში იყვნენ განსახლებულნი. (პაპასქირი 2009).

საქმე ისაა, რომ ისტორიულ წყაროებში ორი „აფხაზეთი" იხსენიება: ერთი კავკასიონის გადმოღმაა და სხვადასხვა პერიოდში აღნიშნავდა: 1. თანამედროვე აფხაზეთის ნაწილს; 2. დასავლეთ საქართველოს და 3. სრულიად საქართველოს; მეორე აფხაზეთს კი მრავალი წყარო, მათ შორის ევროპული რუკებიც, ჩრდილოეთ კავაკასიაში უთითებს.

საგულისხმოდ გვეჩვენება ის გარემოება, რომ ევროპული ისტორიული რუკების მონაცემთა შეკრებითა და სხვა მომიჯნავე ხასიათის ისტორიულ ინფორმაციასთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება დასავლეთ საქართველოს ორგანული შემადგენელი ნაწილის – აფხაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიული კონტურების, აფხაზთა განსახლების არეალის დადგენა. იტალიელი კარტოგრაფი ჯაკოპო გასტალდი 1561 წლის რუკაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანის შუა წელზე აღნიშნავს „აფხაზეთის მხარეს (ოლქს, ქვეყანას)", რაც იტალიურად იკითხება როგორც „აბკვას რეჯი" (Abcvas regi). იმავე რუკაზე, ყუბანის მარცხენა შენაკადზე აღნიშნულია ქალაქ სოხუმის ამჟამინდელი აფხაზური სახელის მატარებელი დასახლებული პუნქტი ცუა (იტალიურად იკითხება როგორც akva) ანუ აყვა. თ. გვანცელაძე ფიქრობს, რომ ამ რუკის მიხედვით „აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა მაინც 1561 წლის ახლო ხანებში ჯერ კიდევ ყუბანის აუზში ცხოვრობდა, ისინი ამის შემდგომ დასახლებულან ამჟამინდელი აფხაზეთის მიწაწყალზე და ქალაქ ცხუმისათვის, რომელსაც ჯაკოპო გასტალდის რუკაზე სანატოპოლი (შანატოპოლი, შდრ. სხვა წყაროთა – სებასტოპოლისი, სევასტოპოლისი) ჰქვია, შეურქმევიათ თავიანთი მთავარი დასახლებული პუნქტის სახელი აყვა – „დამყაყებული წყალი" (გვანცელაძე „არტანუჯი", 6, 1997: 28-31; მისივე „არტანუჯი", 10, 2000: 56).

იოან იანსონისა და დავიდ დე ვილჰელმის რუკებზეც, რომლებიც XVII ს-შია შედგენილი, ცუა კავკასიონის ჩრდილოეთით, თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზეა აღნიშნული, ხოლო სევასტოპოლი (შავატოპოლი) შედის სამეგრელოს (Mingrelia, Mengrelia) მხარეში (იქვე: 57, 58).

ინგლისის სამეფოს გეოგრაფის, ა. ეროუსმიტის მიერ XVIII ს-ის დასასრულს შედგენილი რუკა საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, კავკასიონის სამხრეთით, აღნიშნულია ქორონიმი „ABCHAS". კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითაც, რუკაზე დასტურდება ქორონიმი „ABCHAS" (ნინიძე 10, 2003 წელი: გვ. 586).

### V. 8. ვახუშტი ბაგრატიონი და თანამედროვე აფხაზეთის ზოგიერთი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიის საკითხები

წინამდებარე პარაგრაფში ჩვენი მსჯელობის საგანს თანამედროვე აფხაზეთის ის ჰიდრონიმები წარმოადგენს, რაც ვახუშტის ფუნდამენტური ნაშრომის შესაბამის ნაწილშია მოცემული. არის ენერგიული მცდელობა აფხაზურენოვანი ტოპონიმების ძიებისა ისტორიული ცხუმის (სოხუმის) სამხრეთით, ენგურამდე მდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ წერილობით წყაროთა მონაცემების გაანალიზებით დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტულად განწყობილ რუს და აფსუა მეცნიერთა მცდელობა ამ მიმართულებით ფუჭია და უპერსპექტივო.

ამ ისტორიულ სიმართლეს ვერ გაექცა ხუხუტი ბღაჟბა, რომელიც კოდორ-ღალიძგისა (მერმინდელი აბჟუა) და ღალიძგა-ენგურის შუამდინარეთის (მერმინდელი სამურზაყანო) დასახლებული პუნქტებისა და მდინარეების სახელებს ზანური წარმომავლობისად მიიჩნევდა. ესენია ცხენიწყარი, წყურგილი, პაპანწყური, ჩხორთოლი, ჩხოროწყუ, ბედია, სათამაშია, ოჩამჩირე, ღალიძგა (Вгажба 1974 180; მსჯელობისათვის იხ. ცხადაია 2004: 122-123).

პ. ინგოროყვა ანტიკურსა და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტოპონიმების გაანალიზებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითადი ფონდი მესხური (ქართული) წარმომავლობისაა, მაგრამ არაფერს ამბობს აფხაზეთში მეგრულ-სვანური წარმომავლობის ტოპონიმებზე. აღნიშნული მასალა ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს აფხაზთა ეთნიკური ვინაობის გასარკვევად. დადგენილია, რომ „ენგურ-ღალიძგის შუამდინარეთის ისტორიული გეოგრაფიული სახელწოდებანი (XVIII ს-მდე წარმოქმნილნი) ქართველური (მეგრული, სვანური, ქართული) წარმომავლობისაა, ხოლო აფხაზურენოვანი ტოპონიმია ამ რეგიონში მხოლოდ XVIII ს. შემდგომ ათწლეულებში ჩნდება" (ცხადაია 2004: 161).

ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ ვახუშტის ნააზრევში დასახელებული ტოპონიმების ეტიმოლოგია შესაძლებელია ქართველური ენების, კერძოდ, მეგრულის, მონაცემებით აიხსნას.

ბედია. სახელწოდების შესახებ კასტელი გვაუწყებს: მთებში სანადიროდ წასულ საქართველოს მეფეს თავიდან დოლბანდი გადმოვარდნია და იმ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია. მეფეს უთქვამს – კარგი ბედი მქონიაო და გაუცია ბრძანება იქვე ეკლესიის აშენებისა და ძვირფასეულობით მისი გამდიდრების შესახებ (კასტელი 1976: 171). ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილ მწირებს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე შეუმჩნევიათ და აღტაცებით შესძახეს – ბედია. მწირები იქ დარჩენილან, ხოლო იმ ადგილას შემდეგ ბედიის ტაძარი აშენებულა (Ермолова 1912: 7; კალანდია 2004: 79). კ. ჰანის განმარტებითაც: „Бедия гр. (мингр.) ბედი беди=счастье-сტлен?е счастливое, богатое (Гань 1909: 24). მაშასადამე, ზემოთ მოტანილი ისტორიული წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია ბედთან. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" მიხედვით ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ხვედრი – იღბალი, ბედნიერება" (ქეგლ I, 1990: 124).

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა ბედია სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და საერთოდ, მეგრელთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „საღვთოს, ხატზე შესახელებულს", „ხატის ტყეს". ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩაღრმავებულ ადგილს, ქვაბულს". ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადაა დაკავშირებული აგრეთვე ბედე, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩაღრმავებებით, ღომის ჩასაგებად (ქობალია 2010: 60). საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სამეგრელოში, ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო გაშენებული, ბედიანაჩენს უწოდებდნენ (იქვე).

**იგორ კეკელია,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# რუსეთის მიერ აფხაზეთის ანექსია, თუ გეოპოლიტიკური კანონზომიერება?!

როგორც მოგეხსენებათ 24 მარტს სოჭში რუსეთის ფედერაციის და თვითაღიარებული აფხაზეთის პრეზიდენტების მიერ, ხელი მოეწერება „მოკავშირეობის და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ შეთანხმებას.

თუმცა, ჩემი წინამდებარე სტატიის მიზანი არ გახლავთ, ხელშეკრულების შინაარსის მუხლობრივი განხილვა, არამედ გეოპოლიტიკური თამაშის წესების საფუძველზე, ავხსნა ის, თუ რამ განაპირობა რუსეთის ფედერაციას და თვითაღიერებულ რესპუბლიკას შორის ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების დადება.

პრობლემის არს რომ ჩავწვდეთ, უპრიანია მოვახდინოთ აღნიშნული საკითხის ანალიზი გეოპოლიტიკურ ჭრილში, რომელიც მოგვცემს საშუალებას გავიგოთ, თუ რა მოვლენებმა განაპირობეს აღნიშნული დოკუმენტის მომზადება. ამისათვის, ერთ პასაჟს მოვიყვან ცნობილი ამერიკელი მეცნიერის და საერთაშორისო ურთიერთობის უმსხვილესი სპეციალისტის ნიკოლა სპიქმენის ნაშრომიდან: „პატარა სახელმწიფოების არსებობა შესაძლებელია მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოს იგი სჭირდება როგორც ბუფერი... როგორც კი იცვლება ძალთა ბალანსი, პატარა სახელმწიფო ქრება პოლიტიკური რუქიდან.“

ზემოთ ფორმულირებულ ჰიპოთეზას თუ გავყვებით, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორცილებული პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, უნდა მივიჩნიოთ, როგორც ობიექტური გეოპოლიტიკური კანონზომიერება. რომ გავიგოთ რეალურად, რა გეოპოლიტიკურ პროცესებს აქვს ადგილი აფხაზეთთან მიმართებაში, აუცილებელია დავაკვირდეთ იმ საგარეო პოლიტიკურ ტენდენციებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის გარშემო. კერძოდ, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, კავკასიის რეგიონში ეტაპობრივ შემოსვლას იწყებს შეერთებული შტატები, რამაც თვის მხრივ, ხელი შეუწყო იმ ძალთა ბალანსის ცვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეგიონში ბიპოლარულის საერთაშორისო სისტემის დროს. კავკასიის რეგიონში, ძალთა ბალანსის ცვლის პროცესმა, გამოიწვია ეთნოკონფლიქტები, რამაც თავის მხრივ გავლენა იქონია, ზოგიერთი კავკასიური სახელმწიფოს დე-ფაქტოდ საზღვრების შეცვლაში. ჩვენს შემთხვევაში, საქართველომ დაკარგა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაზე და ცხინვალის რეგიონზე ფაქტობრივი პოლიტიკური კონტროლი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მოწინააღმდეგე მხარე (საუბარია გეოპოლიტიკურ აქტორებზე, უპირატესად რუსეთის ფედერაცია და აშშ) იურიდიულად განდეგილ რეგიონებს, მიიჩნევდნენ ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად.

პოსტბიპოლარული სტატუს-ქვო, კავკასიის რეგიონში შენარჩუნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე. თუმცა 2008წლამდე, ადგილი ჰქონდა შეერთებული შტატების გავლენის ეტაპობრივ ზრდას კავკასიის რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში. ამის მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ 2003 წლის ვარდების რევოლუცია, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ მიხეილ სააკაშვილის ლიდერობით, მკვეთრად პროდასავლური ძალები, რომლებმაც ჩანაცვლეს შედარებითი ბალანსის მომხრე შევარდნაძის ხელისუფლება. პროცესების ამდაგვარი განვითარება კი, არსებული სტატუს-კვოს ცვლილებამდე რომ მიიყვანდა კავკასიის რეგიონს, ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო. ანუ, როდესაც ერთი გეოპოლიტიკური აქტორის პოზიციები ძლიერდება, ხოლო მეორის სუსტდება, მეორე ბოლომდე ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს პირველს და მისი შესაძლებლობების ფარგლებში, ყველაფერს აკეთებს შეუშალოს ხელი მას გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარებაში. ხოლო ეს შესაძლებლობა კი, რუსეთის ფედერაციას გააჩნდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. სტატუს-კვოს ცვლილების მცდელობამ, საქართველო მიიყვანა ცხელი ომის ფაზამდე. ომს კი, ამა თუ იმ რეგიონში თან სდევს ძალთა ბალანსის ცვლა, რაც თავის მხრივ იწვევს, ერთი ფორმირებული რეგიონალური წესრიგიდან, ახალზე გადასვლას. ხოლო ახალი წესრიგი, კი ქმნის ახალი გავლენის სფეროებს, რომელიც ხშირად პატარა სახელმწიფოებზე ცუდად აისახება. საქართველოს მაგალითზე თუ განვაზოგადებთ, დეფაქტო დაშლა გადაიზარდა დე-იურეში. როგორც მოგეხსენებათ რუსეთის ფედერაციამ, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, აღიარა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა. ამ ნაბიჯით მან შექმნა აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სახით ბუფერული სახელმწიფოები, მისი უმთავრესი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგის, შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნის, საქართველოს საპირწონედ.

2012 წელს ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურს კორექტირება არ განუცდია. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, წინამორბედის მსგავსად, გააგრძელა სვლა ევროატლანტიკური მიმართულებით, რაც დაგვირგვინდა კიდევაც, უელსის ნატოს სამიტზე ახალი პაკეტის შემოთავაზებით. ნატოს მხრიდან, საქართველოსადმი შემოთავაზებული პაკეტიდან ჩანს, რომ დასავლეთი რეგიონში და განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიაზე, დღეს არსებული წესრიგის „პერეფორმატირებას“ ცდილობს, საკუთარი გავლენის გაზრდისთვის. როგორც მოგეხსენებათ აღნიშნული პაკეტი გულისხმობს, საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნას, რაც ფაქტობრივად ნიშნავს ნატოს ჯარების ყოფნას საქართველოში. ეს ცენტრი, რამდენად აამაღლებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ერთი უნდა ითქვას აუცილებლად, რომ აღნიშნული ნაბიჯი მიმართულია დღეს არსებული სტატუს-ქვოს წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ ნიშნავს ძალთა ბალანსის შეცვლას საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო თუ რა მოგვიტანა წინა ცვლილებებმა ტერიოტორიული მთლიანობის მხრივ, ყველას გვახსოვს.

სწორედ რომ, უელსის პაკეტს მოჰყვა რუსეთის მხრიდან, ზემოთ უკვე აღნიშნული შეთანხმების პროექტის შეთავაზება აფხაზეთისადმი. რაც თავის მხრივ, მინიმუმდე დაჰყავს აფხაზების ოცნება, შექმნან ნაციონალური აფხაზური სახელმწიფო. აფხაზურმა მხარემ, რაც არ უნდა იმართლოს თავი საკუთარი მოსახლეობის წინაშე, რომლის უდიდესი უმრავლესობა, ნეგატიურად აფასებდა შეთანხმების პროექტს, აღნიშნული შეთანხმებით ხდება აფხაზეთის დღევანდელი პოლიტიკური სუვერენიტეტის შეზღუდვა. იურიდიულად შესაძლოა არა სუბიექტის სტატუსის დონეზე, მაგრამ ფაქტობრივი კონტროლის თვალსაზრისით, იგი რუსეთის ფედერაციის სუბიექტს გაუთანაბრდება. ანუ, თუ ნიკოლა სპიქმენის თეორიიდან აღებულ პასაჟს გავყვებით, გამოდის რომ აფხაზეთი გეოპოლიტიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, როგორც ბუფერული სახელმწიფო იწყებს გაქრობას პოლიტიკური რუქიდან.

ის რაც დღეს ხდება, ერთის მხრივ აფხაზეთის და მეორის მხრივ საქართველოს მიმართ, გეოპოლიტიკური კანონზომიერებაა და არა, რუსეთის ფედერაციის რაიმე სხვა სახის ახირება. ბოლო მოვლენები კი გვიჩვენებენ რომ, რუსეთის ფედერაციაც, მზად არის აჰყვეს დასავლეთის მიერ დაწყებულ თამაშს, რომელიც გულისხმობს, რეგიონში დღეს არსებული რეგიონული წესრიგის შეცვლის პროცესს და აფხაზეთისადმი უფრო მყარი კონტროლის დაწესებას ცდილობს, რომლითაც მოხდება გეოპოლიტიკური საზღვრების დადგენა რუსეთის ფედერაციას და ნატოს შორის.

ის რაც ხდება აფხაზეთთან მიმართებაში, პირველ რიგში ჩვენი პოლიტიკური კლასის მიერ, ყოვლად გაუზრებელი და ყოველგვარ სტრატეგიულ ხედვას მოკლებული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების შედეგია და, არა იმდენად იმ გარე ძალების მოქმედების, რომლებიც კავკასიის რეგიონით არიან დაინტერესებულნი. საქართველოს მართველ ელიტას, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რომ გაეტარებინა საქართველოს საგარეო პოლიტიკა და გაეთვალისწინებინა გეოპოლიტიკური თამაშის წესები, დარწმუნებული ვარ იმ სავალალო მდგომარეობიდან დავაღწევდით თავს, რომელშიც დღეს ვიმყოფებით. კერძოდ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას, საგარეო პოლიტიკა, მკვეთრად პროდასავლურიდან, რომ გადაეყვანა შედარებითი ბალანსის მდგომარეობაში, დღეს ჩვენ არ ვიქნებოდით მომსწრე, რუსეთის ფედერაციას და აფხაზეთს შორის დადებული ხელშეკრულების. ამ უკანასკნელის თქმის საფუძველს მაძლევს ის გარემოება, რომ რუსეთის ფედერაციის გავლენის ზრდა განდგომილ ქართულ რეგიონებზე პირდაპირპროპორციულად უკავშირდებოდა, საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ზრდას.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთის საბოლოო პოლიტიკური სტატუსი დამოკიდებულია, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე. თუ ქვეყნის მართველი ძალა, კვლავინდებურად გააგრძელებს შეერთებული შტატების ინტერესების ზრდის ხელშეწმყობ პოლიტიკას, ანუ სვლას ევრო-ატლანტიკური მიმართულებით, აფხაზეთი საბოლოოდ გაქრება პოლიტიკური რუკიდან, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუნდაც მხოლოდ რუსეთის ფედერაციის მიერ აღიარებული და, მისი სტატუსი უკვე იურიდიულად გაუთანაბრდება რუსეთის ფედერაციის სუბიექტის სტატუს.

**ირაკლი უბილავა**
*პოლიტოლოგი*

*საქართველოს ღირსეული შვილები*

# კონსტანტინე კაპანელი

მეოცე საუკუნის ქართული ფილოსოფია პრობლემათა მრავალფეროვნებით და მათი გადაწყვეტის გზებით ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში უმაღლესი საფეხურია და ღირსეული ადგილი უკავია თანამედროვე ევროპული ფილოსოფიის გვერდით.

ფილოსოფოსთა ამ პლეადის წარმომადგენლები არიან შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, კონსტანტინე კაპანელი, კოტე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, კიტა მეგრელიძე... ისინი, რომლებმაც ევროპის უნივერსიტეტებში მიიღეს განათლება და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გააგრძელეს, უფრო მართებულია ვთქვათ, ააღორძინეს და გაამდიდრეს XII საუკუნემდე მოღვაწე ქართველი ფილოსოფოსების ტრადიციები.

მათ შორის გამორჩეულია კონსტანტინე კაპანელი, რომელმაც დასძლია სიცოცხლის ფილოსოფიის, ნიცშეს ძლიერი გავლენა და შექმნა საკუთარი ფილოსოფიური მოძღვრება "ორგანოტროპიზმი".

კონსტანტინე კაპანელი (ჭანტურია) დაიბადა სამეგრელოს ულამაზეს სოფელ კაპანაში (აბაშის რაიონი) 1889 წელს. გარდაიცვალა თბილისში 1952 წელს.

უმაღლესი განათლება მიიღო საფრანგეთში, ნანსისა და გრენობლის უნივერსიტეტებში. ლექციებს ისმენდა სორბონაშიც.

1917 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაინიშნა ფრანგული ენის მასწავლებლად ქუთაისის რეალურ სასწავლებელში და სიცოცხლის ბოლომდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

ბატონი ედუარდ კოდუა კონსტანტინე კაპანელის აზროვნების ევოლუციას რამდენიმე პერიოდად ჰყოფს.

მესამე პერიოდი იწყება 1925 წლიდან, როცა გამოქვეყნდა კაპანელის შრომა "სოციალური ესთეტიკის საფუძვლები, ორგანოტროპიზმი" (კ. კაპანელი, "ფილოსოფიური შრომები", თბ. 1989 წელი, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი ე. კოდუა). 1925 წელსვე გამოდის ბროშურად კ. კაპანელის ფილოსოფიური ტრაქტატი "სული და იდეა. ბიოფსიქიზმი და კოსმიზმი".

ამ ნაშრომებში კონსტანტინე კაპანელმა საბოლოოდ დასძლია სიცოცხლის ფილოსოფიის (ნიცშეა) იდეების ძლიერი გავლენა და ფილოსოფიურ პრობლემებს აშუქებს საკუთარი მსოფლმხედველობითი პოზიციიდან.

ამის შემდეგ კოწია კაპანელი ზოგადფილოსოფიური პრობლემების კვლევის ნაცვლად იწყებს ხელოვნების, ლიტერატურის სოციალურ ანალიზს.

1926 წელს გამოქვეყნდა "ქართული სული ესთეტიკურ სახეებში", ხოლო 1928-1931 წლებში "ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი"-ს პირველი და მეორე ტომი.

**მინდია უფრო მაღლა დგას ვიდრე პრომეთე და ფაუსტი. გველის-მჭამელში ადამიანის არსებობის ულმობელი ტრაგედიაა, მიწიერი ყოფის საზრისი და მიზანია გადმოცემული.**

კონსტანტინე კაპანელი განიხილავს რა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, კერძოდ პოემა "გველის-მჭამელს" ორგანოტროპიზმის პოზიციიდან, იგი ვაჟას ევროპელ და აზიელ დიდ პოეტებზე მაღლა აყენებს. ამ პრობლემას მიუძღვნა წერილი "ტანჯვის იდეა და ზეკაცის პოეზია ქართულ ლიტერატურაში".

პოემა "გველის-მჭამელი" "თავისი შინაგანი ღირებულებით პირველია ლიტერატურაში. მისი შედარება შეიძლება რაბინდრანათ თაგორის "ლირიკულ ნაწყვეტებთან" და შელის "ეპიფსიქიონთან", მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოემა ორივეზე უფრო მაღლა დგას თავისი ფილოსოფიური შინაარსით, რადგან მასში არაა თაგორისეული გულუბრყვილობა და შელისეული ქალური საწყისი" – წერს კონსტანტინე კაპანელი.

მინდია უფრო მაღლა დგას ვიდრე პრომეთე და ფაუსტი. "გველის-მჭამელში" ადამიანის არსებობის ულმობელი ტრაგედიაა, მიწიერი ყოფის საზრისი და მიზანია გადმოცემული. ადამიანის მიზანი ყოველთვის ბუნებასთან შერწყმა იყო, რასაც ვერასდროს ახორციელებს და რაც მინდიაში განხორციელდა. იგი შეერწყა კოსმოსს, ესმის მისი ენა, მაგრამ ცხოვრება არის ის ძალა, რომელიც წინ აღუდგა მინდიას და მასში შემოქმედებით საწყისს ჰკლავს. ვაჟას არა მარტო ქართულ, არამედ ევროპულ ლიტერატურაშიც არა ჰყავს წინაპარი, ასეთია კონსტანტინე კაპანელის თვალსაზრისი.

კონსტანტინე კაპანელმა და შალვა ნუცუბიძემ დაადგინეს, რომ რენესანსი საქართველოში ერთი საუკუნით ადრე დაიწყო, ვიდრე ევროპაში (იტალიაში). ამ დებულებას ბევრი უცხოელი მოაზროვნე იზიარებს, მათ შორის ცნობილი ფილოლოგი ა. ლოსევი.

მისასალმებელია, რომ შარშან გამოსცეს კ. კაპანელის ნარკვევების კრებული "რენესანსი ლიტერატურაში, ევროპული ლიტერატურის ისტორიიდან" ("მეკერი", თბ. 2014 წელი, რედაქტორები არიან ნ. ტრაპაიძე და გ. ხეოშვილი).

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ კაპანელის სახელი მივიწყებულია, სათანადოდ არ ფასდება. მედროვე პოლიტიკოსები კი მედროვე "დიდ" ფილოსოფოსებს ბიუსტებს უგებენ.

**თენგიზ კუბლაშვილი**

# ტროას ცხენი თუ ლეღვის ფოთოლი?

***ხანდახან ძველმა ციტატამ შეიძლება გაცილებით მეტი მოგვითხროს აქტუალურ მოვლენებზე, ვიდრე ნებისმიერმა ცინცხალმა კომენტარმა. 2013 წლის 3 ივლისს ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ოპოზიციის ადგილი ცარიელი არ დარჩება: „ როგორც კი ოპოზიცია (მაშინ „ნაცმოძრაობაზე“ საუბრობდნენ) ნორმალურ ოპონირებას ვერ შეძლებს, აუცილებლად გაჩნდება იქ სხვა ძალა, რომელიც ამას მოახერხებს. თუ არადა, ჩვენ შიგნით გვაქვს ეს პოტენციალი კოალიციაში და კოალიცია ბუნებრივად დაიშლება... რომც არ იყვნენ ცალკეულ პარტიებად ჩამოყალიბებული, კოალიცია ერთი გუნდი რომც იყოს, როგორც კი გარედან წინააღმდეგობა არ იქნება, შიგნით გაჩნდება ძალები და შიგნიდან მოხდება დაშლა და ჩაშლა“ („ნეტგაზეთი“).***

***ჩვენ არ შევადარებთ ირაკლი ალასანიას გიორგი თარგმაძეს (არც ლეღვის ფოთოლს), თუმცა შეგვიძლია გავაანალიზოთ ის საეჭვო, თუ არა სამარცხვინო, როლი, რომელიც ალასანიამ თბილისის მერის 2010 წლის არჩევნების დროს შეასრულა. დიდი ალბათობით, მომავალშიც ასე მოიქცევა; როგორც ჩანს, ბედი აქვს ასეთი.***

ამ რეპლიკამ ნამდვილად შეიძლება დაგვაფიქროს იმაზე, რომ ალასანიას გადაყენება და თანმდევი პროცესი, რომელმაც საზოგადოება ასე ააღელვა, სპონტანური და მოულოდნელი არ იყო; ის, როგორც მინიმუმი, წინასწარ კარგად გააზრებული იყო თუ არა კარგად მართული.

ჯონ დონის თქმის არ იყოს, „ნუ იკითხავ, ვისზე რეკავს ზარი“... იმიტომ, რომ ის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ რეკავს. თუ გვერდზე გადავდებთ გასული კვირის დასამახსოვრებელ, მაგრამ უმნიშვნელო დეტალებს, ირაკლი ალასანიას დრამატულ ჟესტებს, ალექსი პეტრიაშვილის მელოდრამატულ რეპლიკებს და ა. შ., ალბათ, დაახლოებით ასეთ დასკვნამდე მივალთ: **„ქართულმა ოცნებამ“, როგორც იქნა, მიიღო სავსებით ლეგიტიმური, სოლიდური და, ამავე დროს, პრაქტიკულად უსაფრთხო ოპოზიცია, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ეტაპზე, როდესაც „ნაცმოძრაობის“ მარგინალიზაციის პროცესმა კულმინაციას მიაღწია. აქ, ალბათ, ორიოდე სიტყვა ისეთ უცნაურ ტერმინზე უნდა ვთქვათ, როგორიცაა „ოპოზიციის ლეგიტიმურობა“, რომელიც ბოლო დროს საქართველოში ძალიან ფართოდ გავრცელდა.** ფორმალური თვალსაზრისით, „ნაცმოძრაობა“ ჩვეულებრივი ოპოზიციური ძალაა და დასავლეთი ასეთად აღიარებს, მაგრამ საზოგადოების დიდი ნაწილი მას ამ სტატუსზე უარს ეუბნება და დანაშაულებრივ დაჯგუფებად მიიჩნევს. რაც მთავარია, მის არგუმენტებს საერთოდ არ უსმენს და ხელისუფლებას მოუწოდებს, იგივე გააკეთოს. **აგრეთვე, არსებობენ არასაპარლამენტო პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც ასე თუ ისე პოპულარული არიან კონსერვატიზმსა და ტრადიციონალიზმზე ორიენტირებულ ამომრჩევლებში, მაგრამ მათ არ აქვთ წარმომადგენლობა პარლამენტში, ხოლო დასავლელი პარტნიორები, როგორც წესი, ცდილობენ, ისინი მარგინალურ ჯგუფებად წარმოაჩინონ და, ფაქტობრივად, „ლეგიტიმური ოპოზიციის“ სტატუსზე უარს ეუბნებიან „არასაკმარისი პროდასავლურობის“ გამო.** ასეთ სიტუაციაში ხელისუფლების ნებისმიერი მოქმედება „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ, თუნდაც საუბარი ეხებოდეს დასჯას წარსულში ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის, დასავლეთში, დიდი ალბათობით, წარმოჩენილი იქნებოდა, როგორც ოპოზიციის სრული მოსპობის მცდელობა, რომელიც მნიშვნელოვან საიმიჯო, შემდგომ კი პოლიტიკურ პრობლემებს დაუკავშირდებოდა. ოპოზიციურ ავანსცენაზე „ყველასათვის ლეგიტიმური“ ალასანიას გამოსვლა ამ სიტუაციას, მთელ ამ მანკიერ მოდელს, სავარაუდოდ, შეცვლის (არა მყისიერად, არამედ თანდათან).

დღეს ხშირად კამათობენ იმაზე, ვის წაართმევს უფრო მეტ ამომრჩეველს ალასანიას პარტია მომავალში – „ოცნებას“ თუ „ნაცმოძრაობას“. ეს, პრინციპში, მკითხაობაა, რადგან შესაბამისი სოციოლოგიური მონაცემები ჯერჯერობით არ არსებობს. შესაძლოა, ერთსაც წაართვას და მეორესაც, თანაც დაახლოებით ერთსა და იმავე რაოდენობის ამომრჩეველს და აქ, ალბათ, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას ნიშნავს სამი ლიტრი სისხლის დაკარგვა, ერთი მხრივ, სპილოსთვის, მეორე მხრივ კი, – ადამიანისთვის (კი, ბატონო, სპილომ ათი დაკარგოს). ვინ დაზარალდება უფრო მეტად ამომრჩეველთა ნაწილის წასვლით ალასანიასთან - „ოცნება“ თუ „ნაცმოძრაობა“? *ალბათ, ისიც უნდა გავიხსენოთ, ვის ართმევდნენ ხმებს თავის დროზე თარგამაძის „ქრისტიან-დემოკრატები“ და რა როლს ასრულებდნენ ისინი. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შევადარებთ ირაკლი ალასანიას გიორგი თარგმაძეს (არც ლეღვის ფოთოლს), თუმცა შეგვიძლია გავაანალიზოთ ის საეჭვო, თუ არა სამარცხვინო, როლი, რომელიც ალასანიამ თბილისის მერის 2010 წლის არჩევნების დროს შეასრულა. დიდი ალბათობით, მომავალშიც ასე მოიქცევა; როგორც ჩანს, ბედი აქვს ასეთი.*

გადაყენების შემდეგ ალასანიამ ორი მნიშვნელოვანი რამ გააკეთა: მან კატეგორიულად გამორიცხა „ნაცმოძრაობასთან“ **თანამშრომლობის შესაძლებლობა და შეეცადა, საკუთარი თავი „ევროატლანტიკურ არჩევანთან“ გაეგივებინა, ანუ ხელი სტაცა იმ დროშას, რომელსაც „ნაციონალები“, ამდენი ხანია, ებღაუჭებიან. ეს იქნება დაუვიწყარი ბრძოლა „ჭეშმარიტი პროდასავლელის“ ტიტულისთვის და, ალბათ, აჯობებს, პოპკორნი მოვიმარაგოთ.**

მოკლედ, ამიერიდან ხელისუფლებას ეყოლება კონსტრუქციული, ასე თუ ისე ცივილური ოპოზიცია, რომლის არგუმენტების ციტირება სამარცხვინო არ იქნება. 6 ნოემბრის ვიზიტით ივანიშვილის რეზიდენციაში და თანმდევი კომენტარით: "ყველა პოლიტიკური პროცესი უნდა წავიყვანოთ ისე, რომ არ დაზიანდეს სახელმწიფო", ალასანიამ კიდევ ერთხელ სიმბოლურად დაადასტურა, რომ სისტემისთვის დესტრუქციული ელემენტის როლის შესრულებას არ აპირებს. ამას, ალბათ, უნდა მივესალმოთ, დავასრულოთ საუბარი მარიონეტების თეატრის 2014 წლის სეზონის პრემიერებზე და სერიოზულ თემებზე გადავიდეთ.

როდესაც ბიძინა ივანიშვილი მივიდა პრემიერმინისტრისა და უმრავლესობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, ეს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, იყო სიგნალი, როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიისთვის, რომ პროცესი მის მიერ კონტროლდება და მასზე პასუხისმგებლობას იღებს. საზოგადოებაში ვნებათაღელვის მიუხედავად, განშორებამ ალასანიასთან და მის ჯგუფთან, პრინციპში, უპრობლემოდ ჩაიარა, სრულფასოვან კრიზისს ადგილი არ ჰქონია, სახელისუფლებო სტრუქტურების მუშაობა არ შეფერხებულა. კაცმა რომ თქვას, სისტემა იმისთვის არ შექმნილა, რომ ალასანიას ან, მაგალითად, უსუფაშვილის „გაფართხალებამ“ ნანგრევებად აქციოს და, სავარაუდოდ, უფრო მასშტაბურ რყევებსაც გაუძლებს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კომენტატორები ხშირად მსჯელობდნენ იმაზე, გაბედავს თუ არა ღარიბაშვილი (უფრო სწორად კი ივანიშვილი, რომელიც მის უკან დგას), ვაშინგტონის ფავორიტი ალასანია მოხსნას, რომლის ქცევა და განცხადებები რაღაც ეტაპზე მთავრობის კურსთან აშკარა წინააღმდეგობაში შევიდა. ივანიშვილმა გაბედა.

ცვლილებებს თბილისში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შემდეგი განცხადებით უპასუხა: „შეერთებული შტატები შეშფოთებით აღნიშნავს საქართველოს პრემიერმინისტრის მიერ თავდაცვის მინისტრ ალასანიასა და მისი მოადგილეების დათხოვნას, რომელსაც ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პეტრიაშვილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძის გადადგომა მოჰყვა. ჩვენ დიდად ვაფასებდით სამუშაოს, რომელიც ამ მინისტრებმა თავიანთი ქვეყნის სამსახურში და შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობისას გასწიეს. რეგიონში არსებული მღელვარებისა და საშინაო ეკონომიკური გამოწვევების დროს, საქართველოს ინტერესშია სტაბილურობის, ერთიანობისა და იმის დემონსტრირება, რომ ქვეყანა სამართლებრივი პროცედურებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის ერთგულია და რომ საზოგადოება ენდობა დემოკრატიულ ინსტიტუტებს. მოვუწოდებთ ყველა მხარეს, იმუშაონ ერთად აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად და ყურადღება გაამახვილონ საქართველოს ევრო-ატლანტიკურ მომავალზე. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გადადგას ნაბიჯები, რათა გააქარწყლოს აღქმა, რომ სასამართლო სისტემა გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის და გვიჩვენოს, რომ ის საერთო დემოკრატიული ღირებულებების ერთგულია“. ამ განცხადების უკან, ალბათ, შეიძლება აღმოვაჩინოთ, როგორც აშკარა უკმაყოფილება, ისე ცუდად შენიღბული ჩარევა საქართველოს საშინაო საქმეებში, თუმცა მთავარი აქ, ალბათ, არა იმდენად ალასანიას ან მისი თანაგუნდელების პერსონალური საკითხია, რამდენადაც კონტროლი ისეთ საკვანძო უწყებაზე, როგორიცაა თავდაცვის სამინისტრო. ირაკლი ალასანიას და მისი მოადგილეების მოხსნით და მინდია ჯანელიძის დანიშვნით, ივანიშვილის ხელისუფლებამ ამ უწყებაზე კონტროლი მნიშვნელოვნად გააძლიერა, შესაძლოა, ძია სემის ინტერესების ხარჯზე. სიტყვა „შესაძლოა“ ნახმარია იმიტომ, რომ ფორმალური თვალსაზრისით აშშ-ისა და საქართველოს ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება, თუმცა, ამავე დროს, ბევრ დამკვირვებელს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ძია სემს ჯოკერს ართმევენ, დღისით-მზისით, ყველას თვალწინ. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა შეიძლება იგრძნოს მან ასეთ დროს, გაცილებით რთული ამოსაცნობია, რა შეიძლება მოიმოქმედოს.

***ალასანიას გადაყენებისა და სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების შემდეგ ზოგიერთი „ნაციონალი“ და ალასანიას გულშემატკივარი უცნაური ისტერიული კმაყოფილებით წერდა სოციალურ ქსელებში: „ახლა ნახეთ, რას გიზამთ დასავლეთი!“.*** „მენტალური მონობის“ (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) ეს ამოფრქვევა ძალიან ცუდად გამოიყურებოდა, თუმცა მის პარალელურად გაისმოდა სხვა, გაცილებით მრავალრიცხოვანი რეპლიკები, რომელთა მოკლე შინაარსი შეიძლება მარტივ ფორმულამდე დავიყვანოთ: „ეს ჩვენი ქვეყანაა“. **როგორც ჩანს, საქართველოს ბევრ მოქალაქეს ამ დღეებში მოუხდა დაფიქრება ისეთ ფუნდამენტურ თემებზე, როგორიცაა დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის არსი და, რაოდენ პათეტიურად უნდა გაიჟღეროს – ეროვნული ღირსება, იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს ქვეყანა თავის მინდორ-ველიანად, მთა-გორიანად, მოსახლეობიანად, ხელისუფლებიანად თუ თავდაცვის სამინისტროიანად. ეს, ნებისმიერ შემთხვევაში, საკმაოდ სასარგებლო გამოცდილება იყო.**

თავდაცვის სამინისტროს ივანიშვილმა „ალყა“ სწორედ მაშინ შემოარტყა, როდესაც ობამას ადმინისტრაციას უამრავი პრობლემა აქვს, ხოლო ვაშინგტონზე მიბმული ძალები ქართულ ელიტაში დასუსტებულ-დაქსაქსული და ნაწილობრივ დისკრედიტებული არიან. ძალაუფლებით და თანმდევი სიამოვნებებით ტკბობამ მათ ბევრ წარმომადგენელს აშკარა დეგრადაციისკენ უბიძგა. ამავე დროს, ყველა პრობლემის მიუხედავად, ივანიშვილის რეიტინგი და გავლენა კვლავინდებურად საკმაოდ მაღალია; ამ ეტაპზე ქართულ პოლიტიკაში მას რეალური კონკურენტი არ ჰყავს. ასეთ სიტუაციაში, ვაშინგტონისთვის სასურველი პოლიტიკოსების მოყვანა საქართველოს ხელისუფლების სათავეში, არჩევნების თუ „მაიდნის“ გზით, არც ისე მარტივი იქნება. ამას აუცილებლად მოჰყვება დესტაბილიზაცია, ის კი მწვავე გეოპოლიტიკური კონკურენციის ზონაში ძალზე სარისკოა. რას იზამს ვაშინგტონი – გამწვავებაზე წავა თუ შეეგუება იმას, რომ ივანიშვილმა ფაქტის წინაშე დააყენა და საკუთარი ინიციატივით, ასე ვთქვათ, „ადგილობრივი თვითმმართველობა“ გააფართოვა?

საქმე, ალბათ, მაინც მეორე ვარიანტთან გვექნება, თუმცა, წარსულის მძიმე გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც უარესისთვის უნდა ვემზადოთ, კერძოდ „მაიდნის“ მცდელობისთვის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. **ამ პერსპექტივის გათვალისწინებით ივანიშვილის ხელისუფლებამ შეიძლება გააძლიეროს კონტრდაზვერვა და გაამკაცროს კონტროლი ელიტის მიზნობრივ ნაწილზე, თუმცა მთავარი, ალბათ, გონივრული საშინაო პოლიტიკის გატარებაა, სამართლიანობის აღდგენა და ეკონომიკური მდგომარეობის თუნდაც მცირე გაუმჯობესება, რომლის გარეშეც „ქართული ოცნების“ მრავალრიცხოვანი ამომრჩეველი (მისი მთავარი რესურსი) ხელისუფლებას ზურგს შეაქცევს.**

დ. მონიავა

**როდესაც ბიძინა ივანიშვილი მივიდა პრემიერმინისტრისა და უმრავლესობის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, ეს, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, იყო სიგნალი, როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიისთვის, რომ პროცესი მის მიერ კონტროლდება და მასზე პასუხისმგებლობას იღებს. საზოგადოებაში ვნებათაღელვის მიუხედავად, განშორებამ ალასანიასთან და მის ჯგუფთან, პრინციპში, უპრობლემოდ ჩაიარა, სრულფასოვან კრიზისს ადგილი არ ჰქონია, სახელისუფლებო სტრუქტურების მუშაობა არ შეფერხებულა.**

# მამანტი ერასტოს ძე ჯოლია 91 წლისაა



სსრკ-ს საპატიო ჩეკისტი, პოლკოვნიკი მ. ჯოლია დაიბადა 1924 წლის 10 მარტს გალის რ-ნის სოფელ შეშელეთში, გლეხის ოჯახში, ეროვნებით ქართველია.

1940 წელს დაამთავრა გალის № 2 საშუალო სკოლა. (1930-34 წლებში სწავლობდა შეშელეთის დაწყებით სკოლაში). 1950 წელს დაამთავრა ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, და მიიღო ისტორიკოსის სპეციალობა. (1940-42 წლებში სწავლობდა აღნიშნულ ინსტიტუტში, შემდეგ იმყოფებოდა სსრკ-გერმანიის ომში. 1947 წელს დაუბრუნდა უმაღლეს სასწავლებელს.) 1965 წელს დაამთავრა სსრკ უშიშროების სამინისტროს კიევის სადაზვერვო უმაღლესი სასწავლებლის ერთწლიანი კურსი.

მ. ჯოლია 1942 წლის ოქტომბერში მოხალისედ მიდის დიდ სამამულო ომში. ბუინაქსკის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ (უმცროსი ლეიტენანტის, ლეიტენანტისა და უფროსი ლეიტენანტის წოდებით) იბრძოდა უკრაინის მეოთხე, ბელორუსიის პირველი, მეორე და ბალტიისპირეთის ფრონტებზე ოცეულისა და ასეულის მეთაურად. განსაკუთრებით დაამახსოვრდა ქ. სევასტოპოლის მისადგომებთან "საპუნ-გორას" მაღლობის აღების ეპიზოდი, რომელიც დიდი დანაკარგების მიუხედავად სივაშის სახელობის 417-ე წითელდროშოვანმა დივიზიამ შეძლო. მსუბუქად დაჭრილი იყო ორჯერ. ომის შემდეგ 1947 წლამდე იმავე დივიზიის 1369-ე პოლკის შტაბის უფროსის თანაშემწედ მსახურობდა.

მ. ჯოლია 1950 წელს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1950-1960 წლებში სოხუმის რკინიგზის უშიშროების განყოფილების ოპერრწმუნებულად და უფროს ოპერრწმუნებულად. 1960-65 წლებში – გალისა და ოჩამჩირის რაიონებისა და ქ. ტყვარჩელის უშიშროების უფროსად. 1965-70 წლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის უშიშროების უფროსად. 1970-78 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი. 1978-1993 წლებში – აფხაზეთის ასსრ თევზდაცვის გამრავლებისა და რეგულირების სახელმწიფო ინსპექციის უფროსი. 1994-96 წლებში იყო საქართველოს ეროვნული გვარდიის კონტრდაზვერვის უფროსი. 1996-98 წლებში – საქართველოს უშიშროების მინისტრის უფროსი მრჩეველი და საქართველოს უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1998 წლიდან დღემდე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

მ. ჯოლია სპეციალური მივლინებით (დავალებით) იმყოფებოდა ავსტრიაში (1962 წ.), საბერძნეთში (1963 წ.), იტალიაში (1965 წ.), თურქეთსა (1967 წ.) და რუმინეთში (1974 წ.)

მ. ჯოლია იყო მშრომელთა (სახალხო) დეპუტატების ოჩამჩირის რაიონული, სოხუმის და ზუგდიდის საქალაქო საბჭოების დეპუტატი და საქართველოს კპ ოჩამჩირის რაიკომისა და ზუგდიდის ქალაქკომის ბიუროების წევრი.

მ. ჯოლია დაჯილდოებულია ორი "წითელი ვარსკვლავის", დიდი სამამულო ომის პირველი და მეორე ხარისხის "ღირსების" და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენებით.

მეუღლე – ცაგო გოგბერიშვილი. შვილები – თიაზი, ლიანა, ოლეგი.

დევნილობის გამო დროებით ცხოვრობს თბილისში.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში, რომელშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ მამანტის.

ბატონი მამანტის ინიციატივით დაარსდა ქართველ უხუცესთა საბჭო აფხაზეთიდან, რომლის თავმჯდომარე თვითონ უნდა გამხდარიყო, მაგრამ მისი დაჟინებული მოთხოვნისა და თხოვნის თანახმად უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს მე კონსტანტინე მარშავა, თვითონ კი კენჭი იყარა მოადგილის თანამდებობაზე, რაც ერთსულოვნად იქნა დაკმაყოფილებული.

"აფხაზებთან ნდობის აღდგენისა და შერიგების კავშირმა" (თავმჯდომარე ო. ჯოლია) და საქართველოს უხუცესთა საბჭომ პირადად მამანტი ჯოლიას ხელმძღვანელობით გამოიმუშავა და როგორც ძველი, ისე ახალი მთავრობის წინაშე დააყენა 12 წინადადება-პროექტის განხორციელების საკითხი, რაც ემსახურებოდა აფხაზთა და ქართველთა შორის ნდობის აღდგენის საქმეს. ძველიდან პასუხიც არ ყოფილა – ახალმა ყოველგვარი ხელშეწყობა შემოგვითვალა.

რამოდენიმე წლის უკან განხორციელდა აფხაზეთის პრეზიდენტთან ბატონ ალექსანდრე ანქვაბთან სატელეფონო საუბარი სასაფლაოების მონახულების საკითხის გადაწყვეტის შესახებ. ამას წინ უძღოდა კავშირის თავმჯდომარის ოლეგ ჯოლიას გამგზავრება მოსკოვში აფხაზ ვეტერან უხუცესებთან შესახვედრად. შეხვედრამ ჩაიარა თბილ, საქმიან ვითარებაში. საუბარი იყო ჩვენს შორის არსებულ პრობლემებზე და მის მოგვარების გზებზე.

მამანტი ჯოლიას თავისი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის უბრძოლია პატიოსანი სახელის მოხვეჭისა და სამშობლოს კეთილდღეობისათვის – რაც დღესაც დაუსახავს მიზნად, მიუხედავად სოლიდური ასაკისა.

ბატონი მამანტი, მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის გამო, აფხაზეთის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის წევრების მოთხოვნით არჩეულ იქნა ამ კავშირის საპატიო თავმჯდომარედ.

სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს მამანტი ჯოლიას ვუსურვებთ სიხარულს სიკეთეს და მრავალჟამიერ სიცოცხლეს!

**კ. მარშავა,**
ქართველ უხუცესთა
(აფხაზეთიდან) თავმჯდომარე

## „მემარჯვენე სექტორი" „უცხო-ქართველებისგან" უკრაინის ხელისუფლების გაწმენდას ითხოვს!

უცხოელი მოქალაქეები, მათ შორის, ქართველებიც, არ უნდა მუშაობდნენ უკრაინის სამინისტროებში! – ამის შესახებ „მემარჯვენე სექტორის" კიევის საქალაქო ორგანიზაციის ხელმღვანელმა ვლადიმერ ზაგაზეიმ 2015 წლის 25 თებერვალს უკრაინის შსს-ს ცენტრალურ ოფისთან „რადიკალების მარშის" მიმდინარეობისას განაცხადა. ზაგაზეი დარწმუნებულია, რომ ძალოვან სტრუქტურებს უცხოელები კია არა, ის ხალხი უნდა ხელმძღვანელობდეს, ვინც ომი გამოიარა.

„ქართველ ერს დიდ პატივის ვცემ, მაგრამ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები უკრაინელებს უნდა ეკუთვნოდეთ, – დარწმუნებულია აქტივისტი, – როცა ძალაუფლებას უცხოელს ვაძლევთ, უკრაინისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, იგი მაინც არ მოეპყრობა მას მშობლიურივით!"

უკრაინის შსს-ს შენობის ფანჯრიდან კი მომიტინგეებს თვალს ადევნებდა უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე – ძებნაში მყოფი სისხლის სამართლის დამნაშავისა და ექსპრეზიდენტი სააკაშვილის ერთგული თანაგუნდელი...

**საქინფორმი**



## სააკაშვილი კიევის ბარში სექსსკანდალში გაეხვა – "ქრონიკა"

"საქართველოს პრეზიდენტყოფილი მიხეილ სააკაშვილი, ერთ მშვენიერ საღამოს, კიევში გვარიანად გამომთვრალა და ბარში ერთ-ერთი ლამაზმანისთვის დაუდგამს თვალი. საკუთარი დაცვის წევრი მიუგზავნია ამ გოგონასთან და ერთი ღამის გატარება შეუთავაზებია, გარკვეული ანაზღაურების საფასურად. უცხო გოგონას მიშას დაცვის ბიჭისთვის კაი ლაზათიანი სილა გაუწნია... მოგვიანებით გაირკვა, რომ გოგონა, რომელსაც სააკაშვილმა ერთი ღამით სექსი შესთავაზა, უკრაინაში მეტად გავლენიანი ბიზნესმენის შვილი ყოფილა. ეს ბიზნესმენი, წარსულში პეტრო პოროშენკოს ბიზნესპარტნიორიც გახლდათ", – ამ ტექსტს გაზეთი "ქრონიკა" აქვეყნებს. გამოცემა ირწმუნება, რომ ამის შესახებ "ნაცმოძრაობასთან" დაახლოებულმა წყაროებმა მიაწოდეს ინფორმაცია.

გაზეთის ცნობით, სააკაშვილს ვიტალი კლიჩკოსთანაც მოსვლია შელაპარაკება.

"ბარში მომხარმა სკანდალმა, მას ერთი მეგობარიც დააკარგვინა. მიშას სერიოზული შელაპარაკება მოსვლია კიევის მერთან და "მაიდნის" ერთ-ერთ მთავარ შემოქმედთან, ყოფილ პროფესიონალ მოკრივე ვიტალი კლიჩკოსთან. კლიჩკოს გაუფრთხილებია სააკაშვილი, შენს იმიჯს მიხედე, უკრაინას ნუ არცხვენ უცხოეთში და აქ კიდევ, იმ ბიზნესმენებს ნუ გადაგვიკიდებ, ვინც გვაფინანსებდა და დღესაც გვერდში უდგას ჩვენს ხელისუფლებასო. ცხადია, იმ გოგოს მამა იგულისხმა, მიშას სექსზე უარი რომ უთხრა", – დასძენს გამოცემა.

რა თქმა უნდა, ლაჩარი მიხეილ სააკაშვილი კლიჩკოს სიტყვას ვერ შეუბრუნებდა და ვერც თავს გაუხეთქავდა საფერფლით, როგორც ეს ზურაბ ჟვანიას გაუკეთა, რადგან, როგორც იტყვიან: "მტერს მოხვდა კლიჩკოს მუშტი!".

ამ შეურაცხადს უკრაინა საქართველო ხომ არ ჰგონია, პრეზიდენტობის იმუნიტეტით გათავხედებული, ქალებს ხან ძუძუს რომ აჭამდა და გამტყვრალი მთვრალი ან ნარკოტიკებით გაბრუებული რომ ელაბუცებოდა. ნამდვილად არა მგონია, რომ ამ არაკაცმა ცოცხალმა გამოასწროს უკრაინიდან.

გზაც მოუსავლეთში ჰქონია.

როცა ცოფიან ძაღლს კლავენ, სოფელი მშვიდად აგრძელებს ხოლმე ცხოვრებას!



## პოეზიის კუთხე

ქჯდომიტუ ჭარაქ ხვალე,
ჩქიმი რინა გორთუ ოთხო,
ბორია რე გურიშ გალე,
ეთმიფშაფუ ნარღიშ კორთხო.

შური ორთას იკვირუანც,
კინ დირზინე დაჩხირ-ნოფა,
ზიტყვა, რინას მირთინუანც,
სქან გურიშე მგკნასოფა.

დინაფილი ბრელი მაფუ,
თი გოთანას ტყურათ ვნატრენქ,
ერჩქინაშე უძირაფუ,
სქანი სახე ქიწივლანტე.

რინას მუში ცოდა გარე,
მინჭუაფუ უჩა შვანი,
ჩქიმი შური წინგი ვარე,
გონწყანი დო დოკიჩანი.

თე აკანეფც ვიკვირუა,
მინ თეში დო მინი თაში,
უჩურცხალი ორე ჭუა,
მარა ღურუ – უფურაში.

თე ქიან – ღეჯიშ როფე,
კოჩიშ ნტერი ირო რდუა,
ომბოლიში კვერი ცოფე,
მარა დღასგ ვემირდუა.

* * *

დოთირელე არძა ფერი,
გურც ანთასი ჭუა მობუ,
დუც გიმორე უჩა სერი,
ულაშ ბორჯი გგმასოფუ.

ბონი შოშე სოთინ ვაჩქუ,
მარა ვამიღ ანწი მენდი,
უკოჩობაშ ცვანას ვხაჩქუ,
აიშახ ბერგის ვთაკილენდი.

"მინ რექია" – თქუანქ გურით,
მარა ნარღი ვარე ეფი,
თი სერი დო ჩილამურით
ეფშა მაფუ ლაწკარეფი.

სი გიცოთამ შხვაში ჩირე,
დღასგ ვარდი ჩქიმი თური,
ეკონიათ ეწმაძირე,
სქან თოლეფი გოსოფური.

ხუჯო მიჩქუ: ფორიაში
ასე დუბეს ქინიხვილუ,
სი შური რექ ბორიაში,
გელალუქ დო კინი პილუ.

ვათმაჩერდგ იშენთ ორთა,
ღურუქ ცალა თოლეფ განჯგ,
ნაკეკინა, ნაგორგოთა,
გურ ოგურეს ალასვანჯგ.

დოთირელე არძა ფერი,
გურც ანთასი ჭუა მობუ,
დუც გიმორე უჩა სერი,
ულაშ ბორჯი გგმასოფუ.

* * *

ლერსიშ მენდულო ქგდოვსქილადექ,
დიო წყარალა, უკულ ნაწყარი,
გურცგ ცოროფა გევობირაფე,
ოწმახ მიჩქუდგ არძა ლაწკარი.

დინოხ იბარბანჩ ქერეთ-გოლოფა,
ლერსიქ ქიმკარდუ გურიშ ნაფალას
დო მა ფირქეფი მომიღ ჩხოროფა,
აფუნიშ ჭვემა გიმოჩხაპალანს.

ღიობო დიბტე გური შუშელი,
ვამოხვარგდგ ნგარა-ნირზინი,
ალბეთ, ცაშე რექ გიმნაშკუმელი,
თეზმა ბორჯისგ ქგამირზინი.

დეცან, ხანგა რექ, ჩქიმდე რტებული,
ჰავას ქაცუნი, სოლეთ მორთინი,
ჯაქვაბორიას სქანი მენდული,
მიდეღ, მემიჩამ არძა კორინი.

იშენთ ვამოკო ხვალე ვღორუე,
გურიშ ნაბირა ოკო მოვთანჯე,
ქიმმოწურაფე, ქიმივგორუე
სქან ოხვენჯი დო სქანი ოგვაჯე.

ლერსიშ მენდულო ქგდოვსქილადექ,
დიო წყარალა, უკულ ნაწყარი,
გურცგ ცოროფა გევობირაფე,
ოწმახ მიჩქუდგ არძა ლაწკარი.

**გიორგი ხულორდა,**
2014 წანა, ღურთუთა

# საქართველო სოციალური აფეთქების ზღვარზე – რა წერია საბანკო ხელშეკრულებაში ჩადებულ "ნაღმებში"

საქართველო სოციალური აფეთქების ზღვარზეა – ასე შეაფასა, ეკონომიკის დოქტორმა ლია ელიავამ ბანკებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთობა. რა ხდება დღეს საქართველოში? ბანკთან მიმართებაში მართლაც უუფლებო და მონურ მდგომარეობაშია მოსახლეობა, თუ ყველაფერი თავად ხალხის ბრალია? საქართველო ახლოს არის ევროპულ საბანკო სისტემასთან, თუ ამ მიმართულებით ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი? ამ და სხვა კითხვებით, რომლებიც მოსახლეობას აწუხებს, ჟურნალისტებმა ექსპერტ ლია ელიავას მიმართეს, რომელმაც შემქნილ სიტუაციაზე გულახდილად ისაუბრა.

**– ქალბატონო ლია, საუბარი დავიწყოთ ერთ მეტად გაუგებარ პუნქტზე, რომელსაც აუცილებლად წერს ბანკი თავის კონტრაქტში. საუბარი მაქვს, კონტრაქტის იმ პირობაზე, სადაც ბანკი უფლებას იტოვებს, შეცვალოს პირობები კლიენტისგან დამოუკიდებლად...**

– ეს პუნქტი გაჩნდა მას შემდეგ, რაც ეროვნულმა ბანკმა გამოსცა სპეციალური ნორმატიული დოკუმენტი, რომლითაც კომერციულ ბანკებს ნება დართო, შეცვალონ პირობები ხელშეკრულებაში – ეს არის გაუგონარი რამ. ევროპაში, ევროკავშირის დოკუმენტებში წერია, რომ კომერციულ ბანკს შეუძლია შეცვალოს კლიენტთან დადებული ხელშეკრულების პირობები, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ცვლილება არ აუარესებს კლიენტის ფინანსურ მდგომარეობას. ჩვენთან, საქართველოში, თუ თქვენ დაგიდეს ხელშეკრულება, დავუშვათ 20%-ზე, ბანკს შეუძლია თავისუფლად აწიოს 25%-მდე და შეგატყობინოს ერთი თვით ადრე. რა უნდა გააკეთო ერთი თვით ადრე? სესხი გაქვს და ვერ დაფარავ, მის რესტრუქტურიზებაზე ბანკები, ჩვეულებრივ, არ მოდიან ხოლმე. პრაქტიკულად, იძულებული ხარ მონურ მდგომარეობაში იყო ბანკებთან მიმართებაში და თეორიულად, ბანკს შეუძლია გაგაკოტროს კიდეც. ასეთი რამ ხშირად არ ხდება, მაგრამ ხდება. არაფერი არ აინტერესებთ ბანკებს გარდა საკუთარი შემოსავლისა და მოგებისა. როდესაც ხედავენ, რომ მათი შემოსავლები მცირდება, ისინი ყველა შესაძლებლობას მიმართავენ, რომ აინაზღაურონ დანაკლისი. თუ არის შესაძლებლობა, ისინი მსესხებელს გაუზრდიან საპროცენტო განაკვეთს. ეს ჯერ არ ატარებს მასობრივ ხასიათს, რადგან შეიძლება ამან გამოიწვიოს გადაუხდელობის უზარმაზარი ტალღა და ეს ნიშნავს საბანკო სექტორის გაკოტრებას.

**– ამ პუნქტის გარდა, თუ არის კონტრაქტში "ნაღმები", რომელიც მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის და რამაც შეიძლება სერიოზულად აზარალოს კლიენტი?**

– ხელშეკრულებები, რომლებსაც კომერციული ბანკები დებენ თავიანთ კლიენტებთან, შეიცავენ დიდი ოდენობის ისეთ პუნქტებს, რომლებიც საერთოდ გაუგებარია მსესხებლისთვის და ბანკის კლიენტისთვის. ყველას არ აქვს იმის საშუალება, რომ ეს კონტრაქტი მიიტანოს იურისტთან, არა მარტო იმიტომ, რომ იურისტის ფული არ აქვს, არამედ ელემენტარულად იმიტომ, რომ ბანკი ხელზე კონტრაქტს არ აძლევს კლიენტს, მანამ, სანამ ის ხელს არ მოაწერს მას. ამიტომ, ისეთ პირობებში, როდესაც ზიხარ ბანკის ოფისში, ელაპარაკები ბანკის თანამშრომელს, ამ დროს წაიკითხო კონტრაქტი და ბოლომდე გაიაზრო შიგნით რა წერია, არის საოცრად რთული და მარტო იურისტის კვალიფიკაციის მქონე პირს ხელეწიფება ამის გაკეთება.

იმის გამო, რომ კლიენტს ფული სჭირდება სასწრაფოდ, ის მეტწილად ენდობა ბანკის პატიოსნებას და ხელს აწერს კონტრაქტს. არ წარმოიქმნება პრობლემა, თუ ბანკის კლიენტი პატიოსნად იხდის თავის დავალიანებას დროულად და სრული მოცულობით. პრობლემები იქმნება მაშინ, თუ პიროვნება ვეღარ ახერხებს სრულად და დროულად დავალიანების დაფარვას. ამ დროს აღმოჩნდება ხოლმე, რომ კონტრაქტის ბევრი პუნქტი, რომელზეც მან ხელი მოაწერა, თურმე ლახავს მის უფლებებს, მის არა მარტო ადამიანურ უფლებებს, არამედ როგორც ფინანსური მომსახურების მომხმარებლის უფლებებს. ისეთი მუხლი, როგორიც არის, სასამართლოს განსჯადობის კონტრაქტიდან ამოღება და იმის ჩაწერა, რომ საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა განიხილოს დავა, ამ შემთხვევაში მოქალაქემ შეიძლება არ იცოდეს, რომ უფლება აქვს იჩივლოს საერთო სასამართლოში და აუცილებლად მისდევს ბანკს საარბიტრაჟოში. საარბიტრაჟო, მოგეხსენებათ, რომ არის სწრაფი სასამართლო და მეტ წილ შემთხვევაში ბანკის უფლების დამცველი. ეს არის ერთი მაგალითი ამ მძიმე მუხლებისა. თუ თქვენ გადახედავთ კონტრაქტებს, კომერციული ბანკის უფლებები შემოიფარგლება ერთი-ორი პირობით, სამაგიეროდ, მათი კლიენტის უფლებები და მოვალეობები გაწერილი არის ორ გვერდზე მაინც. აი ასეთი სიტუაცია ჩამოყალიბებულია იმის შედეგად, რომ ქვეყანაში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს საკრედიტო საქმიანობას, არ არსებობს კანონი საკრედიტო საქმიანობის შესახებ, არ არსებობს მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც უნდა იყოს გაწერილი, რა უნდა შედიოდეს ბანკთან დადებულ ხელშეკრულებაში და რა არ უნდა შედიოდეს.

**– ელექტრონული ვერსიით, ან სხვა საშუალებით მომხმარებელს არ შეუძლია გაეცნოს ბანკთან დასადები კონტრაქტის პირობებს?**

– ყველა ბანკის ხელშეკრულება არის ერთმანეთის მსგავსი. ეს განპირობებულია იმით, რომ საბანკო სექტორი არის ოლიგოპოლიზირებული, მასში არსებობს ორი დიდი ოლიგოპოლია და სხვა დანარჩენი კომერციული ბანკები მათ მისდევენ. ერთი პერიოდი ერთ მსხვილ ბანკს ეკიდა სამომხმარებლო ხელშეკრულების ზოგადი ფორმა საიტზე და მგონი ისიც მოხსნა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ვერ გაეცნობი ხელშეკრულებას წინასწარ, ბანკის თანამშრომლის გარეშე. ბანკის წინაშე მისი კლიენტი არის სრულიად უუფლებო და დაუცველი.

**– თუ იკითხება ამ გაურკვეველი პუნქტებით მომხმარებლის მოტყუების მცდელობა?**

– სამომხმარებლო სესხი აიღო ერთმა პიროვნებამ 250 ლარის ოდენობით; ხელშეკრულებაში მას უწერია, რომ სესხი არის ნულოვანი საპროცენტო განაკვეთის, მაგრამ ბანკმა მას მოსთხოვა თანადაფინანსება 53 ლარი. როდესაც კლიენტმა გადაიხადა 53 ლარი და შეუდგა დარჩენილი თანხის გადახდას, აღმოჩნდა, რომ ეს თანადაფინანსება ყოფილა კომერციული ბანკის საკომისიო, რომელსაც, პირდაპირ, კლიენტის გადახდისას იტოვებდა თავის ანგარიშზე, ანუ აღარ ურიცხავდა გამყიდველ მაღაზიას. პრაქტიკულად, ამ სიტუაციაში, კლიენტი დარჩა მოტყუებული, არა მარტო ბანკის მხრიდან, არამედ მაღაზიის მხრიდანაც, იმიტომ, რომ თუ თქვენ იგივე საქონელი მოგინდებათ შეიძინოთ განვადების გარეშე, თქვენ მაინც ზედმეტს გადაიხდით და არავინ გამოგიქვითავთ იმ 53 ლარს. მთელი სიმართლე არ იქნა ასახული კლიენტის ხელშეკრულებაში.

ძალიან ხშირად, კომერციული ბანკები ხელშეკრულებაში დებენ ზოგად პირობებს იმის შესახებ, რომ სესხის ანაზღაურების ვადაგადაცილების დროს, კლიენტს ერიცხება პირგასამტეხელო რაღაც პროცენტის ოდენობით, მაგრამ რაზე დაერიცხება ეს პროცენტი, როგორი არის მისი შემდგომი დარიცხვის პროცედურა, ეს არ არის დარწვრილებით დაწერილი ხელშეკრულებაში და მსესხებელს ჰგონია, რომ კი, მე დავარღვიე და არ შევიტანე 30 ლარი, მგონია რომ დამერიცა 1-2%, სინამდვილეში მიდის კლიენტი და აღმოჩნდება რომ 2%-ის ნაცვლად დაერიცხა 5-10%. ეს გაურკვეველი პუნქტები, რომლებშიც მსესხებელი კარგად ვერ ერკვევა და ვერ ანგარიშობს თავის მომავალ რისკებს, ძალიან სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსესხებლის არა მარტო გადახდისუნარიანობას, მის მატერიალურ კეთილდღეობას, მისი ოჯახის მატერიალურ კეთილდღეობას. ამის უამრავი ფაქტი და მაგალითი არსებობს. შედეგი რა შეიძლება ვთქვათ, იმისთვის რომ, არც ბანკები დაზარალდნენ და არც მოსახლეობა ჩავარდეს მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, აუცილებელია ბანკების საქმიანობის უფრო ცხადი და უფრო მკაცრი რეგულირება და ადამიანების, როგორც ფინანსური მომხმარებლების უფლებების დაცვა კანონით. შესამუშავებელია სპეციალური კანონი ფინანსური მომსახურების მომხარებლეთა უფლებების დაცვის შესახებ, სადაც დაწერილი იქნება მისი ყველა უფლება ბანკთან და ყველა საფინანსო დაწესებულებასთან ურთიერთობისას.

**– რას გვკარნახობს ევროპული გამოცდილება? ბანკის საქმიანობა ამერიკასა და ევროპაშიც იგივეა, რაც საქართველოში?**

– ევროპასა და ამერიკაში იპოთეკური სესხი გაიცემა გირაოს გარეშე. ბანკები არ ითხოვენ იპოთეკური სესხისთვის კიდევ დამატებით რაღაც ქონების ჩადებას. უკვე ითვლება, რომ თუ სესხი გაიცა უძრავი ქონების შესასყიდად, ეს უკვე არის გირაო, ის არ ითხოვს რომ სხვა საცხოვრებელი ჩადოს გირაოში. საქართველოს შემთხვევას შეიძლება თავისი გარკვეული მიზეზები ჰქონდეს, ვთქვათ, კომერციული ბანკები ვერ ენდობიან საქართველოს უძრავი ქონების ბაზარს, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ერთი ბინის გაყიდვა იქნება პრობლემური და ამიტომ ჯობია ორი და სამი ბინა ჰქონდეს გირაოში, რადგან რამე რომ იყოს, სამ ბინას გაყიდის და ამოიღებს სესხის საფასურს. აი ასეთი საკითხები, ევროპასა და ამერიკაში, რეგულირდება სპეციალური კანონებით გირაოს შესახებ. არსებობს კანონები იპოთეკის შესახებ. ევროპასა და ამერიკაში აკრძალულია ადამიანის ერთადერთი საცხოვრისის გირაოდ გაღება. იქ ადამიანი დაცულია როგორც ბანკის თავხედობისაგან, ასევე საკუთარი შეცდომების დაშვებისგანაც.

საქართველოში საფინანსო სექტორი აბსოლუტურად თავხედობს და მისი მხრიდან მოსახლეობის ძარცვის მასშტაბები არის გამაოგნებელი, მაგრამ მეორე მხრივ, მოსახლეობა ჩადის შეცდომებს ნებსით თუ უნებლიედ, ვერ ანგარიშობს რისკებს.

**– რა არის საჭირო იმისთვის, რომ საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირება მიუახლოვდეს ევროპული რეგულირების ნორმებს?**

– იმისთვის, რომ საქართველოს საბანკო სექტორის რეგულირება მიუახლოვდეს მაინც ევროპული რეგულირების ნორმებს, ძალიან ბევრი კანონია მისაღები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის კანონი ფინანსური მომსახურების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც სასწრაფოდ უნდა მივიღოთ, სანამ არ მოხდა ქვეყანაში სოციალური აფეთქება და სოციალური ბუნტი, იმიტომ, რომ სულ ცოტა აკლია ხალხს ამოასხას და იფეთქოს. მისაღებია კანონი საკრედიტო საქმიანობის შესახებ, სადაც გაწერილი იქნება, თუ როგორ, რანაირად, რა სახით, რა ფორმით შეიძლება კრედიტის გაცემა და ეს შეეხება არა მარტო კომერციულ ბანკებს, არამედ ყველას, ვინც გასცემს კრედიტებს, მათ შორის კერძო იპოთეკარებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ლომბარდებს და ა.შ.

**გ. ხარშილაძე**

# აშშ-ში კურსანტები სოსო მაკარიძე და ბესო გორჯოლაძე დაიღუპნენ

***საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი***

კიდევ ერთმა ტრაგედიამ შეძრა საქართველო – ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-ჯერსიში ავტოავარიაში ორი ქართველი სამხედრო კურსანტი დაიღუპა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ში გარდაცვლილი ქართველი სამხედრო კურსანტების შესახებ ინფორმაციას გამოაქვეყნა.

ოფიციალური ინფორმაციით, რიგითი სოსო მაკარიძე ნიუ-ჯერსიში აშშ-ის საზღვაო თავდაცვის აკადემიის IV დამამთავრებელი კურსის მსმენელი იყო. ის აკადემიაში 2011 წლიდან სწავლობდა. II კურსის მსმენელი, რიგითი ბესარიონ (ბესო) გორჯოლაძე კი საზღვაო თავდაცვის აკადემიაში 2013 წლიდან ირიცხებოდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო თავდაცვის აკადემიის ორი ქართველი მსმენელის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილების ოჯახებს.

"რიგითი სოსო ალექსანდრეს ძე მაკარიძე და რიგითი ბესარიონ კახას ძე გორჯოლაძე ნიუ-ჯერსის შტატში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაიღუპნენ. ორივე ახალგაზრდა დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მსმენელად ირიცხებოდა და აშშ-ის საზღვაო თავდაცვის აკადემიაში სწავლობდა." – აცხადებენ სამინისტროში.

ნიუ-ჯერსში ავარია 5 მარტს, გამთენიისას მოხდა. ავტოავარიის შედეგად ერთი ქართველი კურსანტი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი – ჰოსპიტალში მიყვანის შემდეგ.

ავტომანქანას, რომელშიც ქართველი კურსანტები ისხდნენ, არსებული ინფორმაციით, აშშ-ს მოქალაქე მართავდა. იგი ამჟამად ჰოსპიტალშია მოთავსებული. მომხდარი ტრაგედიის გამო მწუხარება გამოთქვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ. როგორც საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი, ელჩი ნორლანდი და შეერთებული შტატების მთელი საელჩო საშინლად დაამწუხრა ქართველი სამხედრო კადეტების, ბესარიონ გორჯოლაძისა და სოსო მაკარიძის ტრაგიკულმა გარდაცვალებამ ავტოკატასტროფაში, რომელიც რამდენიმე დღის წინ, ნიუ-ჯერსის შტატის მოყინულ სამანქანო გზაზე მოხდა. "კადეტები, გორჯოლაძე და მაკარიძე, კონექტიკუტის შტატში, აშშ-ის სანაპირო დაცვის აკადემიაში სწავლობდნენ. ისინი სამშობლოს უსაფრთხოების დამცველი პატრიოტები იყვნენ, რომლებიც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა შეერთებულ შტატებში განათლების მისაღებად მიავლინა. შეერთებული შტატების საელჩო უსამძიმრებს კადეტების, გორჯოლაძისა და მაკარიძის ოჯახებს, მეგობრებსა და სამხედრო კოლეგებს ამ მძიმე წუთებში", – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

**P.S.** *როგორც გარდაცვლილთა ახლობელები ამბობენ, ორივე კურსანტი განსაკუთრებული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, ისინი სამშობლოს საიმედო ჯარისკაცები იყვნენ.*

*ბედისწერას ვერსად წაუვა ადამიანი, მაგრამ ვინ იცის, ამერიკაში რომ არ წასულიყვნენ სასწავლებლად ეს ახალგაზრდები, იქნებ დღეგრძელები ყოფილიყვნენ.*

*მართლაც – "საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი"...*

*ახლა, როცა საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გამოისობით ქართველები ლამის ეთნიკურ უმცირესობად ვიქცეთ საკუთარ სამშობლოში, თითოეული ახალგაზრდის დაღუპვა არა მხოლოდ მისი ოჯახის, არამედ სრულიად საქართველოს ტრაგედიაა.*

*სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარი ტრაგედიის გამო და უსამძიმრებენ ავტოკატასტროფაში დაღუპულ კურსანტთა ოჯახებს.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ბაკური ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი

მაშინ იქმნას ჩუენ შორის მშვიდობაი ჭეშმარიტი და შეუძლოთ სხუათაცა მშვიდობისყოფად, და ღირს ვიქმნეთ ძედ ღმრთისა წოდებად, ვიყვნეთ რაი ჭეშმარიტნი მშვიდობისმყოფელნი» (35:254-255). სწავლული ბერი – ეფთვიმე ზიგაბენი მათეს სახარების ძველბიზანტიურ წმინდა განმარტებების საფუძველზე მის მიერ შედგენილ განმარტებებში აღნიშნავს, რომ «ძედ ღმრთისად» იწოდებიან «ისინი, ვინც არამხოლოდ თვითონ არ სთესენ უთანხმოებებს, არამედ სხვა მოქიშპეებსაც მიუძღვიან მშვიდობისაკენ. «ძედ ღმრთისად იწოდნენ», ვითარცა მბაძავნი მხოლოდშობილისა მის ძისა, რომლის საქმე იყო შეეერთებინა განყოფილი და შეერიგებინა მოქიშპენი. მშვიდობისმყოფელი შეიძლება იყოს ნეტარი, როგორც საკუთარი ხორცის სურვილების სულის სურვილებთან შემთანხმებელი, და როგორც უარესის უკეთესისათვის დამმორჩილებელი. მშვიდობისმყოფელნი არიან ასევე ისინი, რომლებიც სწავლების გზით ღმრთისაკენ მოაქცევენ მის მტრებს; ისინი ასევე არსებითად არიან ძენი ღმრთისანი იმიტომ, რომ მხოლოდშობილმა ძემაც შეგვარიგა ჩვენ ღმერთთან» (29:50).

როგორც ვხედავთ, დიდი ბაკურის არამხოლოდ მსოფლგაგების სურათი, არამედ თვით სახელიც მისტიური დატვირთვის მატარებელია. შესაბამისად, მორწმუნეთა შეგნებაში და უეჭველად, თვითონ ბაკურის ცნობიერებაშიც ეს გარემოება არაუკანასკნელ როლს ასრულებდა და ვფიქრობთ, რომ მან ჩვენთვის საინტერესო პიროვნების მხრიდან ცხოვრების წესის არჩევანზეც მოახდინა საგრძნობი გავლენა. ვინაიდან, როგორც წმ. კირილე იერუსალიმელი გვასწავლის: «სახელი, მინიჭებული მამისაგან შვილებზედ, ჭეშმარიტია» (იხ. სწავლებანი, XI :137) და ძველთა რწმენით: «სახელი წინასწარმაუწყებელი ნიშანიცაა» (Nomen est omen).

ის ფაქტი, რომ სახელი «ბაკურ» არის «ძე ღმრთისა»-ს სპარსული ექვივალენტი, სხვა მხრივაც არის საყურადღებო. სიტყვა «ღმერთი»-ს ბერძნული შესატყვისი «თეოს», როგორც ვიხილეთ, მისი შემადგენელი ასო-ნიშნების რიცხვითი მნიშვნელობების შეკრების გზით (იზოფსეფიით) რიცხვს «284» იძლევა. რაც შეეხება სიტყვა «ძე»-ს, მისი ბერძნული შესატყვისის «Yios» იზოფსეფია გახლავთ რიცხვი «680» (იფსილონ/400+ი/10+ო/70+ს/200). მაშასადამე, «ღმერთი»-ს სიმბოლური რიცხვია «284», სიტყვა «ძე» კი ჰკრებს რიცხვს «680». ქართულ წელთაღრიცხვაში ბერძნული სიტყვების საკრალური კომპლექსის დამოწმების ფაქტში შეგვეძლო ეჭვიც შეგვეტანა, მაგრამ ჩვენ ხომ დიდი ბაკურის სწორუპოვარ ქმნილებასთან გვაქვს საქმე?! ხოლო ბაკურის ბერძნულში ღრმად განსწავლულობის ფაქტი რომ არანაირ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, ამაში მკითხველს თავად შეეძლო ზემოთ დამოწმებული მასალების ნიადაგზე თვალნათლივ დარწმუნებულიყო. გარდა ამისა, ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითი პარალელებს ჰპოულობს ადრექრისტიანული ხანის მორწმუნეთა ანალოგიურ წარმოდგენებთან.

მაგალითად, იოანეს «გამოცხადებაში» მაცხოვარი იწოდება «ალფად» და «ომეგად». ამ ორ ბერძნულ ასოს შეესატყვისება ციფრები 1+800=801, ხოლო მტრედის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვის «პერისტერა» იზოფსეფია არის იგივე რიცხვი 801. ამიტომ პირველ ქრისტიანთა ცნობიერებაში «საღმრთო ფრინველი» – მტრედი ხშირად ასოცირდებოდა მაცხოვართან (იხ. ეპისკოპოსი პორფირი უსპენსკი. იტალიური მიწის სიწმინდენი. მ., 1996:174-175 რუს. ენაზე). მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება.

ამიტომ ჩვენ უკვე აღარც გვიკვირს ის გარემოება, რომ «284»-ის მსგავსად «680» ასევე ფიგურირებს ქართულ საეკლესიო წელთაღრიცხვაში. კერძოდ, «ქრისტეს პირველად მოსვლის» საკრალური საათის დასაწყისიდან, ანუ «დასაბამითგან» 5.320 წლიდან წინ გადათვლილი 284 წელი თუკი იესუ ქრისტეს შობის თარიღს – 5.604 წელს გვაძლევს, იმავე 5.320 წლიდან წინ გადათვლილი 680 წელი «მეორედ მოსვლის» ჟამის დასაწყის ნიშნულს – «დასაბამითგან» 6.000 წელს თანხვდება. მაინც რისი თქმა უნდოდათ აღნიშნული შესაბამისობით ქართული ასომთავრული ანბანისა და ორიგინალური ქრისტიანული კალენდარული წელთაღრიცხვის შემქმნელებს? ჩვენი აზრით, მათ აღნიშნულით გააცხადეს შემდეგი ინფორმაცია: სამყაროს დასაბამიდან 5.320-ე წლით დაიწყო «ქრისტეს პირველად მოსვლის» საათი, 284 წლის თავზე (ე.ი. 5.604 წ.) ქრისტე განკაცდა; 680 წლის თავზე «ქრისტეს მეორედ მოსვლის» საკრალური საათი დაიწყო.

მთლიანობაში ქრონოლოგიური პერიოდი: «5.320-6.000», ეს არის სიმბოლურად აღებული დროის სივრცე მხსნელი უფლის «პირველად მოსვლის» საათის დასაწყისიდან მისი «მეორედ მოსვლის» საათის დასაწყისამდე, ანუ აღნიშნული პერიოდი იესუ ქრისტეს – «მხოლოდშობილი ძე ღმრთისას» კუთვნილია!

აი, კიდევ ერთი ბრწყინვალე მოწმობა იმისა, თუ რატომ არის «ქებაის» ჰიმნის ავტორის აზრით ქართული ენა (ანბანი) «შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა», რომელიც «მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა»! (გავიხსენოთ, რომ ასომთავრული «ქ»-ანი მაცხოვრის სიმბოლური ნიშანი, ოთხმკლავიანი ჯვარია და რომ იგივე ნიშანი ასომთავრულში მაცხოვრის ძირითადი სახელის «ქ-რისტე» საწყის ბგერას აღნიშნავს; სიტყვები: «ქ-ართული» და «ქ-ართველი» კი სწორედ აღნიშნული ასო-ნიშნით იწყება! – ბ.ხ.). ახლა ხომ სრულიად გასაგები ხდება ის გარემოებაც, თუ რატომ არის ქართული ანბანის 37-ივე ასო-ნიშანი დავათის ქვასვეტის თევზის მოყვანილობის გაშლილ პერგამენტზე ესქატოლოგიურ სცენაში ჩაწერილი?! სიტყვა «თევზი»-ს იზოფსეფია ხომ რიცხვ 37-ს (=თ/9+ე/5+ვ/6+ზ/7+ი/10) ასახიოვებს და იგივე სიტყვა «თევზი»-ს ბერძნული ექვივალენტი ხომ «IXTHYS» არის, რომლის აკროსტიქი: «ი-ესუს ხ-რისტოს თ-ეუ ი-იოს ს-ოტერ» ქართულ თარგმანში გადმოიცემა, როგორც «იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა, მხსნელი»?!

თავის დროზე მათემატიკოსმა ნ. კანდელაკმა და გ. ცერცვაძემ მიუთითეს იმ ფაქტის შესახებ, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანზე დაფუძნებული ორიგინალური ქრისტიანული წელთაღრიცხვის («დასაბამითგანი», «ქორონიკონი») შემქმნელი პირი შთაგონებული იყო იოანე ღმრთისმეტყველის «გამოცხადებით»; მათი სიტყვით, მან შესანიშნავად გაიაზრა ის, რომ 36 ნიშნის ჩათვლით ქართული ანბანის წონაა «666», ანუ აპოკალიფსური «მხეცის რიცხვი», სიმბოლო ყოველგვარი ბოროტებისა და იოანეს გამონათქვამში: «მე ვარ ალფა და ომეგა», 37-ნიშნის შემოღების უდიდესი საიდუმლო დაინახა. კერძოდ, 37-ე სიმბოლოს შემოღებით «666» დაიძლევა ქრისტიანობის სრული გამარჯვებით (იხ. 44:157-163). ამიტომ სრულებითაც არ უნდა მოგვეჩვენოს უცნაურად ის ფაქტი, რომ იოანე ღმრთისმეტყველის «გამოცხადებით» შთაგონებულმა ქართული ანბანის შემქმნელმა პირებმა მისი მიმსგავსებით თუ მიბაძვით დაუდევს რიცხვული მისტიკა საფუძვლად ქართულ ასომთავრულ ანბანზე დაფუძნებულ ქრისტიანულ წელთაღრიცხვას.

«იმისათვის რომ ... გაუგო წინასწარმეტყველს, საჭიროა მისი ძალა. და არავის ძალუძს წინასწარმეტყველის გულისხმის ყოფა, თუ თვითონ ღვთიური სული არ გაუწყებს საკუთარი სიტყვების არსს»-ო, ბრძანებდა წმ. გრიგოლ სასწაულთმოქმედი (III ს.). ახლა სრულიად ნათელი ხდება «ქებაის» ავტორის შემდეგი სიტყვების შინაარსიც: «და მარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მესიისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე. და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან». რატომ უწოდებს ქართულ ენას (ანბანს) ძეგლის ავტორი «ლაზარეს»? იმიტომ, რომ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის იდეა მომავალ, ანუ «მეორედ მოსვლის» ჟამს ნაწინასწარმეტყველები საყოველთაო აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენს მორწმუნეთა შეგნებაში. «მეორედ მოსვლის» მოლოდინი კი, როგორც ჩვენ ამაში შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, აღბეჭდილია ქართულ ასომთავრულ ანბანსა და მისი ასო-ნიშნების რიგ-სათვალავზე დაფუძნებულ ორიგინალურ კალენდარულ წელთაღრიცხვაში. ახლა, «რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!» (მ. 11-15; 13-9, 43; მრ. 4-9, 23; 7-16; ლ. 8-8; 14-35).

ცდება ის, ვინც თვლის, რომ პირდაპირი წერილობითი ცნობა ქართული ეროვნული დამწერლობის ქრისტიანულ ეპოქაში შექმნის შესახებ, ბუნებაში არ მოიპოვება. ზემოთ მოყვანილი მასალების საფუძველზე ჩვენ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით იმ ობიექტურ ჭეშმარიტებაში, რომ თვითონ ქართული ასომთავრულია აღნიშნულის თვალნათლივი მოწმობა; და კიდევ, დავათის ქვასვეტზე აღბეჭდილი და «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის» ჰიმნში გაცხადებული, მაგრამ უკანასკნელ დრომდე «დაფარული» ინფორმაცია. ისინი სათითაოდ აღებულიც კი შეუდარებლად უფრო აღმატებულნი არიან, ვიდრე ლეონტი მროველის სულ რამოდენიმე სიტყვით შეკოწიწებული ზოგადი ხასიათის ფრაზა: «ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული». «თვითონ ამ მონაკვეთის შიგნით თანდათან იკვეთება ორი მეტად ექსპრესიული სინტაგმა: «ამან განავრცო», «ამან შექმნა». ამ სინტაგმებში შემავალი ნაცვალსახელები მკვეთრად უპირისპირდება მონაკვეთის თავსა და ბოლოში მოხსენიებულ «ფარნავაზ» სახელს. უცნაური იჭვიც კი იბადება: რატომ «ამან» და არა «ამან ფარნავაზ?»-ო, სვამს რეზონულ კითხვას მწერალი თ. ჩხენკელი (94:145). მართლაც, რატომ? ამ კითხვაზე, ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული მაგალითების გარდა, შეიძლება პასუხს გვაძლევს «ფარნავაზ»-სახელის იზოფსეფიაც, ანუ რიცხვი «666», რომლის შესახებაც იოანე ღმრთისმეტყველი «გამოცხადებაში» ბრძანებს შემდეგს: «აქა არს სიბრძნე; რომელსა აქუს გონებაი, აღიპყარნ რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისაი არს რიცხვი მისი ექუს სამეოც და ექუს» (13,18). გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სახელი «ფარნავაზ» მისი აპოკალიფსური შინაარსის მქონე იზოფსეფიის (666) ნიადაგზე ქართული ასომთავრულის შემქმნელებმა გაიაზრეს როგორც წარმართობის, ანუ ზოგადად, ქრისტიანობის დაუძინებელი მტრის – ანტიქრისტეს სიმბოლო და მის მიმართ თავიანთი მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების ფაქტი გამოხატეს ქრისტიანული შინაარსის ორიგინალურ რიცხვულ მისტიკაზე აგებული კალენდარული წელთაღრიცხვის მეოხებით, რომელშიც არაორაზროვნად არის «ჩაბეჭდილი» ორი ღმერთშემოსილი, გენიოსი ადამიანის ურყევი რწმენა და იმედი ანტიქრისტეს ქრისტესაგან ძლევის გარდაუვალობის შესახებ. როგორც ქრისტე – «მხოლოდშობილი ძე ღმრთისა» სძლევს «მეორედ მოსვლის» ჟამს მხეცის რიცხვით («666») აღბეჭდილ ბოროტების განსახიერებას – ანტიქრისტეს, ისევე სძლევს ცხოვრების წესით ქრისტეს მბაძავი და უფლის მცნებების ერთგული მიმდევარი, სიჩოითგან «ძედ ღმრთისად» წოდებული «ბაკურიც» იმავე «მხეცის რიცხვით» აღბეჭდილ «ფარნავაზს», ანუ «ქართული ოფიციალური წარმართობის» ტრადიციულად აღიარებულ ფუძემდებელს და საერთოდ, წარმართობის ადგილობრივ ზოგად სიმბოლოს! დიდი ბაკურის წარმართული სამყაროსადმი დაპირისპირების ყველა ჩვენს მიერ აღნიშნული ფაქტი ლოგიკურია იმის ფონზე, რომ რომის იმპერატორი თეოდოსი I დიდი 381-392 წწ-ის მანძილზე ბიზანტიაში მყოფი იბერიელი მეფისწულის თვალწინ (და იქნებ, მისი აქტიური მონაწილეობითაც კი?! - ბ.ხ.) სასიკვდილოდ გამანადგურებელ დარტყმებს აყენებდა წარმართობას, რომლის ბედიც იმპერიაში ფაქტიურად მაშინ გადაწყდა; ლოგიკურია იქედან გამომდინარეც, რომ დიდი ბაკურის წინამორბედი ქართლის ხელმწიფე ასფაგური (= ვარაზ-ბაკური, ვარაზ-ბაქარი) «იყო კაცი ურწმუნო», რომელმაც ფარულად «დაუტევა სჯული» ქრისტესი, «შეიყვარა სოფელი ესე და მიდრკა კეთილისაკენ», ანუ ჩავარდა სრულ ურწმუნობაში და პირადი მაგალითით ქვეყნის მოსახლეობასაც იქეთკენ უბიძგა. შექმნილ ვითარებაში დიდი ბაკური, როგორც ქრისტიანობის მქადაგებელი კაცი-მონარქი, მხსნელად მოევლინა ქვეყანას და უკან, წარმართობის წყვდიადისაკენ შეტრიალებული მოსახლეობა კვლავ ქრისტეს რჯულის ერთგულებისაკენ შემოაბრუნა. ჭეშმარიტად, «აქა არს გონებაი, რომელსა აქუნდეს სიბრძნე...» (იოანეს გამოცხადება – 17,9). ნეტარი ავგუსტინის, წმ. იოანე დამასკელის და სხვა საეკლესიო მოღვაწეთა თხზულებებში არაერთი მაგალითი გვხვდება იმისა, თუ როგორ გაურბოდნენ ძველი ქრისტიანი მამები უფლის სახელის უქმად ან ყოველ შემთხვევაში, კონტექსტში გადაჭარბებულად ხსენებას; ამ მიზეზით ხშირია მათგან «ღმერთის» ცნების სანაცვლოდ ხაზგასმული ნაცვალსახელების (მან, მას, იგი, მისი, ვინ, რომელმან და ა.შ.) დამოწმების ფაქტები. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმგვარ შესაძლებლობას, რომ ლეონტი მროველის ზემოხსენებულ ცნობაში მოცემული სინტაგმები: «ამან განავრცო» და «ამან შექმნა» იმავე ვითარების ამსახველი იყოს და მაშინ გამართლდებოდა მწერალ თ.ჩხენკელის ის მოსაზრებაც, რომ ლეონტისეული ცნობის სახით სიმბოლიკურ-ენიგმურ ტექსტთან უნდა გვქონდეს საქმე.

ხაზგასმით გვსურს იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელობის გადასახედიდან პრაქტიკულად შეუძლებელია IV-V სს-თა ზღვარზე მცხოვრებ და მოღვაწე ადამიანთა აზროვნების სიღრმისეულად აღქმა, ვინაიდან მათი მისტიური მსოფლგაგების, აზროვნების ხატი ისე განსხვავდება ჩვენი, ანუ თანამედროვე ეპოქის ადამიანთა მექანიკური ხასიათის აზროვნებისაგან, როგორც ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან.

ძველებისათვის ჩვეულებრივი აღსაქმელი იყო, მაგალითად, «სიბრძნე ბალაჰვარისი»-ს შემდეგი სიტყვების შინაარსი: «და რამეთუ უკეთუ იხილო ჭურჭელი რაიმე შექმნილი, დაღათუმცა მოქმედი არა ჰნახე, სწამევე, ვითარმედ უვის შემოქმედი». ჩვენს დღევანდელობაში კი, იგივე სიტყვები ბარემ ორისთვის შეიძლება არ აღმოჩნდეს უცილობელ ჭეშმარიტებად; და თუ ჩვენ, დღევანდელები ჩვენივე მცირედ მორწმუნეობის მიზეზით სათანადოდ ვერ ვჭვრეტთ საგნებს ან მოვლენებს ისე სიღრმისეულად, როგორც ამას ძველი დროის მორწმუნე ქრისტიანები ახერხებდნენ, ეს, რასაკვირველია, ჩვენი ნაკლია და არა იმათი. შეიძლება წარმოდგენილ თემასთან დაკავშირებით პრობლემურ კითხვათა ნაწილზე (არ ვგულისხმობთ პრინციპული ხასიათის კითხვებს – ბ.ხ.) ჩვენ მიერ გაცემულ პასუხებს გარკვეულწილად აკლდეს კიდეც საკმარისი დამაჯერებლობა. მაგრამ ბრძენს უთქვამს: «ერთს შეუძლია მეორეზე მეტი აღმოაჩინოს, ყველაფერს კი ვერავინ აღმოაჩენს»-ო. ასეთ შემთხვევაში იტყოდა ალბათ კიკერონიც თავის ცნობილ სიტყვებს: Non me pudet fateri nescire, quod nesciam – «მე არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ არ ვიცი ის, რაც არ ვიცი»...

საკმაო დროის მანძილზე რჩებოდა თავსატეხად ის, თუ რა მიზეზით შეიძლებოდა ქართული ენა «ქრისტეს ენად» წოდებულიყო. ახლა ჩვენ ამ კითხვაზე სრული პასუხი უკვე გაგვაჩნია. ქართულ «ასომთავრულში», ამ ჭეშმარიტად უნიკალურ ქმნილებაში, ანბან-კალენდარში ასო-ნიშნებისა და მათი შესატყვისი რიცხვების მეოხებით ჩაბეჭდილია კოდირებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქართული ენა და დამწერლობა «იესუ ქრისტეს – მხოლოდშობილი ძე ღმრთისას» კუთვნილია, მისგან არის მომადლებული და მისსავე სახელზეა შექმნილი. ქართული «ასომთავრული» იმავდროულად დიდი ბაკურის უკვდავი ქმნილებაცაა, რადგან ეს ასკეტურად თავმდაბალი ბრძენ-კაცი, ერთის მხრივ თუ სიჩოითგანვე იწოდა მშობელთაგან «ძედ ღმრთისად» (სპარს. ბაკურ < ბაგპურ), მეორეს მხრივ კიდევ ის, როგორც საკუთარი ცხოვრების წესით «მბაძავი მხოლოდშობილისა მის ძისა», ღირს იქმნა «ძედ ღმრთისად წოდებად»!

**ბესიკ ხურცილავა,**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ქართველნო, არ დაუშვათ სადისტი სააკაშვილის რეჟიმის რეანიმაცია

*„ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქვა?!“*
დავით გურამიშვილი

*თითქოს დადუმდა ქვეყნიერება*
*მტვერი დაედო მტკვარს,*
*აღარსად ისმის საქართველოში*
მერაბ კოსტავას ხმა...

*„ჩვენ, ძმანო, ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე, რომელიც წარმოგვიდგება და გვეუბნება: აი, ეროვნული მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის ნიღბით და საფარით მოდის ანტიქრისტე, მოდის ბარაბა და მოდის შეჩვენება.*
*გაუმარჯოს ილია მართლის გზას, მერაბ კოსტავას გზას!*
*კურთხეულ იყოს ილია მართალის გზა!*
*გაიღვიძე, ქართველო ერო! გაიღვიძე და გაჰყევი გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ!*
ზვიად გამსახურდია

## თავისუფალი საქართველოს მეციხოვნენი

ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, 1992 წლიდან მოყოლებული დღემდე, კვლავ გრძელდება ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები, ქართველ ხალხს შევახსენებთ საქართველოში მოკალათებული საოკუპაციო რეჟიმების მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილი დანაშაულების სათავეს. საქართველოს მოსახლეობის აღშფოთება საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ ხელდასხმული მ. სააკაშვილის ამ ბოლოდროინდელ ყოვლად აღვირახსნილი უმსგავსო ქმედებების გამო, სრულიად კანონიერია და რათქმა უნდა დროულიც. კანონი და კანონიერება ყველა სახელმწიფოს არსებობის საფუძველთა საფუძველია. ქვეყანა, რომელიც თავისი სახელმწიფოებრიობის ოთხიათას წელს ითვლის და რომელმაც 1991წ. 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს, აღადგინა დამოუკიდებლობა და საქართველოს მოსახლეობის 87%–მა ხმა მისცა ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას, შეუძლებელია უცხო ქვეყნის ავანტიურისტთა სპეცსამსახურების კარნახით იმართებოდეს. სამწუხაროდ, ასეთია ჩვენი ქვეყნის ბოლო ოცდაოთხწლიანი ისტორია და ამ საშინელი რეალობის დამარცხება პირველ რიგში მხილებითაა შესაძლებელი.

საოკუპაციო ადმინისტრაციის საინფორმაციო საშუალებები დაუფარავად ამცნობენ ქვეყნის მოსახლეობას, ყოველდღიურად უცხო ქვეყნების სპეცსამსახურთა ვიზიტის შესახებ და მათ ვიზიტებს ოკეანისგაღმელ მხსნელის სტატუსით წარუდგენენ ქართველ ხალხს. მსოფლიო გამგებელთა ე.წ. პოლიტიკოსთა სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ, მათმა დუმილმა აქ ჩადენილი დანაშაულების მიმართ და ასევე მათმა უშუალო მონაწილეობამ მოახდინა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება; ელცინის რუსეთისა და მამა ბუშის მიერ ყოვლად უტიფარმა განცხადებამ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ხელფეხი გაუხსნა ადგილობრივ და უცხო ქვეყნის აგენტებს, რათა მათ ჩვენს ქვეყანაში, 1992 წლის 22 დეკემბერს, მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება, რამაც, ე.წ. ხელისუფლების სათავეში მოიყვანა შევარდნაძე და ძმანი მისნი. შევარდნაძემ, შექმნა სადისტური, ჯერ არნახული რეპრესიული მანქანა, რომლის მსხვერპლი საქართველოს მოსახლეობის თითქმის ყველა ოჯახი გახდა. ხოლო ამ ხელდასხმამ შვა ისეთი სადისტურ-ტერორისტული რეჟიმი, რომელიც ე.წ. ხელისუფლების შეცვლის პირობებში, აგერ უკვე მესამედ ახდენს ჩანაცვლებას და ჯერ-ჯერობით, ე.წ. კოჰაბიტაციის წყალობით იხანგრძლივებს თავის არსებობას.

ავადსახსენებელი ე.წ. ევრო-ამერიკული და იმპერიის ექსპანსიის გამტარებელი და უშუალო პროდუქტი, ჩვენს სამშობლოში, მიხეილ სააკაშვილია. ქართველთა სისხლით გაუმაძღარმა, მაოხრებელმა შევარდნაძემ, საბრალდებო სკამზე რომ არ აღმოჩენილიყო, თავისივე გამოზრდილი, მოქალაქეთა კავშირის საშოში ანტიტიქრისტიანული იდეების დამნერგავი პიტერ ბენკლაფის გამოზრდილ, თაღლითი სოროსის პროექტებისა და პროგრამების ცხოვრებაში გამტარებელ მიშა სააკაშვილს გადააბარა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავგანწირული ბრძოლით თავისუფლებამოპოვებული ქვეყანა.

ე.წ. ხელისუფლებაში 2003 წელს, მ. სააკაშვილის მოსვლა, ცისფერი ტელევიზიების „ვარსკვლავ-ბიჭუნებთან“ ერთად, სწორედ საქართველოს ეროვნული მოძრაობის დამცრობისა და განადგურებისათვის განხორციელდა. მისი სამების ტაძარში, როგორც ე.წ. პრეზიდენტის ინაუგურაცია, უკრაინაში ნარინჯისფერ რევოლუციისადმი მიმართვით წარმოჩინდა; ჩანს ანტიეროვნულ, ანტიქართულ ძალებს მოგვიანებით ჩვენს ქვეყანაში უნდა გაეტარებინა ის პოლიტიკა, რაც ჩვენს შემდგომ უკრაინას უნდა განეხორციელებინა. ერთი რამ კი ცხადზე ცხადია, რომ კაცმა, რომელმაც საქართველოს და ქართველ ხალხს წაართვა ეროვნება, ამოუშალა პასპორტიდან მამის სახელი, მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე დაფუძნებული ქვეყანა, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ 9 აპრილის გმირებს სახელმწიფო სტატუსი გაუუქმა, რომლის მხრებზეა 2008 წლის ცხინვალის პროვოკაციული ომი, რის შედეგადაც საქართველომ დაკარგა მისი ძირძველი ტერიტორიები, ციხეებში უდანაშაულოდ გამომწყვდეული მამაკაცები მამათმავალთა მიერ გაუპატიურების და არაადამიანური წამების მსხვერპლი გახადა. პოლიტიკური ტერორით მათი ხელისუფლების სათავეში მოყვანით და უმძიმესი ფორმის დიდქტატურის დამყარებით, ე.წ. პროგრესული განათლების ნიღაბქვეშ, ჩვენს მომავალი თაობისათვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ჰაგიოგრაფიის, საქართველოს ისტორიის, მისი, როგორც ცივილიზაციის სათავეებთან მყოფი ერის ეროვნული-კულტურული მონაპოვარის შესწავლის უფლების წართმევით, ასევე ბიზნესმენებისა და კერძო მესაკუთრეების საბაჭოთა მეთოდებით – უკიდურესი სისასტიკით გაკულაკებით, და რაც ყველაზე საგანგაშოა, ეროვნული ფასეულობების და ტრადიციების უკიდურესი დამცირებით, მართლმადიდებლობაზე გაილაშქრა, რითაც განახორციელა ქვეყნის საბოლოო დემორალიზაციის მცდელობა.

ის სადიზმი და ტერორი, რაც ამ სულით ავადმყოფი მ. სააკაშვილის თაოსნობითა და ძმათა მისთა მონაწილეობით განხორციელდა საქართველოში, უცხო ქვეყნის ხელისუფალთა მიერ შეფასდა, როგორც დემოკრატია და პირადად მას დასავლეთმა მთელი მსოფლიოს წინაშე, ყოვლად ურცხვად, "დემოკრატიის შუქურა უწოდა", რაც ქართველი ერისათვის მეტისმეტად აღმაშფოთებელია და ერის თავისუფალი ნების სრული უგულვებელყოფაა. აღნიშნული შეფასება არ ჯდება ეროვნულ კანონმდებლობაში და საერთაშორისო სამართლის ელემენტარულ ფეხქვეშ გათელვას ემსახურება. ამიტომაც დაკარგა ქართველმა ერმა ნდობა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიმართ. თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, იზოლაციაში, არა მარტო ჩვენი ერი ექცევა, არამედ თვით დანარჩენი დასავლეთის პოლიტიკური წრეებიც თვითიზოლაციისაკენ მიაქანებენ ევროპის ქვეყნებს, რისი ნათელი მაგალითია ინგლისის პრემიერ-მინისტრის, დევიდ კემერონის მიერ დანარჩენი სამყაროსაგან ინგლისის იზოლაციის შესახებ გაკეთებული განცხადება. მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა, სხვა არაფერია, თუ არა ჭეშმარიტი, მათ მიერვე აღიარებული, დემოკრატიული ფასეულობების სრული დისკრედიტაცია.

ეს ბოროტი სულის, კომკავშირელ–ბოისკაუტის ნაჯვარი, მასონების მიერ მართული პიროვნება სააკაშვილი, ისე გათავხედდა, რომ საქართველოში ერთადერთ ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას ახლა უკვე მზაკვრული მეთოდით გამოუცხა ბრძოლა.

მიშა სააკაშვილმა გააგრძელა რა, შევარდნაძისა და მსოფლიოს ბოროტი ძალების მიერ შემუშავებული, ქვეყნის დაშლისა და განადგურების პოლიტიკა, მისი მამობილის მსგავსად, ისიც სახელგატეხილი აღმოჩნდა. იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებას თავისი კანონიერი ხელისუფალი – საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო დე-ფაქტო არ აღმდგარიყო, რესპუბლიკელების, ნაციონალებისა და ე.წ.ოცნების სახით შეთითხნილმა გაერთიანებამ კიდევ ერთხელ ჩაანაცვლა საქართველოს ე.წ.ხელისუფლება, რომელსაც საქვეყნოდ ცნობილი მაფიურ-ოლიგარქიული კლანი ჩაუდგა სათავეში. ოლიგარქთა ხელისუფლებაში მოსვლა, დღევანდელ მსოფლიოში, სამწუხაროდ ავ სენად გადაიქცა. ეს ე.წ. ხელისუფლებამონაცვლეობის სპექტაკლები კი ჩვენს თვალწინ, უკვე მერამდენედ გათამაშდა. ეს ე.წ. ხელისუფლებამონაცვლეობის ფარსი იმადაც არის საგანგაშო, რომ ეს ჩვენს ქვეყანას, ყოველ ჯერზე, ახალ-ახალ ქსელში აბამს, საიდანაც მას თავის დასაღწევად სერიოზული ბრძოლა მოუწევს. ოლიგარქიული კლანის დანატოვარი „ოცნება“ იგივე შევარდნაძე და სააკაშვილის ხელისუფლებების ნაშიერია, რომელმაც ახლა, ვითომდა უსუსურობის გამო, ვერ მოახერხა თუნდაც ერთი სახელმწიფო დამნაშავეის საბრალდებო სკამზე დასმა და ქართველი ხალხისათვის თავისი დანაპირების შესრულება.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც „ოცნება“ და არც მის შემდგომ, „ოცნების“ მიერვე გაპრეზიდენტებული მარგველაშვილი, არ აპირებენ საქართველოს სამსახურისათვის თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგან და ეს ქვეყნის ამაოხრებლები დაიჭირონ; რაც შეეხება ქვეყანის ძირძველი მიწების დაბრუნებას, ეს მათ მიზნებში საერთოდ არ შედის.

საქართველოში მამათმავლურ-სადისტური რეჟიმის გამტარებელი სააკაშვილი ისეა გათავხედებული, რომ ახლა უკვე უკრაინის გაურკვეველი რევოლუციის პრეზიდენტის მრჩეველის სტატუსის მატარებელი, კიევიდან დაემუქრა საქართველოს, ჩვენს ქვეყანაში კვლავ შემოჭრით, რაც მან სრულიად მოურიდებლად, "რუსთავი-2"-ს ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა. (მას არ გააჩნია უკრაინის მოქალაქეობა და საერთაშორისო სამართლის თანახმად არ აქვს უფლება იყოს ამ ქვეყნის ხელისუფლებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ იგი სახელმწიფო დამნაშავეა და „ოცნების“ მიერვე ძებნილად არის გამოცხადებული: მის კისერზეა საქართველოში ჩადენილი ათასობით დანაშაული, რომელიც ქართველი ხალხისთვისაც და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვისაც კარგად არის ცნობილი და მას ვერანაირი საერთაშორისო მასონური ლობი ვერ უშველის, მიუტევებელ სახელმწიფო დანაშაულს, რომელიც მ. სააკაშვილს აქვს ჩადენილი, ხანდაზმულობა არა გააჩნია და ამ დანაშაულის თანამონაწილეებთან ერთად იგი აუცილებლად უნდა დაისაჯოს; ამ საკითხში მას ვერცერთი სამათავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ დაიცავს) სააკაშვილი, როგორც სერგო ორჯონიკიძე, ახლა უკრაინაში აკომპლექტებს მთავრობას და ღიად და პირდაპირ საუბრობს თავის ამერიკელ ძმა-ბიჭებისაგან უკრაინისათვის იარაღის გამორთმევასა და გაგზავნაზე, რითაც ეს ფაფარაყრილი კურდღელი თავის სიძლიერეს უმტკიცებს ქართველ ხალხს, რომელმაც კარგად ნახა მისი „გმირობა“ ცხინვალის ომში.

აღმაშფოთებელია აგრეთვე ისიც რომ, 2014 წლის აპრილში, ქ. ზუგდიდში, ე.წ. ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი, ე.წ. არჩევნების პრეზენტაციაზე, აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთერთმა ლიდერმა როლანდ ახალაიამ, უტიფარი და უკიდურესად აღმაშფოთებელი განცხადება გააკეთა, ე.წ. მათი მოძრაობის ლიდერის, მ. სააკაშვილის, ახალ ე.წ. ეროვნულ მოძრაობაში ჩართვის შესახებ. უფრო მეტიც, ამ სამარცხვინო განცხადების ავტორმა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ლიდერების – ეროვნული გმირების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პოლიტიკური გზის გამგრძელებლად წარმოაჩინა ე.წ. პოლიტიკური, ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის მეტად დამღუპველი ანტიეროვნული ძალა, ე.წ. ნაციონალური მოძრაობა, რითაც ეროვნული მოძრაობის პროფანაცია მოახდინა.

ცალსახად უნდა ითქვას, რომ მათ მიერ გაკეთებული ეს განცხადება ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ნათელ მიზნებსა და იდეებს. ჩვენს სამშობლოში, ე.წ. ნაციონალური მოძრაობის როგორც ანტიქართული მოვლენის დამკვიდრებამ, ქვეყანას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, უდიდესი ზიანი მიაყენა. მათი მთავარი დანაშაულია ის, რომ მათი ხელისუფლებაში ე.წ. რევოლუციით „მოსვლის“ შემდეგ, არათუ გასამართლდა დამოუკიდებელი საქართველოს დაუძინებელი მტრის, ქვეყნის დანგრევის მთავარი არქიტექტორის მასონური ორგანიზაცია – „თავის ქალა და ძვლების“ წევრის – ედ. შევარდნაძის რეჟიმი, არამედ მის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული რეჟიმები, რომლებიც ერთსახოვანი ბუნებისა არიან, კვლავ შეხმატკბილებულად განაგრძობენ თანაარსებობას უკვე ეროვნულობის ნიღბით. მ. სააკაშვილის „მჭერმეტყველური გამოსვლები“ ერზე, ეროვნულობაზე, თავისუფლებაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და საზოგადოდ ეროვნულ მუხტზე მტკნარი სიცრუეა და ყველასათვის აშკარაა. ამ ანტიქართული ძალის ბატონობის გახანგრძლივება, ჩვენს ქვეყანას დაშლასა და განადგურებას უქადის. აქედან გამომდინარე, ყველასათვის ნათელია, რომ ზემოთხსენებულმა ბოროტმა ძალებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ გაენადგურებინათ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა და მის სანაცვლოდ შეექმნათ ე.წ. პოლიტიკური ძალების ახალი ველი, რომელიც საძირკველშივე ეროვნული იდეალების მოწინააღმდეგეა და ყველანაირად ანგრევს მას.

არანაკლები დანაშულის ტოლფასია იმ ადამიანთა ქმედება, რომლებიც ეროვნულ-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდნენ და ქვეყნისათვის სასიცოცხლო დროს განზე გადგნენ და დღესაც შორიდან შეჰყურებენ ქვეყნის იავარქმნას. შევარდნაძე-სააკაშვილის რეჟიმებმა სხვადასხვა ბინძური მეთოდებით მოისყიდეს და გადაიბირეს ისინი. მათი გადაბირების ხერხები და საშუალებები მრავალმხრივია, ეს რეჟიმები ამ ადამიანების – ზოგის იუდას 30 ვერცხლად მოსყიდვას აწარმოებდნენ, ზოგისაც პენსიებით და თანამდებობებით. არაერთი პიროვნების ქმედებებმა, რომელიც თავს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მიმდევრებად და ერთგულ თანამებრძოლებად ასაღებდა და ლიდერობასაც კი იჩემებდა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სერიოზული შეფერხება გამოიწვია. ურჯულო სააკაშვილს, მის მიერვე ე.წ. ზვიადისტების გადაბირებირებით, ეგონა, რომ გაანადგურებდა ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ რაოდენ უგუნურია ის, ვინც ამ გადაბირებით იმედოვნებს, რომ ცრუ გმირების მეშვეობით ცრუ ეროვნულ მოძრაობას გააყოლოს ქართველი ერი. ქართველმა ერმა ერთ მუშტად შეკრულმა და ამაღლებულმა მთელ მსოფლიოს დაანახა, თუ როგორ გაჰყვა იგი თავის საყვარელ წინამძღოლსა და ერის მამას და სათაყვანებელ პრეზიდენტსა და ეროვნული გმირს ზვიად გამსახურდიას, რომელმაც თავის ქრისტესმიერ ძმასთან, მერაბ კოსტავასთან ერთად, ერი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე გაიყვანა.

17 თებერვალს, "რუსთავი-2"-ს ეთერში სააკაშვილის, ეროვნული გმირის სახელით შემოჭრა უტყუარი დასტურია იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებაში კიდევ ახალი ურთიერთმონაცვლე ბანდები მოჰყავთ და რომ არის ამ სადისტის რეანიმაციის მცდელობა, მაგრამ ისინი ვერასოდეს ეღირსებიან ლეგიტიმურობას. ის, რაც ზვიად გამსახურდიამ, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამ, არჩევნების გზით, ქართველ ერთან ერთად მოიპოვა, ყვავყორნების საჯიჯგნი ვერ გახდება.

*(გაგრძელება მე-9 გვერდზე)*

# ქართველნო, არ დაუშვათ სადისტი სააკაშვილის რეჟიმის რეანიმაცია

(გაგრძელება მე-8 გვერდიდან)

მადლობა ქართველ ერს დიდი სიფხიზლე და წინდახედულება მართებს, რათა იგი კიდევ ერთხელ არ გაებას მორიგ უკანონო არჩევნების ბადეში და ასევე მ. სააკაშვილის უკრაინიდან აქაური ძებნილი სახელმწიფო დამნაშავეების მ. ადეიშვილის, დათა ახალაიას, სოსო თოფურიძის, მეგის ქარდავასა და მრავალთა სხვათა ძმათა მათთა – კრიმინალური ბანდის წევრების მონაწილეობა ჯერ უკრაინის ხელისუფლებაში, ამ ქვეყანაში თარეში ქვეყნის საბოლოოდ გასანადგურებლად არის გამიზნული. ამის შემდგომ კი დაგეგმილა საქართველოსაკენ დაიძრას ამ კანიბალ კრიმინალთა ბანდა, რაც საქართველოში როგორც ფიზიკურ განადგურებას, ისე სულიერ-ინტელექტუალური აზროვნების საბოლოო კრიზისს გამოიწვევს.

მადლობა ღმერთს, რომ საქართველოში არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა, მართალია, მათი რაოდენობა მცირეა, ეროვნულ მოძრაობაში ბევრი შეეწირა ჩვენს სამშობლოს, საუბედუროდ ბევრიც გაიყიდა, მაგრამ საქართველოში, საბედნიეროდ, დარჩა ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა, რომელიც არასოდეს დაუშვებს სააკაშვილის ბანდების თარეშს ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში დარჩა ის ეროვნული მუხტი, რომელიც ასაზრდოებს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობას. საოკუპაციო ხელისუფლების მესვეურები კი საკითხს ასე წარმოაჩენენ: არსებობს ორი პოლიტიკური სპექტრი: ან ოცნება ან ნაციონალები, თუ ნაციონალები არა მაშ ვინ? ანდა თუ „ოცნება“ არა, მაშასადამე მიშა. რა თქმა უნდა თავისუფალი დემოკრატებიცა და რესპუბლიკელებიც ხომ შევარდნაძის გამოზრდილი ნაცისტური ბრიგადაა, რომელსაც სხვადასხვა სახელების დარქმევით ვერანაირად ვერ შეცვლი, მათი მიზანი ერთია: გაანადგურონ საქართველო როგორც უძველესი მართლმადიდებელი ქვეყანა, რომელსაც ჩვენდა საბედნიეროდ იცავს დედაღვთისმშობლის წილხვდომილობა და რომლის სულიერმა მისიამ ღვთის ძალისხმევით დედამიწაზე ბოროტება უნდა დაამარცხოს. ამიტომაც, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში ცოცხალი იქნება ზვიადისა და მერაბის, წმიდა გაბრიელ ბერის მიერ შექმნილი ეროვნული მოძრაობა, ჩვენი ქვეყნის მტერი ვერ იხარებს ამქვეყნად, რამეთუ არა ნაცმოძრაობა და არა ოცნება, არამედ ეროვნული მოძრაობა და საქართველოს კანონიერი ხელისუფლება წაუძღვება წინ ჩვენს ქვეყნას ამ ღვთივკურთხეულ მიწაზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი კიდევ ერთხელ მოუწოდებს ყველა პატრიოტულ ძალას ხმა აღიმაღლოს ქვეყანაში უკანონო, ანტიქართული ბნელი ძალების თარეშის წინააღმდეგ და ამხილოს მათი შავბნელი ზრახვები, ასევე მობილიზაცია გაუკეთოს ყველა ეროვნულ ძალას, რათა ერთობლივად ვიხსნათ ქვეყანა მომავალი კატასტროფისაგან და ვალმოხდილი წარვსდგეთ უფლისა და ჩვენი წინაპრების წინაშე. სავალალოა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული ტოტალური ღალატის ფონზე, ეროვნული მოძრაობა დეპრესიაში აღმოჩნდა. ამის მთავარი მიზეზი კი გახლავთ რაღაც ნაწილის მოსყიდვა ჯერ შევარდნაძის მიერ, ხოლო შემდე, ამ ავადსახსენებელ მაოხრებელ შვარდნაძის ძემ სააკაშვილმა ეროვნული მოძრაობის საკმაო ნაწილი გადაიბირა, ფაქტიურად მისი რეჟიმის დროს შეიქმნა ვაკუუმი იმ დიდ ეროვნულ მოძრაობაში, რასაც ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ჰქვია. ჩვენი ერისათვის ძალზედ სამარცხვინოა, რომ სახელმწიფო დამნაშავე სააკაშვილი კვლავ მართავდეს ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივ სიტუაციას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),**
**კომიტეტის მთავარი კოორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის პრეზიდენტი;**

**ბესო (ბესარიონ) მიქავა,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;**

**მღვდელ-მონაზონი ილარიონი (ჯანელიძე)**

**ნანა კახიანი,**
**იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი;**

**ზურაბ ქობალია,**
**ჟურნალისტი;**

**მზია ბაქრაძე,**
**დევნილი ჟურნალისტი;**

**დავით ბერძენიშვილი,**
**ადვოკატ-იურისტი**

# ”გამოდის, საქართველოში ცხვარი უნდა გავანადგუროთ?”



ჩვენდა სამწუხაროდ, მეცხვარეობის დარგის სიძლავრით კავკასიაში პირველ ადგილზე ჯერჯერობით აზერბაიჯანია, ცხვარი ჩვენზე მეტი ჰყავთ და მეტადაც მოიხმარენ, რადგან იქაურები, ძირითადად, ცხვრის ხორცს იყენებენ საკვებად. მსოფლიოში კი ყველაზე ბევრი ცხვარი ჩინეთშია – საშუალოდ 180 მილიონამდე. 70 მილიონი სულია ავსტრალიაში, სადაც მეცხვარეობა ძალიან განვითარებულია. შემდეგ მოდის ახალი ზელანდია და დიდი ბრიტანეთი (განსაკუთრებით, ირლანდია). უნდა ვახსენოთ ურუგვაიც – ამ ქვეყნებში ცხვარი ფართოდ არის გავრცელებული. საქართველოში საშუალოდ 800 ათასი სული ცხვარი გვყავს, თუმცა გარემო პირობები ამაზე ბევრად მეტი ცხვრის შენახვის საშუალებას იძლევა. საბჭოთა პერიოდში მეცხვარეობა უფრო განვითარებული იყო, რადგან მაშინ მეტი საძოვარი გვქონდა, ქართველი მეცხვარეები დაღესტნის საძოვრებსაც იყენებდნენ, ახლა კი მხოლოდ ადგილობრივი საძოვრები დაგვრჩა. მოთხოვნაც არ არის დიდი – ცხვრის ხორცს საკვებად მარტო აღმოსავლეთ საქართველოში იყენებენ.

***“სოფლის საერთო საძოვრებზე, ბრუცელოზზე შეუმოწმებელი ცხვრის გაშვების გამო, ფერმერებს პასუხი მოეთხოვებათ”.***

ამის შესახებ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს, კასპის ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ზურაბ პარკაძემ მუნიციპალიტეტის გამგებლებთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. სოფლის გამგებლებს ინსტრუქცია მიეცათ იმის შესახებ, თუ როგორ გამოავლინონ თავის ტერიტორიულ ერთეულში ბრუცელოზის მატარებელი ცხვრები...

„ბრუცელოზის მატარებელი ცხვარი აუცილებლად ბერწი ხდება. მეპატრონეები ამას მალავენ, რადგან გამოვლენის შემთხვევაში ცხვრის განადგურება მოუწევთ. ამიტომ გთხოვთ, მაქსიმალური ყურადღება მიაქციოთ ამ ფაქტებს. დაავალოთ ფერმერებს, რომ ცხვარს სისხლის ანალიზი აუღონ და ცნობა ჰქონდეთ. ასეთი ცხვარი ადვილად გამოსაცნობია, ის ბერწი ხდება”, – განუცხადა პარკაძემ სოფლის ხელმძღვანელებს.

სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის განცხადებას ფერმერებში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. კერძოდ, მის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას შეცდომას უწოდებს მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი.

– ამ ადამიანის მიერ გაკეთებული განცხადებიდან არც ერთი წინადადება სინამდვილეს არ შეესაბამება. როგორც ჩანს, ამ სიტყვების ავტორმა რაღაც ვერ გაიგო. თავად ვიყავი სურსათის უვნებლობის სამსახურში და ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ. არადა, ასეთი არასწორი

**ქართული ცხვრის მთავარი ღირსება ის არის, რომ ეკოლოგიურად სუფთა საძოვრებზე ბალახობს და წყაროების სუფთა წყალს სვამს. ბუნებრივი საკვები რესურსების სიუხვის გამო მას დამატებით საკვებსაც არ აძლევენ, ამიტომ ქართული ჯიშის ცხვარი, პრაქტიკულად, ბიოცხვარია. ქართულ ცხვარს აქვს თავისი ნიშა თვით საერთაშორისო ბაზარზეც კი. ქართული ცხვარი კარგად არის შეგუებული ადგილობრივ პირობებსა და კლიმატს. მისი ხორციც ეკოლოგიურად სუფთაა და ძალიან გემრიელი, ოღონდ თუ საჭირო კლიმატურ პირობებში ვამყოფებთ და განსაკუთრებულად მოვუვლით, რაც კარგად იციან ადგილობრივმა ფერმერებმა.**

ინფორმაციის გავრცელებას ფერმერებში პანიკა მოჰყვა, – გამოდის, ცხვარი უნდა გავანადგუროთო? ვისაც ამ სფეროსთან შეხება ჰქონია, ეცოდინება, რომ ცხვარზე, გარეგნული დათვალიერებებით ბრუცელოზის გამოვლენა დაახლოებით ისეთია, ადამიანს სისხლის გათეთრება ჰქონდეს და სახეზე შეატყო. ბრუცელოზი ეს არის სისხლის დაავადება, რომლის სხვადასხვა ფორმა არსებობს, მაგრამ პიროპლაზმოზის ან “ყვავილისგან” განსხვავებით (რომელთაც გარეგნული გამოხატულებები აქვთ, – ნაბარევი, ციება, დასიცხვა), ბრუცელოზი გარეგნულად არ ჩანს. მისი გამოვლენის ერთადერთი საშუალება სისხლის ანალიზი ან რძის გამოკვლევაა. ყველაზე გავრცელებულია სისხლის ანალიზის გამოკვლევა.

– სწორედ სისხლის ანალიზზე იყო საუბარი სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

– დიახ, მაგრამ ერთი ანალიზის ფასი, რომლის გამოკვლევა ლაბორატორიაში უნდა მოხდეს, 5 ლარი ღირს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, ლაბორატორიაში სისხლის მიტანა, ვეტექიმის დაქირავება, სინჯების აღება, – ასევე ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასე რომ, კერძო ფერმერისთვის, რომელსაც 10-20 სული ცხვარი ჰყავს, დიდი ხარჯია და არავინ გააკეთებს. ხოლო თუ მათ ამის გაკეთებას დაავალებენ და საერთო საძოვრებით სარგებლობას აუკრძალავენ, როგორც ის ადამიანი ამბობდა, პირდაპირ ნიშნავს, რომ ფერმერებმა ცხვარი უნდა გაწყვიტონ. ხოლო თუ განადგურების საკითხი დადგება, ისინი კომპენსაციას მოითხოვენ და აუნაზღაურებს სახელმწიფო ფერმერებს განადგურებული ცხვრის კომპენსაციას?.. გარდა ამისა, ამ ადამიანის თქმით, ცხვარში უფრო მეტია ბრუცელოზის შემთხვევა, ვიდრე ძროხაში, – არადა, თავად ჩავატარე ამის გამოკვლევა და აღმოვაჩინე, რომ ცხვარში ამ დაავადების გავრცელების მაქსიმუმი 3,6%-ია, მინიმუმი – 0,5%-1%. ხოლო ყველა სოფლის ნახირში, სადაც კი ძროხა ჰყავთ, ამ დაავადების პროცენტული მაჩვენებელი ბევრად მაღალია.

– ეს ფრაზა რამდენიმე დღეა იუმორის საგნად იქცა, – ბრუცელოზი მართლა იწვევს ცხოველის სიბერწეს?..

– არა, სიბერწესთან ბრუცელოზი არაფერ შუაშია, – შესაძლოა, საქონელი ბრუცელოზის მატარებელი იყოს და არც გაბერწდეს. ამ დაავადებას რამდენიმე ფორმა აქვს, – მწვავე, საშუალო და ა.შ... ერთი სიტყვით, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ამ ადამიანს შესაბამისი ცოდნა არ ჰქონდა. ბრუცელიოზიანი ცხვრის გაბერწება შესაძლებელია თუ დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს, ხოლო თუ დაავადება ქრონიკულია, საქონელს არანაირი ნიშანი არ აქვს.

– საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს ინიციატივის შესახებ ინფორმაცია არასწორად გავრცელდა. მაშ რას ავალდებულებს ეს უწყება ფერმერებს?

– დავალდებულებით – არაფერს. როდესაც რამე გასაკრიტიკებელია, მე ამას ლამის ყველაზე პირველი ვაკეთებ, მაგრამ ახლა ნამდვილად კარგი ჩანაფიქრი აქვთ. გასული წლიდან დაიწყო კვლევა, ოღონდ მხოლოდ მსხვილ რქოსან პირუტყვში, – თუ რა ტიპის ბრუცელოზის სახეობებია გავრცელებული, რათა ამის მიხედვით შემოვიდეს კონკრეტული ვაქცინა, საქონლის ასაცრელად. თუმცა ეს არის დაახლოებით 2-3 წელზე გათვლილი პროგრამა. ეს არის რეალური ინფორმაცია. ვისაც ამ სფეროსთან შეხება აქვს, მიხვდება, რომ სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სრულიად განსხვავებულ პროექტებს უჭერს მხარს და არა ქართული ცხვრის განადგურებას. რამდენადაც ვიცი, ამ ეტაპზე, ცხვრის შემოწმება მხოლოდ მისი ექსპორტის დროს ხდება, ისიც, იმ შემთხვევაში, თუ მიმღები ქვეყანა ითხოვს. მაგალითად, აზერბაიჯანი არ ითხოვს, მაგრამ არაბულ ქვეყნებში შესაბამისი ანალიზის პასუხები უნდა წარადგინო.

**ლალი პაპასკირი**

**ვეტექიმის დაქირავება კერძო ფერმერისთვის, რომელსაც 10–20 სული ცხვარი ჰყავს, დიდი ხარჯია და არავინ გააკეთებს. ხოლო თუ მათ ამის გაკეთებას დააძალებენ და საერთო საძოვრებით სარგებლობას აუკრძალავენ, პირდაპირ ნიშნავს, რომ ფერმერებმა ცხვარი უნდა გაწყვიტონ...**

**ხოლო თუ განადგურების საკითხი დადგება, ისინი კომპენსაციას მოითხოვენ და აუნაზღაურებს სახელმწიფო ფერმერებს განადგურებული ცხვრის კომპენსაციას?..**

# საუბრები რელიგიაზე



ძვირფასო მკითხველო, გაზეთ **“ილორი”**-ს მეშვეობით გადავწყვიტე თქვენთვის მოგვეწოდებინა თეოლოგის ბატონ მირიან ქართველის (ლატარია) რელიგიურ-მეცნიერული ნაშრომები, რომლებიც წარმოადგენენ სრულიად სამყაროს შესაცნობ ინფორმაციას, აგრეთვე ჩემი ისტორიულ-რელიგიური საგაზეთო სტატიები, რომლებიც ერთი შეხედვით ძნელი გასაგებია გარკვეული წრისათვის, მაგრამ ესოდენ გიგანტური სამყაროსეული ინფორმაციის მიმართ მარტივი ინტერპრეტაციის მიცემა ვერ შევძელი.

ამჟამად მკითხველს მინდა ვესაუბრო მარტივი ენით ქართულ კულტურასა და ტრადიციებზე, კერძოდ ქართულ ფენომენალურ ქორწილზე, რომელშიც სამყაროში მიმდინარე მისტერიული მოვლენებია ასახული.

სიყვარული ღვთის რჯულის აღსრულებაა და ამ გრძნობის აღსრულება სრული ბედნიერებაა დედამიწაზე („სიყვარული აგვამაღლებს“ რუსთ.) ალბათ გახსოვთ ისტორიული წყაროებიდან გენიალური რუსი პოეტის ალ. პუშკინის სტუმრობა საქართველოში, როდესაც მან ვეღარ დამალა გაოცება ქართული კულტურისა და ტრადიციის მიმართ და როგორც პოეტმა გამოხატა შემდეგი სიტყვებით:

**“არა ლამაზო ნუ გამაგონებ**
**ქართულ სიმღერას ესოდენ მწარეს**
**ამ ნაღვლიანი ჰანგით მაგონებ**
**სხვა ცხოვრებას და შორეულ მხარეს“**

– დიახ, მეგობრებო, მხოლოდ ქართული ფენომენის მისტერიულ გრძნობას შეუძლია აღაფრთოვანოს ადამიანი, რა თქმა უნდა თუ ის (ადამიანი) სულიერ-გენეტიკური დონის გარკვეულ მოწოდებაზე იმყოფება.

პირადად მე მოწვეული გახლდით საპატრიარქოში ტრაპეზზე, რომელიც გაიმართა საბერძნეთიდან ჩამოსული დიდი ღვთისმსახურის საპატივისცემლოდ, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუმრის გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა მან იხილა ქართული სუფრის მსვლელობა და გაკვირვებულმა ბრძანა:

– მე არ ვიცოდი, რომ ქართველები ეკლესიაში წირვის მერე ისევ სუფრაზე ლოცვას თუ აგრძელებდნენო!

ის კულტურა და ტრადიცია, რაც ქართველ ერს გააჩნია, ეს არ არის ოთხი ან ხუთი ათასწლეულით ნაგროვები, არამედ ათი ათასი წლობით შექმნილია და უფრო მეტიც, რომელიც წარმოადგენს არსებული ცივილიზაციის კუთვნილებასა და სიამაყეს, რომელსაც ყურადღება და გაფრთხილება სჭირდება.

დასავლეთ საქართველოში მდებარე ნოქალაქევის არქეოპოლისი რვა ათასი (8000) წლის უტყუარი არქიტექტორული ძეგლია, ბუნებრივია ესოდენ გრანდიოზულიუნიკალური არქიტექტურის ასაშენებლად საჭირო იქნებოდა ცოდნა შემდეგი ზუსტი საბუნებისმეტყველო საგნებისა, როგორიცაა: არითმეტიკა, მათემატიკა, ალგებრა, ხატვა, ხაზვა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, კოსმოსოლოგია და ა.შ. იქვეა ქვევრი და სალოცავი ატრიბუტები.

იბადება კითხვა, ის ეთნოსი, რომელიც რვა ათასი 8000) წლით ადრე გარკვეულ არქეოპოლისს ქმნის რამდენი ხნის ცოდნა-განათლების საბაზისო ინსტიტუტის მფლობელი უნდა ყოფილიყო?

თანამედროვე კაცობრიობის ცნობიერშემეცნებითი დონე განისაზღვრება არა იარაღით, ატომითა და ცოცხალ უჯრედთა გასაწყვეტი საშუალებებით, არამედ რელიგიის ჰუმანურობითა და ათი მცნების დოგმატის მეშვეობით, რომელსაც მართლმადიდებლობა ეწოდება.

აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ისლამი, მაჰმადი მუსლიმანური სამყარო მართლმადიდებლური ცნობიერების დაბალ საფეხურებს წარმოადგენდნენ, რომლსაც გენიოსი რუსთაველი პირდაპირ გვიდასტურებს.

**“გარდახდა, ჰკადრეს; „ჩვენ ვართო მობაღდადენი, ვაჭარნი,**
**მაჰმადის რჯულის მჭირავნი, აროდეს გვისმან მაჭარნი,**
**ზღვათა მეფისა ქალაქსა სავაჭროდ გარდმონაჭარნი,**
**საქონელ-სრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გვქონან ნაჭარნი”.**

რჯულის დამცველსა და ადათ-წესის მიმდევარს შეუძლია გადაარჩინოს კაცობრიობა კარს მომდგარი უბედურებისაგან, ხოლო ურჯულოს და უთვისტომოს მიერ განწირულია კაცთა მოდგმა დასაღუპავად.

**მურმან ხუბულავა**

**გთავაზობთ ამონარიდს მირიან ქართველის წიგნიდან: *„მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა, ყოველ უნაყოფო ლერწს ჩემში ის მოაშორებს და ყოველ ნაყოფიერს კი გაწმენდს, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს“***

**„იოანე 5, 1 – 2“**

***„მხოლოდ ვაზის ძარღვი გადააქცევს წყალს ღვინოდ, მხოლოდ ჩვენს სულში არსებული ქრისტე ხორცის მოკვდავ სხეულს გადააქცევს სულის უკვდავ სხეულად“***

**(მ. ქართველი)**

ღვთაებრივი ბიბლიის საკულტო სიმბოლოებია: ჯვარი, ვენახი, ვაზი, ცხენი, ღვინო, პური და ა.შ. რომლის მთლიანი შინაარსი მისტერიის სახით გადმოცემულია ქართულ ქორწილში, რომელსაც სვანურად ჰქვია დიარ, ხოლო მეგრულად – დიარა. რაც ნიშნავს სულითა და ხორცით ჭამას, მოლხენასა და ნეტარებას. სინამდვილეში ქართული ქორწილი არის კოსმიური ეკლესიის სასუფევლის მისტერია, სადაც ბიბლიური თანმიმდევრობით გადმოცემულია მამა ღმერთის, ძე ღმერთის, სულიწმიდა ღმერთის, წმიდა მამების, წინასწარმეტყველების, მოციქულებისა და სამღვდელოება-მასწავლებლების უფლება-მოვალეობები, რათა (მასა) გახადონ ბედნიერი და ღვთის კანონების მცოდნე-მორჩილი.

ქართული ქორწილი, ანუ სახალხო ზეიმი ტარდებოდა გრძელ ფანჩატურში, რომლის განი იყო რვა-ცხრა მეტრისა და სიგრძე იმისდა მიხედვით, თუ რამდენ კაცზედ მზადდებოდა საქორწილო სუფრა. ძველად საქორწილო ფანჩატურის კარკასი კეთდებოდა ძლიერი სარებისა (მანებისაგან) და ლარტყებისაგან, მისი კედლები და სახურავი იფუთებოდა სიმინდის ჩალით, ან ნამჯით (ნამკელით). მაგიდები იდგმებოდა სამ მწკრივად. ნეფე-დედოფლის მაგიდა კეთდებოდა იმ თავში, რომელიც ამომავალ მზეს სეჰყურებდა. ფანჩატურს ჰქონდა მხოლოდ ერთი შესასვლელი (გამოსასვლელიც ის იყო). ქართველები ქორწილს იხდიდნენ მხოლოდ გიორგობის ან ქრისტეშობის დღესასწაულის შემდეგ (უფრო მეტად რთველის შემდეგ, სიტყვა ქა-რთველიც იქიდან მოდის).

ქართული ქორწილი იმართებოდა ასი (100) კაციდან ათასი (1000) კაცის რაოდენობის ფარგლებში. მიუხედავდ იმისა, რომ ურია კომუნისტები დევნიდნენ ქართულ ქრისტიანულ ქორწილსა და ქელეხს, რაც თავი მახსოვს, ქართველები შეუპოვრად აგრძელებდნენ მამაპაპის ტრადიციას და ქორწილებისა და ქელეხების მაღალ დონეზე მოწყობის ოსტატები გახლდნენ. მიუხედავ იმისა, რომ ქართველმა ხალხმა არ იცოდა რა შინაარსი იდო ქორწილსა და ქელეხის მისტერიაში (ლიტურგიაში), მთელ თავიანთ შესაძლებლობას მათ მოწყობაში აქსოვდნენ. ამიტომ დამკვიდრდა სუფრის წაყვანის – თამადისა და მოადგილეების ინსტიტუტი, რომელიც თავისი ორატორულ-მსახიობური კოლორიტით განუმეორებელია მთელ მოფლიოში. სალოცავსადღეგრძელოების თანმიმდევრობა აბსოლუტური სიზუსტით დაცულია ღმერთის საქმიანობის თანხვედრილად.

ქართულ ქორწილს ჰყავს ჭკვიანი კაცებისა და ქალებისაგან შემდგარი სანათესაო-სამეზობლო-სამეგობრო კომისია, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს დავალების შემსრულებელთა ჯგუფი. ქორწილის მოწყობა-გამართვა ხდება ძირითადად სამი დღის მონაკვეთში. ქრისტიანული წესით ქორწილი ტარდება შაბათ ან კვირას. სხვა დღეს ქართველი ქრისტიანები ქორწილს არ ატარებენ, ვინაიდან შაბათი ნიშნავს ძველ აღთქმას (მოსეს), ხოლო კვირა კი – ახალ აღთქმას (ქრისტეს). ამჟამად ქორწილს ატარებენ კვირის ნებისმიერ დღეს, რაც არის უკეთურობისა და სიჩლუნგის ნიშანი.

სუფრა იშლება ყველა მონაწილისათვის ერთნაირი სიუხვით, საკვების მიღება წილობრივი წესით ხდება. გამორჩეულია ქართულ ქორწილში მხოლოდ თამადა და მოადგილე. თამადა განასახიერებს მამა ღმერთს, ამიტომ მის წინ დებენ მოხარშული ხარის მარჯვენა ბეჭს, ხოლო მის მოადგილეს წინ უდებენ მარცხენა ბეჭს.

სამრიგად გაწყობილი სუფრის მარცხენა რიგში სხედან: პატარძლის მშობლები, ნათესავები და მეზობლები, მარჯვენა რიგში – სიძის მშობლები, ნათესავები და მეზობლები. შუა რიგში სხედან მაყრიონი და თამადის პირველი მოადგილე, თამადა ჯდება მარჯვენა რიგის შუა ადგილას, პირველი მოადგილე – შუა რიგის ცენტრში და მეორე მოადგილე (პატარძლის მხრიდან) – მარცხენა რიგის შუა ადგილას.

თამადა განასახიერებს მამა ღმერთსა და კოსმიურ ნათელ ეკლესიას, მოადგილე – ძე ღმერთსა და კოსმიური ეკლესიის პატრიარქს (მელქისედეკს), ხოლო მისი მოადგილე – დედამიწიერ ეკლესიასა და საპატრიარქოს რელიგიებს, ქართული ქორწილი იწყება ღამის 12 საათზე და გრძელდება მეორე დღის 12 საათამდე (მამა ღმერთის დრო, დღეში თორმეტი საათი უნდა აღსრულდეს ბოლომდე). თორმეტსაათიანი მოლხენა მომქანცველია, ამიტომ ბოლომდე მხოლოდ ერთეულები შემორჩებიან სუფრას, ანუ აღსრულდება სახარებისეული სიბრძნე: **„ბოლომდის დამთმენი გადარჩება“-ო.**

დადგენილი წესის თანახმად, საქორწილო სუფრის წიაღში პირველად შედის თამადა, მერე პირველი მოადგილე და შემდეგ მისი მოადგილე. ისინი იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილებს. ამის შემდეგ საქორწინო ფანჩატურში შედიან პატარძლის მხრის სუფრის მონაწილეები და იკავენებ რიგის მაგიდას. შემდეგ შემოდიან სიძის სუფრის მონაწილეები და იკავებენ მარჯვენა რიგის მაგიდას. შემდეგ შედის მაყრიონი და იკავებს შუა რიგის მაგიდას.

ოჯახის მამა-პატრონი (სიძის მამა), სავსე ჯამით ხელში დგება ნეფე-დედოფლის (სიძე-პატარძალის) ამაღლებული მაგიდის გვერდით და ითხოვს ყურადღებას. 500-1000 კაციანი სუფრის წევრები გაჩუმდებიან (სმენად გადაიქცევიან), ოჯახის მამა მადლობას უხდის სუფრის წევრებს ყურადღებისათვის, შეწუხებისათვის, მისი შვილისა და რძლის ქორწილში მობრძანებისათვის. შემდეგ ასახელებს, თუ ვინ იქნება თამადა, მისი პირველი და მეორე მოადგილე, შემდეგ სუფრის მონაწილეები ფეხზე დგებიან და ულოცავენ სუფრის ხელმძღვანელებს საღვთოსასულიერო მისიის დაკისრებას და უსურვებენ მის ღირსეულად შესრულებას.

სუფრის თამადა ორასგრამიანი (200) ჭიქით, ფეხზე დგომით იღებს პირველ სასმის-სალოცავ – სადღეგრძელოს და ამბობს: დიდება მამაღმერთს, ყოვლის გამჩენსა და შემოქმედს, დიდება მამასა, ძესა და სულიწმიდასა აწდა მარადის უკუნითი უკუნისამდე, ამინ. როგორც კი თამადა ფეხზე ადგება, მაშინვე სასმისით ხელში მისი მოადგილეებიც ფეხზე დგებიან. ისინი თამადის სიტყვას ეთანხმებიან და თანმიმდევრობით ამბობენ ამი. როგორც კი მოადგილეები იტყვიან ამინს და ღვინოს დალევას შეუდგებიან, სუფრის წევრები ჭიქით ხელში წამოდგებიან და ამბობენ: უფალო ღმერთო, ამინ (თამადა და ყველა პურის ნაჭერს აწობენ ღვინოში და შემდეგ პურს ჭამენ და ღვინოს სვამენ).

როგორც კი ეს პროცესია ჩათავდება, ნეფე-დედოფალის მაგიდის გვერდით ცალკე მსხდომი 7 კაციანი გუნდი ფეხზე დგომით მღერის საგალობელს „შენ ხარ ვენახი“ (ბიბლია გვეუბნება: ნოემ გააშენა ვენახი, დალია ღვინო და გაშიშვლდა თავის კარავში. ქართული სუფის დასაწყისი „შენ ხარ ვენახი“ ბიბლიურ ნოესთანაა დაკავშირებული).

როგორც კი სუფრაზე მამა ღმერთისა და წმიდა სამების სადიდებელი სალოცავი ჩათავდება, მერიქიფე-მსახურთა გუნდს სუფრასთან შემოაქვთ ლამაზად მორთული ლანგრებით ხარის თავი და ბეჭები. ხარის მოხარშულ თავს დებენ თამადის წინ, ბეჭებს – მოადგილეების წინ. ამ დროს მოდის მღვდელი, რომელიც მიდის თამადასთან და ხარის რქებზე და შუბლზე აწებებს სამ სანთელს, რომელსაც უკიდებს სანთებელით. ამის შემდეგ ყველა ფეხზე დგება და გუნდი მღერის მზის საგალობელს – ლილეოს.

დაახლოებით 20-30 წუთის შემდეგ თამადა ამბობს მეორე სასმის-სალოცავსადღეგრძელოს და ამბობს: დიდება სულის მ-შვიდ-ობას ადამიანებს შორის, დიდება კაცობრიობის წინამძღოლს იესო ქრისტეს, დიდება ბიბლიურ წმინდანებს, კაცობრიობის ღვთის სიტყვით განმანათლებლებს, დიდება პატიოსან სამღვდელოებას დედა ეკლესიისა, დიდება ყველა მასწავლებელს, კაცობრიობის კეთილი სიტყვით განმანათლებელს. ამინ!

როგორც კი თამადა სასმისს ბოლომდე დალევს, მოადგილეები ფეხზე დგებიან და ამბობენ: მაღალო ღმერთო, ძე ღვთისაო, გვიხსენ ჩვენ, ამინ! რის შემდეგ სუფრის წევრები ჭიქით ხელში დგებიან და ამბობენ: ამინ! ამის შემდეგ მომღერალთა გუნდი ფეხზე დგომით ასრულებს ქართულ საგალობელს: უფალო ღმერთო შეგვიწყალე ჩვენ, გადაბმით გადადის ქრისტეშობის შემოძახილზე ალი, ლო, ოო, ო.

დაახლოებით 20-30 წუთის ინტერვალის შემდეგ, თამადა ფეხზე წამოდგება, მას მარჯვენა ხელში უჭირავს ღვინით სავსე სასმისი, ის ყურადღებას მოითხოვს სუფრის წევრებისაგან, მოადგილეს (ქრისტე) აფრთხილებს მიხედოს, რათა სუფრაზე (მსოფლიოში) იყოს წესრიგი. მოადგილე სუფრის წევრებს გადასძახებს, უფალი თამადა სალოცავს ამბობს, ამიტომ ყურადღებით მოუსმინეთ. ხალხმრავალი სუფრა დაწყნარდება, ჩამიჩუმიც კი არ ისმის, თითქოსდა ხალხი საეკლესიო დარბაზში იმყოფებოდეს და ლიტურგიას ისმენდეს. აქედან გამომდინარე უნდა ვიცოდეთ, რომ ქართული სუფრა არის სახალხო ღია ეკლესია და არა კუჭის გაძღობა.

თამადა ომახიანად იტყვის: ღმერთო მაღალო და ძლიერო, ჩვენი სამშობლო გვიდღეგრძელე, ქრისტეს სამშობლო გიორგია ადღეგრძელე, წმიდა მამებისა და დედების ქვეყანა ადღეგრძელე, ქალწულების ოდაბადე ადღეგრძელე, ასომთავრულისა და ლაზარეს ქვეყანა მიდღეგრძელე, ქრისტეს მეორედ მოსვლის ადგილ-მამული მიდღეგრძელე. ამინ. თამადის მოადგილეები ფეხზე ამდგარნი უსმენენ თამადას, როგორც კი იგი სასმისს მიიღებს, მოადგილეები თითქმის ერთხმად იტყვიან, ქრისტეს სამშობლო ოდაბადეს, საქართველოს დიდება, ამინ. რის შემდეგ სუფრის წევრები ღვინით სავსე ჭიქით ხელში წამოდგებიან და ერთხმად დააგუგუნებენ: “ლაზარეს ქვეყანას დიდება!”

ამის შემდეგ სუფრის მომწყობი კომიისიის თავმჯდომარეს (კაცს და მის თანაშემწე ქალს) თამადა ავალებს სიძე-პატარძლის შემოყვანას ქორწილის სუფრასთან. სანამ მათ შემოიყვანენ სუფრასთან “მირანგულა”-სა და “ჩაკრულო”-ს შეასრულებს მომღერალთა გუნდი.

ახლა გავარჩიოთ ქართული სუფრის მთავარი ატრიბუტი: ღვინო, პური, ხარის თავი და ბეჭი. მართლმადიდებლური სწავლებით სამნი მოწმობენ სამოთხეში – ცაზე, მამა ღმერთი, ძე ღმერთი (სიტყვა) და სულიწმიდა ღმერთი. ანალოგიურად სამნი მოწმობენ დედამიწაზე; სული (მამა), წყალი (ძე=სიტყვა) და სისხლი (სულიწმიდა).

ქართული ქორწილის მთავარი ატრიბუტები განასახიერებენ ქრისტეს სერობისა და სახარების ((ღვთის სიტყვის) საიდუმლოს ძირეულ შინაარსს.

ღვინო გულისხმობს ღვთიური მადლის სასმისს და შესაბამისად, ძლევას წუთისოფლური შიშისა სიკვდილის მიმართ. პური გულისხმობს ქრისტეს სასუფევლის სულის სხეულს (უფალს). სისხლი გულისხმობს სულიწმიდა ღმერთის მადლს, სიბრძნის შვიდ ეკლესიას. ხარის თავი გულისხმობს მამა ღმერთის საიდუმლო ენას, რომელიც განივრცობა უკიდეგანო სამყაროში. ბეჭი ნიშნავს 49 საფეხურით ასამაღლებელ კიდეს დედამიწიდან მამა ღმერთის ნათელი ეკლესიის თავამდე, ხოლო ხარი გულისხმობს მამა ღმერთის წმიდა სიტყვას (მოძღვრებას) სა-ხარ-ებას. ამინ.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ვფიქრობ, აუცილებელია ჩვენი გაზეთის მკითხველმა კარგად იცოდეს და გააცნობიეროს, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, თუ როგორ ცდილობენ დაამცრონ, დააკნინონ, ლაფში ამოსვარონ ქართველი ერის ზნეობა, ინტელექტი, ცხოვრების წესი, ტრადიციები... ეს ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ, შევარდნაძის ზეობის დროს და დღესაც დიდი ყავლი აქვს.

არა მგონია, რომელიმე ერს ჰყავდეს რაოდენობრივად ამდენი და თვისობრივად ამგვარი უძღები შვილები, როგორც ქართველ ერს ჰყავს. ბიბლიური უძღები შვილი ღმერთს უბრუნდება. ჩვენი უძღები შვილები არამც თუ ღმერთს უბრუნდებიან, არამედ სატანასთან წილნაყარნი თავგამოდებით ცდილობენ ქართველ კაცში ჩაკლან ეროვნული ღირსების გრძნობა, თავისუფლებისმოყვარეობა, სამშობლოს სიყვარული. ცდილობენ არასრულფასოვნების კომპლექსის, ეროვნული ნიჰილიზმის ჩანერგვა-დამკვიდრებას.

მკითხველს ჩემი ნათქვამი ლიტონი სიტყვები რომ არ ეგონოს, თავს უფლებას ვაძლევ მოვიტანო რამდენიმე ნიმუში დედისძუძუნაწყენთა ნააზრევიდან (ნაბოდვარიდან):

**მ. მამარდაშვილი**: "ქართული ხასიათი ეფუძნება კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნას, ყალბ პატრიოტიზმს, ჩამორჩენილობას, საკუთარ თავში შეყვარებულობას, რწმენას, რომ ყველაზე კარგები, ჭკვიანები ვართ...".

პუტჩისტებისათვის ეს "უდიდესი" ფილოსოფოსი 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ აცხადებს: "საქართველოში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა სუფთა სახით".

**გ. ნოდია**: "ქართველი ერი დაუნდობელია, სასტიკია, ფაშისტია. საქართველოში ფაშისტური მეთოდებით უსწორდებიან მცირე ეთნოსებს, ხდება მათი კონცლაგერებში გამომწყვდევა".

**პ. ზაქარეიშვილი** – "ჩვენ არ გვინდა დავინახოთ აფხაზების და ოსების მისწრაფება თვითგადარჩენისაკენ, სურვილი, მიიღონ გარანტიები, რომელიც დაარწმუნებთ, რომ მათ ეროვნულ განვითარებას პერსპექტივა არ აქვს. ჩვენ ვერ უზრუნველყვეთ გარანტიებით, რუსეთმა უზრუნველყო – მე დაგიცავ შენ ქართული აგრესიისაგანო".

ეს ხომ აღიარებაა იმისა, რომ ჩვენ აფხაზებს და ოსებს (სხვებსაც) ვჩაგრავთ, ფაშისტური მეთოდებით ვავიწროვებთ, მათ ეროვნულ განვითარებას ვაფერხებთ. რუსეთი კი მათ ქართველი აგრესორებისაგან იცავს!

ეს ხომ საზიზღარი ცილისწამებაა! აქ ხომ ერთ პიროვნებას არ აბრალებენ ფაშისტობას, მთელ ერს აბრალებენ!

მოდი და ამის შემდეგ აფხაზი და ოსი (სხვებიც) დაარწმუნე ჩვენს კეთილმოსურნეობაში მათ მიმართ!

**გ. მარგველაშვილი**: "ქართველ ერს ახასიათებს გონებრივი სისუსტე, დებილობის მსუბუქი ფორმა, მოკლებულია სოციალურ აზროვნებას და პასუხისმგებლობის გრძნობას".

**დ. ზურაბიშვილი**: "თანამედროვე ქართველი კვლავ ფეოდალისტური ფსიქიკის ტყვეობაში რჩება. ფეოდალისტურმა ფსიქიკამ დაბადა ისეთი "უბედურება", როგორიც არის "ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა". ეროვნული მოძრაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ფეოდალისტური ცნობიერებიდან გამომდინარე, არის მონური ცნობიერება და სანამ ჩვენ, ქართველები, არ დავამსხვრევთ დრომოჭმული ფსიქიკის ბორკილებს, თვითეული ჩვენთაგანის გულში იცოცხლებს ჩვენი მონური სულისკვეთების ჯოჯოხეთური ხატი".

ღმერთო, გვიშველე! მართალი ხომ არ არის მარგველაშვილის დიაგნოზი?

**ნ. სარჯველაძე**: "ეროვნული მოძრაობა გამსჭვალულია ნეკროფილური ხასიათით, რადგან იგი ეფუძნება ნეგატიური თავისუფლების პრინციპს. ეროვნული მოძრაობა ანტიინტელექტუალური მოძრაობაა, რომელიც კულტურული ნიჰილიზმითაა გამსჭვალული. ეროვნული მოძრაობა აღვიძებს აგრესიულ ინსტინქტებს, ხალხს ეკზალტირებულ ბრბოდ აქცევს".

**გ. მიქარაძე**: "ქართველებს ინფანტილიზმი გვჭირს, რაც ცუდი აღზრდის ბრალია. ინფანტილიზმმა წარმოშვა ფანატიზმი, რამაც განაპირობა ბრბოს ხელისუფლება ქარიზმატული ლიდერით. ქართველი ქალის სექსუალური თავდაჭერილობა და წესიერება მისი ტრაგედიის მთავარი მიზეზია. დაუკმაყოფილებელმა სექსუალურმა ლტოლვამ განაპირობა ქართველი ქალების აქტიურობა ეროვნულ მოძრაობაში."

**ბ. ჩეკურაშვილი** – "ქართველი ქალი ყველაზე უმწეო და ჩამორჩენილი არსებაა".

ქართველო მამაკაცებო! ჩვენ უფრო მძიმე, ბევრად მძიმე დიაგნოზი დაგვისვეს!

**ე. ჯგერენაია**: "ქართულ სუფრაზე ვლინდება ქართველი მამაკაცების სექსუალური ლტოლვა ერთმანეთის მიმართ. ქეიფის დროს ერთმანეთს რომ მიმართავენ "მომენატრე", "მიყვარხარ", "ჩავეხუტოთ ერთმანეთს" ღრმა ეროტიზმის და ურთიერთნდომის გამომხატველი სიტყვებია. ქართული სუფრა ფორმით ჰომოსექსუალისტური და შინაარსით ტრაგიჰეტეროსექსუალურია, ხოლო ქართველი მამაკაცი – არშემდგარი ქალი ანუ ქალის ცუდი შემთხვევაა".

ჯგერენაიას მხოლოდ ჯაბა იოსელიანი მიაჩნია ნამდვილ მამაკაცად, გვიხატავს მას როგორც "ინტელიგენციის კლასიკური გაგების ბოლომდე მიმყვანს, რომელმაც სიტყვიერი ტერორი იარაღის ტერორით შეცვალა და ამ აზრით ქართველი ინტელიგენციის უკანასკნელ მოჰიკანს წარმოადგენს".

მსგავსი მრავალი ციტატის მოტანა შეიძლება, მაგრამ მგონი საკმარისია.

ვფიქრობ, ამ ადამიანებს ან თავად ახასიათებთ გონებრივი სისუსტე, გაუკუღმართებული სექსისადმი ლტოლვა, ფრონდიორობით გამოხატული ფსიქიკური აშლილობა, ან ქართველი ერის მტერთა დაკვეთას ასრულებენ.

ხელში შემთხვევით ჩამივარდა ყდამოცლილი წიგნი, რომლის ბოლო გვერდზე ინგლისურად აწერია **"Eduard Shevardnadze – the Conversion of Consciusness in Georgia"**. ჩემებურად თუ ვთარგმნი, ალბათ ქართულად ასეა: "ედუარდ შევარდნაძე – შეგნების გარდაქმნა საქართველოში". წიგნი გამოცემულია თბილისში, 1995 წელს. ავტორები არიან ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ბარამიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატები ირაკლი ბრაჭული და თემურ ფიფია.

# მახვილგონიერ ფილოსოფოსთა და სხვათა და სხვათა აზრთაწყობა

ავტორებს ერთობ კეთილშობილური მიზანი ამოძრავებთ – ქართველი ერის ხსნა ფაშიზმის სახადისაგან და ედუარდ შევარდნაძის უდიდესი დამსახურების წარმოჩენა ქართველი ერის გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე.

სჯობს, თვითონ ავტორთა სიტყვები წავიკითხოთ: "ედუარდ შევარდნაძის უპირველესი ამოცანა, მისი ქანცგამცლელი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო მითოსური შოკით გაწამებული ქართველის ცნობიერების დემითიზირება და განწმენდა, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის იდეალის განხორციელება მის ყველაზე რეალურსა და უღრმეს ფენაში – აზრთაწყობაში".

წიგნი იწერება მისახვედრი (Наводящий) კითხვების დასმით და პასუხის გაცემით. კითხვებს თვითონ სვამენ და თავადვე პასუხობენ.

**კითხვა:** "რითი "სჯობია" კლასიკური ტირანი – ვთქვათ კალიგულა – თანამედროვეს?".

**პასუხი:** "კალიგულას ტირანია გაცილებით უფრო კეთილშობილური წარმოშობისაა. თანამედროვე ტირანია უღმერთობამ წარმოშვა და პატივმოყვარეობიდან იღებს სათავეს".

"ახალი აზრთაწყობის" ადეპტი ფილოსოფოსების აზრით, ნებისმიერი ტირანია კეთილშობილური წარმოშობისა ყოფილა, მხოლოდ ეგაა, რომ კალიგულას ტირანია გაცილებით უფრო კეთილშობილური წარმოშობისაა!

**კითხვა:** "მაშ თანამედროვე ტირანის მსოფლმხედველობითი წყარო უღმერთობაა?".

**პასუხი:** "დიახ, უკვდავების პერსპექტივის არარსებობა – სიკვდილის პირუტყვული შიში აიძულებს მას, ხელოვნურად გაბეროს (გაიფართოოს) ნამცეცა სასიცოცხლო დრო... ამიტომაცაა, რომ "ეროვნულო მოძრაობის პატრიარქის" პიროვნებაში "შეთავსებულია" უამრავი შრე, ფენა, პლასტი, დანალექი... ის ხომ შემზარავი კაცთმოძულეცაა და გულჩვილი ფილანტროპიც, რელიგიური ფანატიკოსი და მკრეხელური ათეისტი, სადისტიცაა და მაზოხისტიც".

აფერუმ, ფილოსოფოსებო! როგორ ჰგავს თქვენი "ახალი აზრთაწყობა" მათსას, მოკვლის წინ ილიას სახელს რომ უტეხდნენ და ათას სიავკაცეს აბრალებდნენ!

"ძველი აზრთაწყობის" ქართველი ჟამთააღმწერელი ამგვარი განაჩენის მოსმენისას აუცილებლად წამოიძახებდა: "ჰოი, გონება, მხეცთა უმძვინვარესი!".

კითხვაზე: – "ჩვენში ასე გავრცელდა ტერმინები: "შეთქმული", "ჯაშუში", "მოღალატე".

პასუხი ასეთია: "ამ შემთხვევაში "პატრიარქი" არ ტყუის: "ვინც მასთან არ არის, მისი მტერია", სწორედ პირადი მოღალატეებია მთელი სოციალური და ეთნიკური ერთეულები, წარმოიდგინეთ "მოღალატე დედაქალაქიც"... ასევე, თვით ჯორჯ ბუში და მთელი ცივილიზაცია..."

"პატრიარქს" ემუქრებოდნენ, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ რატომ მიცურავო და შევარდნაძეს აიდიალებდნენ როგორც ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორს, ახალი აზრთაწყობის მამამთავარს.

ნუთუ ჩვენმა ფილოსოფოსებმა არ იციან ის, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის და ახალი აზრთაწყობის ადეპტები ეროვნულ სახელმწიფოებს, ეროვნულ ხელისუფლებას არ სწყალობენ და კაცობრიობას ანტიქრისტეს აღსაყდრებისათვის ამზადებენ.

ერთიანი მსოფლიო მთავრობა, ერთიანი ფულადი სისტემა, უეროვნებო, ტვინგამორეცხილი, ზომბირებული, მანქანად ქცეული ადამიანი. აი, მათი მიზანი!

ფაშისტებად შერაცხულ ეროვნულ ხელისუფლებას და "პატრიარქს" არ შეეძლოთ დალესების, ბჟეზინსკების, ბუშების, "რომის კლუბის", "300-თა კომიტეტის", "მაგისტერიუმის" მითითებული გზით ევლოთ, რადგან "პატრიარქი" მათთან არ იყო. ამიტომ, "პატრიარქი" მათთვის მტერი იყო და ამიტომაც მოექცნენ როგორც მტერს – მოკლეს!

"მოღალატე ეთნიკური ერთეულები, წარმოიდგინეთ – მოღალატე დედაქალაქიც"!

დედაქალაქს მოღალატეს არავინ ეძახდა. მოღალატეებს ეძახდნენ მათ, ვინც მოამზადა და მოახდინა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება. დედაქალაქი მხარს უჭერდა ეროვნულ ხელისუფლებას და წლების მანძილზე მოითხოვდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. პუტჩისტები ამ მიტინგებს უმოწყალოდ ხვრეტდნენ.

დედაქალაქში ეროვნული კანონიერი ხელისუფლების დასაცავად ჩამოსულ ქართველებს "კარენოი" თბილისელები, გვარგადაკეთებულნი, ან უფრო უარესი, გადაგვარებული ქართველები "სოფლელ სუნიანებს" ეძახდნენ.

საქართველოს ისტორიას ახსოვს "ეთნიკური ერთეულების" შეიარაღებული აჯანყებები ქართული ძირძველი მიწების მიტაცების მიზნით. 1918-1920 წლებში მოხდა დიდი აჯანყება "დიქტატორ-პატრიარქის" დაბადებამდე ბევრად ადრე. ნუთუ დიდი ცოდვაა მათ მოღალატეებიც ვუწოდოთ? ეს შეიარაღებული ბანდფორმირებები 20-იან წლებში ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ქართველებს (რაჭველებს) გენოციდს უწყობდნენ, ხოლო დღეს შიდა ქართლში ქართული, აბორიგენი მოსახლეობა ლტოლვილებად აქციეს და ისტორიული ქართული სოფლები მიწასთან გაასწორეს, გადახნეს.

წიგნის პირველი თავი იწყება კითხვით: "ჰქონდა თუ არა ფაშიზმს იდეოლოგიური საფუძველი საქართველოში?"

ავტორები პასუხობენ, რომ საქართველოში ფაშიზმის განატონებისათვის ნოყიერი ნიადაგი არსებობდა. ეს არის კერპთაყვანისმცემლობა.

გავიხსენოთ "დიდი" ფილოსოფოსის სიტყვები: "ქართული ხასიათი ეფუძნება კერპთაყვანისმცემლობის მოთხოვნილებას"!

ახლებურად მოაზროვნენო, ახალი აზრთაწყობის და გონების ახალი წესრიგის მამანო, გთხოვთ ნუ აბრალებთ ქართველ ერს იმას, რაც არ ახასიათებს: სისასტიკეს, მითოსური შოკით გათანგვას, კერპთაყვანისმცემლობას, გონებრივ სისუსტეს, დებილობის მსუბუქ ფორმას...

ფილოსოფოსი ავტორები აღნიშნავენ იმას, რომ ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერებისათვის "სულიერი წინამორბედი" იყო რუდოლფ შტაინერი, რომლის ანტროპოსოფია სრულიად უცხოა ქრისტიანული აზროვნებისათვის და შეიძლება ამითაც აიხსნას მათი შტაინერით გატაცება.

"შტაინერისტმა" ზვიად გამსახურდიამ, წერენ ჩვენი ფილოსოფოსები, "საქართველოს სულიერ მისსიაში" დავით აღმაშენებელი "უსაშიშეს სულიერ ავანტიურისტად" დახატა. "ოკულტურ პოლიკლინიკად არის წარმოდგენილი გელათის აკადემია, პარაფსიქოლოგთა ლაბორატორიებს გვანან "შტაინერის თვალით" დანახული ქართული კულტურის კერები ათონზე, იერუსალიმში, სინაზე, პეტრიწონში... თეოსოფ ჯადოქრებად არიან გამოყვანილნი მთაწმინდელები, პეტრიწი, შავთელი, ეფრემ მცირე და თვით რუსთაველიც..."

ჰოი, გონება, მხეცთა უმძინვარესი!

ლიტერატორმა, რუსთველოლოგმა რომ თქვას "ვეფხისტყაოსნის" სამყარო ერთდროულადაა აღმოსავლეთი (ინდოეთი-არაბეთი) და დასავლეთი (ანტიკური ფილოსოფია და ქრისტიანული მსოფლხედვა), ჩვენი ფილოსოფოსი ავტორები ამგვარ კომენტარს გაუკეთებენ: "დასავლურ-აღმოსავლური სინთეზი პოლიტიკურად ნიშნავს "ორთავა არწივს", რომლის ერთი თავი აღმოსავლეთის დაპყრობას აპირებს, მეორე – დასავლეთისას. ამგვარი "იდეებით" მზადდებოდა ჯუჯა აგრესორის "იმიჯი".

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა სინთეზი რატომ არის მაინც და მაინც "ორთავა არწივი" და რატომ აპირებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაპყრობას, ამას ვერ ვხვდები. ამ საიდუმლოს "აზრთა ახალი წყობის", "გონების ახალი წესრიგის" მქონენი თუ მიხვდებიან.

არის თუ არა ავტორთა ამგვარი კომენტარი ტენდენციური?

ავტორები შტაინერისტ "ეროვნული მოძრაობის პატრიარქის" განქიქებასთან ერთად დასცინიან, აბუჩად იგდებენ მომიტინგეებს, იმ ხალხს, რომლის ძალისხმევამაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუპოვა.

მიტინგებს უწოდებენ რიტუალს, აქციამისტერიას. "რიტუალი კი მითოსური იდეოლოგიის სერიოზული ელემენტია", მიტინგურ ექსტაზად გამოყენებული მისტიკა, მისტიკა კი არ არის, არამედ უკვე მაგიაა!

ფილოსოფოს ავტორთა ანალიზით, მიტინგებზე სადაც ხალხი ეროვნულ დამოუკიდებლობას ითხოვდა, ხდებოდა "მითოსური ადამიანის" ფაბრიცირება მაგიის გამოყენებით!

ვინ ყოფილა ეს რუდოლფ შტაინერი!

შტაინერის ანტროპოსოფია არის შემეცნებითი მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს მეცნიერულ დონეზე ქრისტიანული თვალსაზრისით შეისწავლოს რელიგიურ მოძღვრებათა იდუმალი, სიღრმისეული სიბრნე კაცობრიობისა და სამყაროს განვითარებისა.

შტაინერის მოძღვრება საბჭოთა კავშირში იკრძალებოდა. საბჭოთა ფილოსოფოსები, რომლებიც მხოლოდ მატერიალისტურ ფილოსოფიას აღიარებდნენ საზოგადოებისა და სამყაროს განვითარების ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიად, ანტროპოსოფიას განმარტავდნენ როგორც რელიგიურ აღმსარებლობას, როგორც სექტას.

1970 წელს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გერმანულიდან თარგმნეს რუდოლფ შტაინერის "თეოსოფია", რომელიც საზოგადოებაში ფარულად გავრცელდა.

"რა თქმა უნდა, საიდუმლო სამსახურს შეუმჩნეველი არ დარჩენია ახალგაზრდა დისიდენტების ანტროპოსოფიური მოღვაწეობა. მიხვდა, რომ ვერ შეაჩერებდა საქართველოში ახლად შემოჭრილ მეცნიერულ სხივს და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ დაარსებულ ანტროპოსოფიულ წრეს საკუთარი დაუპირისპირეს. სწორედ ამ დროიდან მომდინარეობს ჩვენში ეგზომ სწრაფად წამოყელყელავებული "ეზოთერიკი" მოძღვრების მომრავლება, რომლებიც თავიანთ თავს ახალ მესიად, ახალ სიტყვად (მე დავუმატებდი ახალ აზრთაწყობად, გონების ახალ წესრიგად – თ.კ.), ახალი მსოფლიოს აღმომჩენებად ასაღებენ და ათასი ცრუ წინასწარმეტყველებით, საუკეთესოდ გამოცემული, მორალზე დაწერილი წიგნებით, საკუთარი ინტერპრეტაციით, დამუშავებული ანტროპოსოფიური ლიტერატურიდან მოპარული სენტენციებით ახარბებენ გაუცნობიერებელ ადამიანებს თავიანთ "ეზოთერულ" ცოდნას, ბიბლიოლოგიურ განათლებას და ერუდიციას. ამავე დროს ისინი ფარულად თუ ღიად ეწევიან ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ანტროპოსიფიურ, მეცნიერულ შეხედულებების მცდარ პროპაგანდას და მათი ძირითადი, ეროვნული იდეების დისკრედიტაციას" – წერს ქალბატონი ირინე ტალიაშვილი (ჟურნალი "კარდუ-200", №2, 1996 წ.).

ფილოსოფოს ავტორთა 135-გვერდიანი წიგნი წარმოადგენს ეროვნული მოძრაობის ლიდერების, "მითოსური შოკით" გათანგული ქართველი ერის, ეროვნული მოძრაობის დისკრედიტაციას და ახალი პოლიტიკური გონის, ახალი აზრთაწყობის მამამთავრის, ახალი მსოფლიო არქიტექტორის, დიდი პოლიტიკოსის ედუარდ შევარდნაძის უსაზღვრო ხოტბა-დიდებას.

წიგნი მთავრდება იუნესკოს გენერალური დირექტორის ფედერიკო მაიორ სარაგოსას და ედუარდ შევარდნაძის დიალოგით.

ეს დიალოგი წიგნის ავტორებმა გააკეთეს ფედერიკო მაიორის წიგნის "ხვალ ყოველთვის გვიანაა" და ედუარდ შევარდნაძის წიგნის "ჩემი არჩევანი"-ს მიხედვით.

მაიორი ისეთ რამეს იტყვის, რომელიც შევარდნაძეს საშუალებას აძლევს თავისი დიდი ცოდნით და ერუდიციით გაგვაბედნიეროს.

მაგალითად:

**ფედერიკო მაიორი:** "შთაგონების გარეშე პოლიტიკა მართლაც ბანალობად იქცეოდა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ შთაგონება გრძნობის სფეროა, ვიდრე გონებისა".

**ედუარდ შევარდნაძე:** "აზროვნების ძველი წესრიგის ფარგლებში, რა თქმა უნდა, გრძნობა გონებისადმი მტრული ელემენტია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამგვარი მიდგომა გადაულახავი წინააღმდეგობის წინაშე გვაყენებს. საჭიროა გრძნობების შემოტანა გონების წესრიგში, მათი რაციონალიზაცია".

მინდა ვკითხო ავტორებს, რა ვუყოთ ძველი აზრთაწყობის ფილოსოფოსებს სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს, ჰეგელს, კანტს? მოძველდა მათი ნააზრევი? გადავყაროთ მათი წიგნები?

რა ვუყოთ ბლეზ პასკალის "აზრებს"? ის ხომ არ იცნობდა ახალი აზრთაწყობის ყოვლისმომცველ ძალას, მაიორისა და შევარდნაძის წიგნების ძვირფასყდიან გამოცემებს?

არ იცნობდა? ამიტომაც აფრქვევდა "ჟანგიან" აზრებს! ხომ კი!

**თენგიზ კუზლაშვილი**

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# რატომ ითამაშა ბორის პაიჭაძემ თურქეთის ნაკრებში?



ახლახან, ქართული ფეხბურთის პირველი ვარსკვლავის, ბორის პაიჭაძის დაბადებიდან 100 წელი შესრულდა.

თბილისის "დინამოს" იმ თაობის ლიდერმა გუნდში 15 წელი ითამაშა და ხალხში უდიდესი სიყვარული დატოვა.

სოლომონ პაიჭაძეს 6 შვილი ჰყავდა – 4 ქალიშვილი და 2 ვაჟი. ბორისი 5 წლის იყო, მისი ოჯახი ფოთში რომ დასახლდა. სოლომონი პორტში მტვირთავთა ბრიგადირად მუშაობდა. ფოთში კი ინგლისელთა გემები შემოდიოდნენ, ფოთიდან მარგანეცი მიჰქონდათ, ჩვენ კი ფეხბურთი დაგვიტოვეს...

ბორისი კარგადაც სწავლობდა და მამასთან მტვირთავადაც მუშაობდა. სწორედ ინგლისელების შესრულებით ნახა პირველად ფეხბურთი და ძალიან გაიტაცა. 8 კლასი ისწავლა და შემდეგ ფოთის საზღვაო ტექნიკუმში ჩააბარა. სწორედ ფოთის საზღვაო ტექნიკუმის გუნდში თამაშით გაიცნეს 16 წლის ბიჭი და მალე ქალაქის ნაკრებში მიიწვიეს. პარალელურად, ფოთის ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატში თამაშობდა და თავიდანვე სახელი გაითქვა, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე პერსპექტიულმა ფეხბურთელმა...

1934 წელს, როგორც შრომის მოწინავე (?!), ბორის პაიჭაძე ინგლისში სამოგზაუროდ გაუშვეს, მაგრამ გემზე ჩასხდომამდე ტელეგრამა მიიღო: "მამა სიკვდილის პირასაა, ჩამოდი".

სახლში დაბრუნებულმა მამა საღსალამათი ნახა. დეპეშა კი, თურმე, თანაგუნდელმა კალისტრატე იმნაძემ გაუგზავნა, რადგან ფოთის გუნდს ბათუმში საქართველოს ჩემპიონატის მნიშვნელოვანი შეხვედრა ელოდა, ბორიას გარეშე მოგება კი წარმოუდგენელი იყო. ის მატჩი ფოთელებმა 2:1 მოიგეს, პაიჭაძემ კი დუბლი შეასრულა.

ამის შემდეგ ფოთელები უკრაინულ ტურნეში გაემგზავრნენ, სადაც 29 მატჩიდან მხოლოდ ერთი ფრე ითამაშეს, დანარჩენი 28 კი მოიგეს (?!). სწორედ მაშინ საინტერესო ამბავი მოხდა: ფოთის ნაკრებმა, უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ... თურქეთის ნაკრების სახელით ითამაშა და 2:3 წააგო.

საქმე ის იყო, რომ თურქები ოდესაში ვერ ჩავიდნენ, ხალხი კი მატჩზე მისასვლელად ემზადებოდა და ქართველებს მათ ნაცვლად თამაში სთხოვეს. ფოთელებმა უკრაინელ ორგანიზატორებს გაუგეს და თურქების სახელით ითამაშეს. თუმცა, ოდესელებმა წინა დღეებში ნანახი ქართველები მაინც იცნეს და ამ ფანდმა არ გაჭრა.

1935 წლის ზაფხულის მიწურულს, ბორის პაიჭაძე დედაქალაქში სწავლის გასაგრძელებლად სხვა ფოთელ ფეხბურთელებთან (ვალოდია ბერძენიშვილი, გრიშა გაგუა, გვაჩი ჯორბენაძე) ერთად ჩამოვიდა და ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის კარი შეაღო.

ინსტიტუტის რექტორი იუზა ვაშაყმაძე ფეხბურთის გულშემატკივარი იყო და ფოთელი ვარსკვლავები სასწავლებელში უგამოცდოდ ჩარიცხა.

მაშინ "დინამოს" პატრონი და ტიტულები აკლდა, მაგრამ 1936 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის პირველი ჩემპიონატის გამართვა გადაწყდა. "ბ" ჯგუფში ქართულ ფეხბურთს "დინამო" წარადგენდა. რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ იქ საუკეთესო მოთამაშეებს მოუყარა თავი, მათ შორის ფოთელ ვარსკვლავებსაც. ეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლავრენტი ბერიამ მიიღო და საამისოდ, პაიჭაძეს პირადადაც შეხვდა.

1940-51 წლებში პაიჭაძე გუნდის კაპიტანი იყო. ის იყო გრიგორი ფედოტოვის სახელობის "ასიანთა" კლუბის წევრი, სადაც სსრკ-ის ჩემპიონატებში 100-ზე მეტი გოლის გამტანები ერთიანდებოდნენ.

საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში სულ 101 ჰეთ-თრიკი დაფიქსირდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველებს ეკუთვნით. პაიჭაძემ კარიერაში სულ 8 ჰეთ-თრიკი შეასრულა და ამ მაჩვენებლით, უკრაინელ ოლეგ პროტასოვთან ერთად, მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფს. მას მხოლოდ გრიგორი ფედოტოვი (12 ჰეთ-თრიქი), ალექსანდრე პონომარიოვი (10) დანიკიტა სიმონიანი (9) უსწრებენ.

ქართველებში მას შემდეგ მოდიან გაიოზ ჯეჯელავა, მიხეილ მესხი, ზაურ კალოევი, ავთანდილ ღოღობერიძე (4-4) და რამაზ შენგელია (3).

სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების პირველი საერთაშორისო გოლის ავტორიც პაიჭაძეა. ბასკეთის ნაკრები 1937 წლის 25 ივლისს "დინამოს" შეხვდა და 2:0 მოიგო. რამდენიმე დღის შემდეგ, 30 ივლისს, ბასკებს უკვე საქართველოს ნაკრები დაუპირისპირდა. პირენეელებმა ეს თამაშიც მოიგეს – 3:1. ქართველებიდან ერთადერთი გოლი 22 წლის ბორის პაიჭაძემ გაიტანა.

1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური მატჩი შედგა, რომელსაც ერთ-ერთმა რუსმა ჟურნალისტმა წერილი უძღვნა სათაურით – "მკვლელობა" პეტროვსკის პარკში".

ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში "დინამომ" მოსკოვში "ტორპედოს" 2:1 მოუგო. თბილისელებმა გასახდელში გამარჯვება იზეიმეს და მხოლოდ მეორე დღეს გაიგეს, რომ... მატჩი უნდა გადათამაშებულიყო, რადგან "ტორპედოს" მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლაი მოროზოვმა მსაჯების "შეცდომების" გამო ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი შეიტანა, რომელიც დააკმაყოფილეს.

არადა, დასასჯელი "ტორპედო" იყო, რადგან მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მინდორზე ასეულობით მოსკოველი გადახტა...

ცხადია, დინამოელებს გადათამაშებაში მონაწილეობა არ სურდათ, რადგან იცოდნენ – მაინც არ მოაგებინებდნენ. მოედანზე გასვლას მხოლოდ პაიჭაძის დიდი პატივისცემით დათანხმდნენ.

მომხდარმა დინამოელები ისე დათრგუნა, საბრძოლველად ვერ განეწყვნენ, ამას მიკერძოებული მსაჯობაც დაემატა და მატჩი წააგეს, "ოქროს მატჩში" მონაწილეობისთვის აუცილებელი ქულათა მარაგიც ვერ დააგროვეს, ხოლო ჩემპიონობა მოსკოვის "სპარტაკმა" მოიპოვა.

აღშფოთებული პაიჭაძე კრემლში ბერიას კიდევ ერთხელ შეხვდა და დახმარება სთხოვა. მერე ეს ამბავი ქართული ფეხბურთის ფოტომემატიანემ, აწ გარდაცვლილმა კონსტანტინე შანიძემ გაიხსენა:

"თბილისში ჩამოსული ბორის პაიჭაძე ვნახე. ძალიან დათრგუნული იყო. ჰყვებოდა, როგორ შევიდა ბერიასთან და თავისი სატკივარი უთხრა – ლავრენტი პავლოვიჩ, დაგვჩაგრეს და ჩემპიონობა წაგვართვესო. ბერია კი მკაცრად შემოუტრიალდა – რუსეთის იმპერიაში ქართველისთვის მეორე ადგილიც დიდი მიღწევაა და სხვაზე არც იფიქროთო"...

ეროვნული ღირსების გრძნობა

საინტერესოა, რას ამბობდნენ ბორის პაიჭაძეზე, მაგალითად – ქართული ფეხბურთის პატრიარქი ანდრო ჟორდანია: "ჩვენს დროში ის არანაკლებ დიდებას მოიმკიდა, ვიდრე დი სტეფანო ან პელე".

საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავი ვიქტორ პონედელნიკი მიიჩნევდა, რომ სწორედ პაიჭაძემ განსაზღვრა ქართული ფეხბურთის სტილი:

"პაიჭაძე იყო სწრაფი, ტექნიკური, მიზანმიმართული ფეხბურთელი. მაგრამ, უპირველესად, დამამახსოვრდა, როგორც კარგი ორგანიზატორი – ის გუნდის თამაშს ხელმძღვანელობდა.

არ მიკვირს, რომ მას შემდეგ საქართველოდან ვირტუოზი ფეხბურთელების თაობები წამოვიდნენ".

"ბურთი ფეხზე ჰქონდა მიბმული და ასე მოძრაობდა. დრიბლინგის ნახვა თუ გინდოდათ, პაიჭაძის თამაში უნდა გენახათ", – ეს უკვე ისტორიკოს ვერნი ალფაიძის სიტყვებია.

ქართული ფეხბურთის პირველ ვარსკვლავზე ჯუმბერ ებრალიძის მიერ გადაღებულ ფილმში საინტერესო ფრაზას ამბობს რეჟისორი რევაზ ჩხეიძე: "ჩვენი ეპოქის ადამიანებისთვის პაიჭაძე ეროვნული გმირია. ის მოედანზე ჩვენს სახელს იცავდა".

პაიჭაძის დიდი დამსახურება არა მარტო გოლები, არამედ ისიცაა, რომ საქართველოში ფეხბურთმა სპორტის სახეობაზე გაცილებით მეტი დატვირთვა შეიძინა და ეროვნული ღირსების დაფარული გრძნობა და სიამაყე მოედანზე გადაიტანა – თითოეული გოლი ქართველობას თავისუფლების სურვილს უძლიერებდა და ძალას ჰმატებდა.

მოდიან ქართული ფეხბურთის ახალი თაობები და მათი ვალიც ისაა, რომ ეროვნული ღირსების გრძნობა და სიამაყე დაგვიბრუნონ.

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II,III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

## იუმორი

მელა, მგელი და დათვის ბელი ორმოში ჩავარდნენ. ვერ ამოდიან. მოშივდათ.

– ეგრე არ გამოვა, ყველანი შიმშილით დავიხოცებით – თქვა მელამ. – სჯობს ერთ-ერთი ჩვენგანი შევჭამოთ, იქნებ დანარჩენები გადარჩნენ.

– მერე ვინ შევჭამოთ? – იკითხა მგელმა.

– მოდი, ვინც ყველაზე უმცროსია ის შევჭამოთ – შესთავაზა მელამ.

– მე 100 წლისა ვარ – თქვა მგელმა.

– უი, ზუსტად ჩემი შვილიშვილის ხნისა ყოფილხარ, იმას ენაცვალოს ბებო – დაიღვარა ცრემლად მელა და ბელისკენ აპარებს თვალებს.

დათვის ბელი კედელთან წევს და მუცელს იფხანს:

– მე სამი წლისა ვარ, მაგრამ რომ მომშივდება ვინ ვის შეჭამს იმასაც ვნახავ!

* * *

სადარბაზოში ჩამოკიდულ ნათურასთან გაკრული მიმართვა:

"ძვირფასო მეზობლებო და სადარბაზოს სტუმრებო! ნუ მოხსნით ამ ნათურას მისი დამწვრით შეცვლის ან სხვა რაიმე მიზნით, თორემ ერთხელაც იქნება შეესწრებიან ამ პროცედურას ადგილობრივი მცხოვრებლები, და თქვენ გაოცებული დარჩებით იმით, თუ თქვენი რა ორგანოები შეიძლება გამოყენებულ იქნას ნათურის ჩასაყენებლად."


სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში



დომენტი ბაბნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შვილის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის კოორდინატებია: თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი. ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27



სარედაქციო საბჭო: ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, დავით ქობალია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)



გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge